„მემარჯვენეები” „მემარჯვენეების” წინააღმდეგ A2
სპეცსამსახურები A8
"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 7 თებერვალი, 2003 წელი. №36 (248)
ფასი 50 თეთრი

დენის ტარიფი სიმბოლურად შემცირდა

სემეკის სხდომა საპროტესტო აქციის თანხლებით მიმდინარეობდა.

სოფიკო ოხანაშვილი

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება დაიწყო. სემეკ-ს, მოასხლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ელექტროენერგიის ტარიფის გადასინჯვა პირველ მარტამდე დაევალა. მარეგულირებელი კომისიის დადგენილების პროექტის თანახმად, რომელიც გუშინ სემეკ-ის ხელმძღვანელობამ საჯარო განხილვისთვის სააქციო საზოგადოება "პონტოელის" შენობაში წარადგინა, თბილისში ერთ კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო ტარიფი, დღგ-ს გარეშე, შემცირდება 10.15 თეთრამდე. 20-პროცენტიან დღგ-სთან ერთად კი, იგი 12 თეთრს გადააჭარბებს. რეგიონებში ეს მაჩვენებელი, დღგ-ს ჩათვლით, 8 თეთრს მიაღწევს. სემეკ-ის დადგენილებამ დამსწრე საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. საჯარო განხილვას, კომპანია „ეი-ი-ეს თელასისა“ და სემეკის წარმომადგენლების გარდა, წარმოება-დისპეტჩერიზაცია-გადაცემის ობიექტების ხელმძღვანელები და გახმაურებული სარჩელის ავტორი - ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. უკმაყოფილოთა პოზიციები ერთმანეთისაგან მეტნაკლებად განსხვავდებოდა. "პონტოელის" შენობის წინ, სემეკ-ის დადგენილების განხილვის პარალელურად, მოსახლეობის საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ქართველი ოლიგარქები „ეი-ი-ესის” წილებს ეპოტინებიან

მაია ურუშაძე

საქართველოში გაჩაღებული "ანტიეიიესური" კამპანია ძალებს იკრებს. ამერიკულ კომპანიაზე "ლეიბორისტების" მიერ კონსტიტუციური სასამართლოს ხელით მიყენებულ დარტყმას სემეკი აგრძელებს და ელექტროენერგიის ტარიფი თითქმის ძველ განაკვეთამდე დაჰყავს. ამ პროცესებს მიღმა თავად "ეი-ი-ესში" შორს მიმავალ გეგმებს ხედავენ და "გარკვეული ძალების მიერ "ეი-ი-ესის" ქართული წილების ხელში ჩაგდების სურვილზე" საუბრობენ.

საუბარი "ეი-ი-ესის" კუთვნილი ქართული აქტივების ხელში ჩასაგდებად გაჩაღებული ბრძოლის შესახებ, უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება. იატაკქვეშა საუბრებმა ახლა მზის სინათლეზეც გადმოინაცვლა და "ეი-ი-ესის" წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის შესახებ კომპანიის ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა გუშინ უკვე ღიად განაცხადა: **"ჩემი ინფორმაციით, "ეი-ი-ესის" ქართული აქტივების ხელში ჩაგდება რამდენიმე ქართულ დაჯგუფებას სურს."** ირაკლი მელაშვილი მიიჩნევს, რომ **"ის, რაც ხდება მთელი ამ ხნის განმავლობაში, "ეი-ი-ეს თელასის" გაკოტრებისკენ მიმართული კამპანიაა."**

"ეი-ი-ეს თელასის" გაკოტრება ერთადერთ მიზანს – მისი აქტივების ფასის დაგდებას და შემდგომ ამ აქტივების დაბალ ფასად შესყიდვას ემსახურება. **"ეს არის ცნობილი მეთოდი, რომელიც მთელ მსოფლიოში**

გაგრძელება A2 გვერდზე

პოლიტიკა

„ავთანდილ ჯორბენაძე ცრუობს”

ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს შორის დაწყებული დიალოგი, რომლის მთავარ მიზანს საარჩევნო კანონმდელობის გაკეთილშობილება წარმოადგენდა, ჩიხში შედის. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია უნდობლობას უცხადებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ეჭვობს, რომ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მათთან დიალოგის სურვილი მხოლოდ იმიტომ გამოთქვა, რომ დემოკრატიულობის იმიჯი შეექმნა და მესამე სექტორთან კონსულტაციები "ხელისუფლების მიერ დადგმული სპექტაკლის დეკორაციად" გამოეყენებინა.

A2

ეკონომიკა

ქვეყნის და დედაქალაქის ბიუჯეტები ვერ სრულდება

თბილისის 2003 წლის ბიუჯეტი ჯერ დამტკიცებული არ არის, საკრებულო კი უკვე იანვრის თვის გეგმის თითქმის ორმილიონიან "გარღვევაზე" ტეხს განგაშს. თუ მომდევნო თვეებში გადასახადების ადმინისტრირების დონე მნიშვნელოვნად არ ამაღლდა, დედაქალაქს, შარშანდელთან შედარებით, 24 მილიონი ლარით ანუ 188 მილიონ ლარამდე გაზრდილი ბიუჯეტის შესრულების მეტად მცირე შანსები ექნება.

A4

უცხოეთი

კოლინ პაუელის გამოსვლას, ჯერჯერობით, შედეგი არ მოჰყოლია

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის მოხსენებას გაერო-ს უშიშროების საბჭოში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. აშშ-ის დიპლომატიური უწყების შეფს მხარი მისმა ბრიტანელმა კოლეგამ დაუჭირა. თუმცა უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა – ჩინეთმა, საფრანგეთმა და რუსეთმა განაცხადეს, რომ ერაყში გაეროს სამხედრო ექსპერტთა მისია უნდა გაგრძელდეს.

A5

სამართალი

თბილისიდან გატაცებული მანქანები აფხაზეთში ხვდებოდა

დამნაშავეებს ენგურის ხიდამდე ქართული საგუშაგო უნდა გაევლოთ, შემდეგ – ხიდზე მდგომი სამშვიდობო ძალების და ბოლოს, ხიდის იქით – აფხაზთა საგუშაგო. გატაცებული მანქანების ბიზნესში ამ საგუშაგოების მონაწილეობის შესახებ საქვეყნოდაა ცნობილი.

A7

ამინდი

თბილისი	11
ქუთაისი	16
ბათუმი	17
სოხუმი	14
ფოთი	16
თელავი	12
ზუგდიდი	16
გორი	9
ახმეტა	11
ჭიათურა	12
გაგრა	14
სამტრედია	16

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1899
ევრო	2.3657
გირვანქა სტერლინგი	3.5994
რუბლი	0.0688

თურქეთი ამერიკას სამხედრო ბაზებს უთმობს

რევაზ ბახტაძე

6 თებერვალს თურქეთის პარლამენტმა ნება დართო შეერთებულ შტატებს ერაყში მოსალოდნელი ომის წინ თურქეთის სამხედრო ბაზები განაახლოს.

გადაწყვეტილება 308 ხმით 93 წინააღმდეგ იქნა მიღებული. კენჭისყრამდე თურქეთის პრემიერ-მინისტრი გამოვიდა და განაცხადა, რომ თურქეთს სხვა არჩევანი არ აქვს, გარდა იმისა, რომ ვაშინგტონს მხარი დაუჭიროს.

ექსპერტების აზრით, თურქეთი თავის თავს გარემოებათა მსხვერპლად მიიჩნევს.

"ჩვენ ერთად უნდა ვიმოქმედოთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან და მოკავშირესთან - შეერთებულ შტატებთან ერთად ჩვენივე ეროვნული ინტერესების დასაცავად", - განაცხადა მმართველი პარტიის ლიდერმა რეჯებ ერდოგანმა თურქულენოვან ყოველდღიურ გაზეთ "მილიეთთან" საუბრისას.

კენჭისყრის დაწყებამდე ერაყის ელჩმა თურქეთში თალიბ აბიდ სალეჰმა გააფრთხილა თურქეთის ხელისუფლება, რომ შეერთებული შტატებისათვის ნებისმიერი სახის მხარდაჭერა "ომში მონაწილეობის ტოლფასი იქნება".

"სახელმწიფოები, რომლებიც ამა თუ იმ სახით მონაწილეობას მიიღებენ (ერაყის წინააღმდეგ ომში), უზარმაზარ დანაშაულს ჩადიან და სტრატეგიულ შეცდომას უშვებენ", - განაცხადა ერაყის ელჩმა. თუმცა, მის მუქარანარევ გაფრთხილებას თურქეთის პარლამენტში კენჭისყრაზე გავლენა არ მოუხდენია.

გაგრძელება A5 გვერდზე

გადასცემს თუ არა საქართველომ აშშ-ს ბინ ლადენის თანამებრძოლი აბუ ჰაფსი

პანკისის ხეობა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე პანკისის ხეობას უწოდა ტერიტორია, სადაც საერთაშორისო ტერორისტები შხამებს ამზადებდნენ.

ინგა ალავიძე

კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი ტერორისტული ორგანიზაციის "აზ-ზაკავის" წევრი აბუ ჰაფსი, რომლის ალიანსი "ალ ქაიდასთან" დადასტურებულია, დაკავშირებული იყო პანკისის ხეობაში მყოფ დაჯგუფებებთან, რომლებიც მომწამვლელ ნივთიერებებს ამზადებდნენ. სახელმწიფო მდივნის ინფორმაციით, აბუ ჰაფსი, რომელიც თავის დროზე პანკისში იმალებოდა, ახლა უკვე დაკავებულია.

კოლინ პაუელის მოხსენების კომენტირებისას საქართველოს ელჩმა გაეროში რევაზ ადამიამ განაცხადა, რომ საქართველო აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას აშშ-სთან.

ინფორმაციას არაბ ტერორისტთა დაკავების შესახებ ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰუმან რაითს ვოჩიც". ორგანიზაციის ინფორმაციით, 28 აპრილს პანკისის ხეობიდან სამი არაბი ეროვნების მოქალაქე მას შემდეგ გაქრა, რაც ისინი სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა ხალხმა დააპატიმრა.

გაგრძელება A7 გვერდზე

გუშინ „ბერლინალე-2003” დაიწყო

ნატო თორთლაძე

გასულ შაბათს ჩვენმა გაზეთმა დეტალურად მოგითხროთ წლევანდელი "ბერლინალეს", წარმოდგენილი ფილმებისა და ჟიურის წევრების შესახებ და აი, გუშინ, ბერლინში, მარლენ დიტრიხის მოედანზე, საზეიმოდ გაიხსნა ფესტივალი. დაიწყო კინოფორუმი, რომელსაც მთელი წელი მოუთმენლად ელოდა ყველა, ვისაც კინოსთან რამე აკავშირებს: მაყურებელი ახალ ფილმებს ელის, კინოხელოვანები კი აღიარების მოლოდინში არიან...

თავის სახელს - "ბერლინალე" – ეს ფესტივალი 50-იანი წლების კაბარეს ვარსკვლავს, ტატიანა საისს უმადლის. ყოველწლიურად, თებერვლის დასაწყისში, ბერლინი მსოფლიო კინოს დედაქალაქი ხდება: კანისა და ვენეციის ფესტივალებთან ერთად ბერლინალე მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს კინოფესტივალთა რიცხვს განეკუთვნება. წელს ის 53-ედ ტარდება, პირველი გახსნა 1951 წელს შედგა – მაშინ ტიტანიას სასახლეში ალფრედ ჰიჩკოკის "რებეკა" იყო ნაჩვენები.

გაგრძელება B2 გვერდზე

რენე ზელვეგერი, რიჩარდ გირი და კეტრინ ზეტა-ჯონსი გახსნაზე

REUTERS

წინ გვაქვს მესამე მსოფლიო ომი და გაერო-ს კრახი

"ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე პირველად, ფორმალურად ომის გამოუცხადებლად და არგუმენტების არარსებობის პირობებში, მესამე მსოფლიო ომი პრაქტიკულად დაწყებულია. ეს ერაყელი ხალხის გენოციდით დასრულდება და ამით ბოლო მოეღება გაერო-ს, როგორც საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციის არსებობას," - განაცხადა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, გეოპოლიტიკის კომისიის თავმჯდომარემ, პარლამენტარმა ალექსანდრ შაბანოვმა.

"24 საათთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში, შაბანოვმა საუბარი საკუთარი გაოცების ახსნით დაიწყო:

- ვერ ამიხსნია, რატომ უჭერენ მხარს აშშ-ს ძალისმიერ ოპერაციას ის ცნობილი რუსი და ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც დასავლური, ლიბერალური შეხედულებებით გამოირჩევიან; მაგალითად, იავლინსკი, ნემცოვი და შევარდნაძე. მე მაკვირვებს ჩვენი პოლიტიკოსების ორიენტაციის მკვეთრი ცვლილება. თუ ისინი ადრე ჰუმანურ განცხადებებს აკეთებდნენ, ბოლო დღეებში იმის შეფასება დაიწყეს, თუ რა ეღირება ნავთობი და როგორ შევევაჭროთ აგრესორს. მე არ მსურს კატასტროფული პროგნოზის გაკეთება, მაგრამ უკვე მიმდინარეობს მესამე მსოფლიო ომი, სხვა განზომილებასა და სულ სხვა ფორმატში. სამწუხაროდ, ისიც ვიცით, თუ როგორ მოიქცევიან შემდეგ აშშ და მისი მოკავშირეები.

- რუსეთის პარლამენტის დელეგაცია ხომ აპირებდა ბაღდადში გაფრენას, რატომ გადადეთ ვიზიტი?

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 სპეცსამსახურები
B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

მოკლედ

თბილისი. 6-10 თებერვალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე მიუნხენს ეწვევა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა შეხვედრაში. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი დაეთანხმა ვახტანგ რჩეულიშვილის იდეას, რომ 2003 წელი ქართულ-ოსური ნდობის აღდგენის წლად გამოცხადდეს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ გამართული ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის მთავარი თემა ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის უფროსის ბეგლარ ფონიას მკვლელობის განხილვა იყო. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატისა და ფორმატის შეცვლის საკითხებზე რუსი და ქართველი დიპლომატების მოლაპარაკებები დაიწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. უცხოეთის მოქალაქეების მიერ აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტი, ამ რეგიონზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, გაუქმებულად გამოცხადდება. ამის შესახებ განაცხადა ქონების მართვის მინისტრმა სოლომონ პავლიაშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზაფხულამდე პანკისის ხეობის კრიმინალებისაგან გაწმენდა დაავალა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ახმეტის რაიონში ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ღონისძიებების ჩატარებისათვის გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და მამაცობისათვის, გუშინ შსს-ს სისტემის თანამშრომლები ორდენებით და მედლებით დააჯილდოვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ოსაძემ გუშინ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ოფიციალური წერილით მიმართა, რის საფუძველზეც იგი პარლამენტის ბიუროს მომავალ სხდომაზე საგანგებო ინფორმაციით გამოსვლას აპირებს. ოსაძის თქმით, მისი მოხსენება მასმედიისთვის დახურული იქნება. კულუარული ინფორმაციით, ოსაძე ბიუროს წევრებს პარლამენტის ერთ-ერთ დავალებასთან დაკავშირებით გრიფით `საიდუმლო~ დოკუმენტებს გააცნობს. „ აღნიშნული ინფორმაციას თავად ოსაძემაც დაადასტურა. მისი თქმით, საიდუმლო ინფორმაცია ერთ-ერთ საკითხს ეხება, რომლის შესწავლაც პარლამენტის ბიურომ კომისიას შარშან დაავალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს თბილისში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვლენ აზერბაიჯანის, უკრაინის და მოლდოვის სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებიც საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ვალერი ჩხეიძესთან სამუშაო შეხვედრას გამართავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველი სამხედროები, კერძოდ 140-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი კოსოვოს სამშვიდობო აქციაში მონაწილეობის მისაღებად წლეულს, ივნისში გაემგზავრება. თავიანთ სამშვიდობო მისიას ისინი გერმანული ბატალიონის შემადგენლობაში შეასრულებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ხვალ გაემგზავრება მოსკოვს, საიდანაც კისლოვოდსკში 8 თებერვლისთვის დანიშნულ ოთხთა შეხვედრაზე დასასწრებად ჩავა. კისლოვოდსკში დახურულ კარს მიღმა ერთმანეთს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების და რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოთა ხელმძღვანელები შეხვდებიან; იმსჯელებენ ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებსა და კავკასიის რეგიონში არსებულ პრობლემებზე. ოთხთა ტრადიციულ შეხვედრაზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება არ იგეგმება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სამხედრო საზღვაო ფლოტის საპატრულო კატარღებს "ივერიასა" და "მესტიას" საბერძნეთში შესაკეთებლად გააგზავნიან, ამ პერიოდში კი, მათი ეკიპაჟი ამავე ქვეყანაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გადამზადებას გაივლის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმმა დაუშვებლად მიიჩნია, მომავალში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუს სამშვიდობოთა ევროკავშირის ჯარებით ჩანაცვლების შესაძლებლობა. ამის შესახებ სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დაურ არშბამ განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

„ხალხის პირისპირ"
ეს არის გალევიძგორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეაღგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის საბუღიაში მონაწილეთ კონკურსანგს.
ხალხის პირისპირ
მაშ ასე, შეაფასეთ გლანკი, ამოქერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).
ინსტრუქციები კითხვის შედგენილობის:
კითხვები ზოგადსაგანმანათლებლო ხასიათის უნდა იყოს, სირთულის ცოტით კითხვა უნდა უპასუხებოდეს „ის უნდა 20 000"ის. 200 და 400 დოლარიან შეკითხვებს, (ოღონდ კონკურსანტს არ უნდა ოთხი სავარაუდო პასუხის) ჰკვლევიად. რომელი მეფეების ეგიდით მოხდა ფრანგული 1971-1991 წლებში? - „ქედში" ან რომელ მხარეს მდებარეობს ცენტრის ტელეკომპანიის

„მემარჯვენეები" „მემარჯვენეების" წინააღმდეგ

ირაკლი ლორთქიფანიძის ფოტო

კობა კვაჭანტირაძის მხარდამჭერთა აქცია.

"მემარჯვენეების" წინააღმდეგ მათივე თანაპარტიელებმა აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების ერთადერთი მოთხოვნაა, გათავისუფლდეს კობა კვაჭანტირაძე, რომელიც, მისი მეგობრების თქმით, არასწორად არის დაკავებული

ბელა მახარაძე

რამდენიმე დღის წინ "მემარჯვენეების" ოფისის დარბევასთან დაკავშირებით დაკავებული პარტიის ერთ-ერთი წევრის - კობა კვაჭანტირაძის მეგობრებმა, მისმა თბილისელმა მეზობლებმა და "ახალი მემარჯვენეების" ახალციხისა და ვალის რაიონის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი მოითხოვენ, სასწრაფოდ გაათავისუფლონ კობა კვაჭანტირაძე, რომლის მიმართაც საქმე აღძრულია ხულიგნობის მუხლით.

გამსახურდიას ძეგლის წინ შეკრებილი დაახლოებით ასამდე ადამიანი კობა კვაჭანტირაძეს ახასიათებს, როგორც საუკეთესო მეზობელს, მეგობარს და მამას. მისი თანაპარტიელების თქმით, "ახლებმა" ახალციხისა და ვალის რაიონებში სწორედ კვაჭანტირაძის დამსახურებით აიღეს ხმები თვითმმართველობის არჩევნების დროს. ისინი არ აპირებენ პარტიის არც ერთ ლიდერთან შეხვედრას და ამბობენ, რომ, თუ კვაჭანტირაძეს სასწრაფოდ არ გაათავისუფლებენ, ისინი დატოვებენ პარტიას.

"კობას ხათრით, ჩვენ იმდენი ხმა მოვუგროვეთ "ახლების" პარტიას, რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენი რაიონის დიდი დამსახურებაა მათი დღევანდელი განმტკიცება. ამიტომ მათ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ სასწრაფოდ გათავისუფლდეს უდანაშაულო ადამიანი, რომელიც ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა პარტიას და არასოდეს ლაპარაკობდა ამის შესახებ ხმამაღლა,"- აცხადებს პარტიის ერთერთი წევრი, კვაჭანტირაძის მეგობარი.

"მე და ჩემმა ოჯახის წევრებმა მხოლოდ კობას ხათრით მივეცით ხმა "მემარჯვენეებს", რადგან, მისი ხასიათიდან გამომდინარე, დარწმუნებულები ვიყავით, რომ ის ითანამშრომლებდა მხოლოდ პატიოსან საზოგადოებასთან, მაგრამ დღეს მას თავისივე პარტია ცილს სწამებს. რისთვის სჭირდებათ ეს ყველაფერი, ჩემთვის გაუგებარია. შიდა პარტიული უთანხმოება შეეძლოთ ისე მოეგვარებინათ, საერთოდ არ აეტეხათ ასეთი აჟიოტაჟი,"- აცხადებს კვაჭანტირაძის თბილისელი მეზობელი.

აქციის მონაწილეებს იმედი აქვთ, რომ სიმართლე გაირკვევა და კობა კვაჭანტირაძე გათავისუფლდება.

ახალგაზრდული ორგანიზაციები ძალადობას უპირისპირდებიან

გიგისა ბახტაძის ფოტო

ახალგაზრდა პოლიტიკოსები საპროტესტო აქციებითაც იმუქრებიან.

"ახალგაზრდა პოლიტიკოსები" გუშინ "შედარებით უფროსი" პოლიტიკოსების მიერ გაკვალულ გზას გაჰყვნენ. ამ გზამ ისინი პირდაპირ "ახლების" ოფისში მიიყვანა, სადაც თერთმეტმა ახალგაზრდულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ერთობლივი განცხადება გააცნო საზოგადოებას.

"ახალგაზრდა მემარჯვენეები", "ახალგაზრდა დემოკრატები", "ახალგაზრდული ნაციონალური მოძრაობა", "ახალგაზრდა ტრადიციონალისტები", "ახალგაზრდა ლეიბორისტები", "დემოკრატიული აღორძინების ახალგაზრდული კავშირი", "ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი", "ახალგაზრდა მრეწველები", "ახალგაზრდა ლიბერალები", "ახალგაზრდა ქრისტიან დემოკრატები" და "ახალგაზრდა სახალხოელები" **"უკიდურეს შეშფოთებას და მტკიცე პროტესტს"** გამოთქვამენ ქვეყნის პოლიტიკის კრიმინალიზების მცდელობის წინააღმდეგ, რის მორიგ ნიშნადაც "ახლების" ოფისის დარბევა მიაჩნიათ.

"ვის მიერაც არ უნდა იყოს დაგეგმილი, ეს არის საქართველოში ადამიანის თავისუფლების დათრგუნვის გეგმის ნაწილი და ამ გეგმის შემდგომი განვითარება აუცილებლად მიგვიყვანს ჩვენს ქვეყანაში ტოტალიტარიზმის რესტავრაციამდე, თანამდევი ტრაგიკული შედეგებით. საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება და პრეზიდენტი კი იქნება ამ პროცესის თანამონაწილე და შედეგებზე უმთავრესი პასუხისმგებელი," - ნათქვამია განცხადებაში.

ისევე, როგორც უფროსები, ახალგაზრდა პოლიტიკოსები იმუქრებიან, რომ, თუ ხელისუფლება შექმნილი რთული ვითარების ცივილური მეთოდებით მოგვარებას არ დაიწყებს, ისინი გამოიყენებენ **"კანონით დაშვებულ ყველა საშუალებას - გაფიცვების, დემონსტრაციების, მანიფესტაციების და სახალხო დაუმორჩილებლობის აქციების ჩათვლით".**

"24 საათი"

საქართველო ბალკანეთში სამშვიდო მისიას აფართოებს

ნატო-ს წევრობის მსურველ საქართველოს ხელისუფლებას 2003 წელს ადრე ნაკისრი ვალდებულებების განაღდება მოუწევს. ერთ-ერთია სამშვიდობო მისიის გაფართოება ბალკანეთში, სადაც, თურქეთის ბატალიონის შემადგენლობაში, ქართული ოცეული უკვე მეოთხე წელია, ასრულებს საბრძოლო დავალებას.

ქობა ლიკლიკაძე,
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

1999 წლიდან საქართველო მონაწილეობს ნატო-ს დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში(PARP) და ამზადებს ყოველწლიურ "პარტნიორობის მიზნებს", რომელმაც შეიარაღებული ძალების დასავლურ სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევა უნდა უზრუნველყოს. საქართველომ ასეთი 29 მიმართულება აირჩია, რომელთა მიღწევის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას მართლა ექნება შანსი უმთავრეს მიზანზე - ნატო-ში გაწევრიანებაზეც იფიქროს. ჯერჯერობით კი მიღწეული ცოტაა, რის გამოც საქართველოს ხელისუფლებას წელსვე მოუწევს ანგარიშით წარდგომა ალიანისის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღანელობის წინაშე. თუმცა, სასიხარულოა აღინიშნოს, რომ შეუსრულებელი პარტნიორობის მიზნები წელს კიდევ ერთით შემცირდება. ლაპარაკია, სამშვიდობო ასეულის გაგზავნაზე კოსოვოს მრავალეროვნული სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში, სადაც თურქეთის ბატალიონის შემადგენლობაში, ერთი ქართული ოცეული 1999 წლიდან მოქმედებს.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტრომ ქვეითთა სამშვიდობო ასეულის ფორმირება, კონკურსის წესით, ორი წლის წინ დაიწყო, მაგრამ ვინაიდან ასორმოცკაციანი ქვედანაყოფის გამგზავრება და მისი შენახვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, პროცესი დროში საკმაოდ გაიწელა. საბოლოოდ, ქართული ასეულის განთავსება გადაწყდა გერმანული ბრიგადის ბაზაზე, რომელიც კოსოვოში ერთ სექტორს აკონტროლებს და რომლის შემადგენლობაში, თავის მხრივ, ინტეგრირებულია თურქეთის ბატალიონიც.

"გაძლერებული ასეული, 140 კაცის შემადგენლობით, მაისიდან გადაინაცვლებს კოსოვოს მიმართულებით. ეს იქნება პარალელური პროგრამა იმისა, რასაც ჩვენ თურქეთის მხარესთან ვახორციელებთ. ასე რომ, მაისიდან ჩვენი სამხედრო წარმომადგენლობა კოსოვოში, დაახლოებით, ორას კაცამდე იქნება." 4 თებერვალს, სასტუმრო "თორში", როდესაც გენერალი დავით თევზაძე ამ განცხადებას აკეთებდა, პარალელურად გერმანიაში შესაბამისი შეთანხმება გაფორმდა საქართველოს ელჩსა და ბუნდესვერის წარმომადგენელს შორის (ამ ფაქტის შესახებ "24 საათი" უკვე იტყობინებოდა). შეთანხმების მიხედვით, გადაწყდა, რომ ქართული ასეული კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში(KFOR) 140 მებრძოლის შემადგენლობით მიიღებს მონაწილეობას და ოპერატიულად დაექვემდებარება გერმანული ბრიგადის მეთაურის მოადგილეს. მაგრამ მანამდე, მაისში, ქართული ასეული 4-კვირიან მომზადებას გაივლის ბუნდესვერის სახმელეთო ჯარების სკოლაში და აღიჭურვება ბუნდესვერის შეიარაღებით, ტექნიკით, სამოსითა და სამხედრო მოსამსახურის პირადი ნივთებით.

მაგრამ ვიდრე ფორმით გერმანული და შინაარსით ქართული ასეული კოსოვოში სამშვიდობო მისიას შეუდგებოდეს, მოსაგვარებელია კიდევ ერთი ფორმალური მხარე - საქართველოს პარლამენტის მიერ ამ შეთანხმების რატიფიკაცია, რასაც, მოტივირებული "თემატური უმრავლესობის" პირობებში, იმედია, არავითარი საფრთხე არ დაემუქრება.

გაცილებით, პრობლემატურია საერთაშორისო სამშვიდობო გამოცდილების აკუმულირება და კოსოვოდან დაბრუნებული ჯარისკაცების გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში, სადაც ქართულ ბატალიონებს, ჯერჯერობით, მეორეხარისხოვანი როლი ენიჭებათ. თანაც, ზემოხსენებული პარტნიორობის მიზნების თანხმად, საქართველომ 2 წელიწადში საკუთარი სამშვიდობო ბატალიონი უნდა ჩამოაყალიბოს. ამის გათვალსისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც ბატალიონის ფორმირება გორის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე უნდა დაწყებულიყო. თუ რატომ შეირჩა სამშვიდობო ბატალიონის მუდმივი დისლოკაციის ადგილად გორი, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება - ქალაქი სულ რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული ცხინვალიდან, სადაც სამმხრივი სამშვიდობო ძალებია განლაგებული. შესაბამისად, გორიდან უფრო იოლი იქნება კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილე ქართული სამშვიდობო ძალების როტაციის განხორციელება და მათი ოპერატიული მართვაც. მაგრამ, შესაბამისის თანხების უქონლობის გამო, გორში ქართული სამშვიდობოების ბაზის მოწყობა ჭიანურდება. ამიტომ გაძლიერებული ქართული ასეული, რომელიც ივნისიდან კოსოვოში მიემგზავრება, "ცხელი წერტილებიდან" საკმაოდ დაშორებით, ვაზიანის ტერიტორიაზეა დაბანაკებული.

წინ გვაქვს მესამე მსოფლიო ომი და გაერო-ს კრახი

ᲘᲮᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ალექსანდრ შაბანოვი

- გვინდა უახლოეს პლენარულ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის ივანოვის მოწვევა. ვიზიტი ერთი თვის წინ დავგეგმეთ და იგი არ გადადებულა. ბაღდადში გაფრენამდე ჩვენი მინისტრის პოლიტიკურ-დიპლომატიური არგუმენტების მოსმენაა საჭირო.

- გამოდის, რომ გაერო-ს გავლენა მსოფლიო პროცესებზე ძალიან შესუსტდა და ამ ორგანიზაციის სამშვიდობო ინიციატივებმა აშკარად დაკარგა ძალა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

- გაერო დღეს აღარ არსებობს. სპარსეთის ყურის გარდა, ჩვენ გვეღლდება კიდევ ერთი კრიზისი - გაერო-ს კრახი, მისი უშიშროების საბჭოს კრახი, რომელსაც აღარც თავმოყვარეობა და აღარც ავტორიტეტი აღარ შერჩა. გაერო-ს ავტორიტეტის დაცემით უმალ ნოლზე დადის დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტიც.

- ამ ომის თავიდან ასაცილებლად რუსეთის წინადადებებს არ გაიზიარებენ?

- პუტინის განცხადებით, თუ სადამს საეჭვო იარაღი აღმოაჩნდება, გაერო-ს უშიშროების საბჭო ისევ უნდა შეიკრიბოს ამ წინადადებების განსახილველად. ამიტომ რუსეთზე დღეს ბევრია დამოკიდებული. მაგრამ ეს ფანტაზიის სფეროდანაა. ნებისმიერი ქვეყანა, სადაც არსებობს ვაქცინები და ფარმაცევტული მრეწველობა, რასაკვირველია, აწარმოებს ქიმიურ და ბაქტეოროლოგიურ იარაღს, ისევე, როგორც ბიოლოგიურსა და სამხედროს. მე ის უფრო მაღელვებს, რომ, აშკარა აგრესიის პირობებში, რუსი სპეციალისტები ნავთობზე მოგებას ითვლიან. ეს უზნეობაა. მრავალი რეჟიმია მსოფლიოში, რომელიც აშშ-ს არ მოსწონს, მაგრამ იტანენ. ერაყის შემთხვევაში მხოლოდ ნავთობის ინტერესები მოქმედებს. არაფერს ვამბობ კასპიის რესურსებზე.

- თუ გახსოვთ, ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვში, "ალექსანდრ-ჰაუსში" მრგვალი მაგიდა გამართა ასეთი სახელწოდებით: "ერაყზე და საქართველოზე პრევენტული დარტყმების ალბათობა." რამდენად ზნეობრივია ერაყისა და საქართველოს ერთ კონტექსტში განხილვა?

- მოსკოვში სერიოზულად არავის, არასოდეს მოუთხოვია საქართველოს დაბომბვა. საერთოდ, საომარი მოქმედებების წარმოებაზე მოლაპარაკებების დროს მუდამ არსებობს საიდუმლო გეგმა, რაც ორმხრივი მოლაპარაკების საგანია. თუ ბატონ არმეტიჯს თავის ცნობილ განცხადებაში იმის მინიშნება სურდა, რომ ამ მხრივ რუსეთ-ამერიკას შორის რაღაც გარიგებას აქვს ადგილი, ეს პირადად მისი თვალსაზრისია. ამერიკას რომც ჰქონდეს დღეს პანკისის ხეობის დაბომბვის ჩანაფიქრი, ამას რუსეთი წინ აღუდგება. რუსეთს არ შეუძლია ამის დაშვება. არ შეიძლება პანკისის ხეობის დაბომბვა, სადაც ათასობით უდანაშაულო და მშვიდობიანი მოსახლე ცხოვრობს. ამის წარმოდგენაც არ შეიძლება. გასაგებია, რომ აშშ-ს თავისი ინტერესები აქვს ამ რეგიონში. არა საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიაში, რომლის ყველაზე არასტაბილური და მტკივნეული ნაწილი დღეს საქართველოა.

საქართველო, როგორც სახელმწიფო, დღეს სულს ღაფავს – ნუ მიწყენენ ქართველი პოლიტიკოსები, მაგრამ მათაც ხომ ესმით, რომ დღეს მიმდინარეობს საქართველოს შიგნიდან დაშლის პროცესი, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სომხეთსა და აზერბაიჯანს ესაზღვრებიან.

- ბევრი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ, ერაყის დაბომბვის პარალელურად, აშშ მოახერხებს აფხაზეთის საქართველოს წიაღში დაბრუნებას. იზიარებთ რუსი ექსპერტების ასეთ პროგნოზს?

- ერაყის დაბომბვა აფხაზეთის პრობლემას ვერ გადაწყვეტს. შეიძლება საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ამის იმედი აქვს, მაგრამ მან მშვენივრად იცის, რომ აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების საგანია. ამ პროცესში გადამწყვეტი სიტყვა რუსეთს ეკუთვნის. აფხაზეთი დღეს დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

- როგორ ფიქრობთ, აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის გაყვანის პარალელურად, მშვიდობის ძალით დამყარების პროგრამას საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს არ დაუჭერენ?

- აფხაზეთის საქართველოს წიაღში დაბრუნება, ფორმალურად, მხოლოდ ომის გზითაა შესაძლებელი. არსებული სამხედრო პოტენციალის პირობებში კი, საქართველოს დღეს ამის გაკეთება არ შეუძლია. იგი მომენტალურად წააგებს ომს და პროცესი ენგურზე კი არ შეჩერდება, არამედ - ქუთაისთან.

- აფხაზები ქუთაისამდე ჩავლენ?

- დიახ, რუსებთან ერთად! კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის გასვლით ომი დაიწყება და ვინ იქნება შეიარაღებული კონფლიქტის ავტორი, მნიშვნელობა აღარ ექნება.

- არძინბას ახლაც რუსეთი დაეხმარება?

- არა, რატომ? რუსეთი უკვე დაეხმარა! აფხაზები დღეს ამას თავადვე შეძლებენ. ისინი ქართველებზე მეტად ორგანიზებული ხალხია და უკეთესი მეომრებიც არიან. ეს კარგად აჩვენა 1994 წელმა. აფხაზებმა საკუთარი ძალებით გაყარეს ქართველები.

- ე.ი. საქართველოს მხრიდან გაერო-ს მიმართ აპელირება სრულიად არაფრისმომცემია...

- გაერო დაივიწყეთ. იგი დაიშალა და წაიშალა. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, დღეიდან გაერო-ს მსოფლიოში ანგარიშს აღარავინ გაუწევს. პირველ რიგში კი - ამერიკა.

ესაუბრა რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

ტყე აღარ დარჩა, მისი „შესანახი" 21 მილიონი კი ასათვისებელია

მაია ურუშაძე

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა "საქართველოს ტყის განვითარების პროექტის" ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები განიხილა. თავად პარლამენტი ამ ღონისძიებების პროექტს საგაზაფხულო სესიაზე გაეცნობა. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე ვარაუდობს, რომ პროექტს წინააღმდეგობის გარეშე დაამტკიცებენ.

პროექტის თანახმად, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი რიგ ფუნქციებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადასცემს, თავად კი სამეურნეო ორგანიზაციად იქცევა.

როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარებას 21 მილიონი დოლარი სჭირდება. ამ თანხის უმეტესი ნაწილი – 15 მილიონ 700 ათასი დოლარი - მსოფლიო ბანკმა შეღავათიანი კრედიტის სახით გამოყო. საკრედიტო ხელშეკრულება 2002 წლის 3 დეკემბერს გაფორმდა. მსოფლიო ბანკის კრედიტი 40 წლიანია, საიდანაც 10 წლის განმავლობაში წლიური საპროცენტო განაკვეთი შეღავათიანი იქნება - 0,75 პროცენტი. თავად პროექტი ტყის ინვენტარიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესებას, ტყის აღდგენა-გაშენებას, ინსპექტირების გაძლიერებასა და სხვა ღონისძიებებს ითვალისწინებს. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მერაბ დვალის განცხადებით, საქართველოს რაიონებში (პროექტის ფარგლებში) 8700 ჰექტარის ფართობზე მოხდება ტყის დაზიანებული მასივების აღდგენა. "ძირითადად, ტყის ფართობები აღდგება თბილისის შემოგარენში მდებარე რაიონებში: თეთრი წყაროში, მარნეულში, საგარეჯოში, გარდაბანსა და მანგლისში," – განაცხადა დვალმა.

პირველ ეტაპზე სატყეო სექტორის განვითარების ცენტრი მონიტორინგს ჩაატარებს, გაუმჯობესდება სატყეო სექტორის საკანონმდებლო ბაზა, გატარდება ფინანსური და ინსტიტუციონალური რეფორმები. სხვათა შორის, ეს რეფორმები ტყის პრივატიზების საკითხსაც დაარეგულირებს. **"მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ტყის ძირითადი ნაწილი კერძო საკუთრებაა,"** - განაცხადა დვალმა. ამდენად, უახლოეს მომავალში საქართველოს ტყეების გაყიდვაც იგეგმება.

გამოხმაურება

გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა რეპორტაჟი ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს სხდომიდან. იხილებოდა სარჩელი "გაერთიანებული ქართული ბანკის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. სხდომის დაწყებისთანავე პროკურატურის წარმომადგენელმა დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის - მეანაბრეების მოთხოვნა, რომ აღძრულიყო საქმე ბანკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ თაღლითობის მუხლით. ასეთმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია მოსარჩელეთა და მათი ადვოკატის აღტაცება. იქვე საჯაროდ მათ გააკეთეს შორსმიმავალი განცხადებები. რედაქციას მოგვიანებით გამოეხმაურა საკუთრივ "გაერთიანებული ქართული ბანკი". მიუკერძოებლობის დასაცავად, სამართლიანად მიგვაჩნია გაერთიანებული ქართული ბანკის პოზიციის გამოქვეყნებაც. ვიმედოვნებთ, რომ პროკურატურის გამოძიება და უზენაესი სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილება საბოლოოდ შეიტანს სიცხადეს ამ დავაში.

ადვოკატ ბესელიას შეცდომაში შეჰყავს კლიენტები

იმთავითვე ვადასტურებთ პატივისცემას გაზეთ "24 საათისა" და მისი მკითხველისადმი და, ამდენად, გვსურს გამოვეხმაუროთ "24 საათის" N34-ში (5 თებერვალი 2003 წელი) ჟურნალისტ სოფიკო ოხანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას - "ვაკე-საბურთალოს პროკურატურამ "გქბ"-ის ხელმძღვანელების წინააღმდეგ საქმე აღძრა".

ჟურნალისტს გადმოცემული აქვს 4 თებერვალს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გამართული პროცესის პერიპეტიები და პროკურორის დასკვნის შესახებაც ამცნობს მკითხველს. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება საკითხის პრეისტორიის გაცნობაც.

საქმე ისაა, რომ მომჩივანთა ეს ჯგუფი "გაერთიანებულ ქართულ ბანკთან" საფინანსო დავას აწარმოებს თანხების თაობაზე, რომელიც მას ბანკისთვის არასოდეს მიუბარებია. ისინი არ ფლობენ მეანაბრისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას. მათ მიერ დასახელებული თანხები ბანკს არა აქვს მიღებული ანაბრად და, შესაბამისად, ვერც ამ პიროვნებებს აღიარებს მეანაბრეებად. თბილისის საოლქო სასამართლომ ამ ჯგუფს 2002 წლის ივლისში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. მათი მხრიდან უზენაესი სასამართლოს სააპელაციო პალატაში შეტანილი სარჩელი უახლოეს ხანში განიხილება და საკითხთან დაკავშირებით უმაღლესი ინსტანციაც გამოიტანს კანონიერ გადაწყვეტილებას.

მომჩივანთა ამ ჯგუფმა და მათმა ადვოკატმა - ეკა ბესელიამ საოლქოში ნაწვნევი მარცხის შემდგომ საკითხის სხვა კალაპოტში წარმართვა განიზრახეს და ახლა უკვე ბანკის ხელმძღვანელობას პროკურატურაში უჩივიან თანხების თაღლითური გზით მითვისების ბრალდებით. "გაერთიანებული ქართული ბანკი" და მისი ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ რა გზასაც უნდა დაადგნენ ეს ჯგუფი და მათი ადვოკატები, სიმართლე ყოველთვის დარჩება "გაერთიანებული ქართული ბანკის" მხარეზე, რადგან მათ მიერ საზოგადოებასა თუ სასამართლოზე თავსმოხვეული არგუმენტაცია ნებისმიერი კვალიფიკაციის იურისტისთვისაც ობიექტურად არასაკმარისი აღმოჩნდება. ადვოკატ ეკა ბესელიასგან განსხვავებით, დღემდე ჩვენ თავს ვიკავებთ და თაღლითისა თუ სხვა ამგვარი ეპითეტებით არ ვამკობთ ადვოკატებს. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ უზენაესი სასამართლოც და პროკურატურის გამოძიებაც თავის რეალურ სახელს დაარქმევს ყველას და ყველაფერს.

ჩვენი აზრით, მომჩივანთა და მათ ადვოკატთა მოქმედებებს მართლაც აქვს გარკვეული მოტივაცია. კერძოდ, მომჩივანები აცხადებენ, რომ მათ ნახეს სერიოზული ფინანსური ზარალი და ამაში "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" სხვადასხვა დროს მომუშავე სხვადასხვა პირებს ადანაშაულებენ. მათი ოჯახებიდან ამ დეკლარირებული ზარალის ანაზღაურებას არ ელოდებიან და, ამდენად, ცდილობენ ხმაურითა და სახელის შებღალვის მცდელობებით ბანკი და მისი ხელმძღვანელობა აიძულონ, რათა მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. ბანკი კი, მოგეხსენებათ, თავისი ბუნებით არც კეთილშობილ ქალთა სასწავლებელია და არც ჭუმანიტარული ორგანიზაცია და, შესაბამისად, იმ ვალდებულებებზე, რაც მას არასოდეს უკისრია, პასუხისმგებლობასაც ვერ იტვირთავს. ჩვენ გვინდა ხაზგასმით შევნიშნოთ, რომ ვფიქრობთ, ამ ჯგუფის მიერვე ინიცირებული საპროკურატურო გამოძიება საბოლოოდ დაადასტურებს, ვინ არიან თაღლითები და ვინ - მათგან დაზარალებულნი.

რაც შეეხება საქმის შესაძლო მოგების შემთხვევაში ადვოკატის საქმიანობის ანაზღაურებას, ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, როცა ბესელიას და კომპანიას ჰონორარი, პრაქტიკულად არ აინტერესებს და ქვენა პოლიტეკონომიკური ინტერესების გამო, ხშირ შემთხვევაში შეცდომაში შეჰყავთ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნებები.

და ბოლოს, თქვენს მკითხველს გვსურს შევახსენოთ, რომ ბანკს ერჩის რამდენიმე ათეული ეგრეთ წოდებული მეანაბრე, ხოლო რეალურად "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" ჰყავს რამდენიმე ათეული ათასი მეანაბრე და გააჩნია მრავალმილიონიანი სადეპოზიტო ბაზა, რომლის მომსახურებასაც კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განუხრელი დაცვით ახორციელებს. ეს რომ ასე არ იყოს, "24 საათის" ინტელექტუალურ მკითხველს არ გაუჭირდება შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

რაც შეეხება სასამართლო დავებსა და ძიებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განვმარტავთ, რომ მზად ვართ ყველა ინსტანციაში დავიცვათ "გაერთიანებული ქართული ბანკის" ინტერესები და დავემორჩილოთ კანონის მოთხოვნებს.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

დენის ტარიფი სიმბოლურად შემცირდა

პირველი გვერდიდან

სემეკ-ის ხელმძღვანელის ელიზბარ ერისთავის ინფორმაციით, ტარიფის შემცირება ყოველგვარი ეკონომიკური გაანგარიშების გარეშე მოხდა, რადგან მარეგულირებელი კომისიის მთავარი მიზანი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება იყო. ერისთავის განმარტებით, ტარიფი, ძირითადად, შემცირდა წარმოების, დისპეტჩერიზაციის, გადაცემისა და გამანაწილებელი კომპანიების ხვედრითი წილების შემცირების ხარჯზე (წარმოება - 20 პროცენტით, დისპეტჩერიზაცია - 20 პროცენტით, გადაცემა-განაწილება - 10-10 პროცენტით). ჰიდროელექტროსადგურების ტარიფის 20-პროცენტიანი შემცირება არ ვრცელდება იმერეთის ჰესებზე, რომლებიც 10 მილიონ კვტსთ-ზე ნაკლებ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ და ბაზარზე ამინდს არ ქმნიან. დანარჩენ ჰესებს შორის გამონაკლისი იქნება „ენგურჰესი", სადაც ტარიფი 30 პროცენტით შემცირდება, ასევე - „ხრამი-1" და „ხრამი-2", რომელიც „ეი-ი-ესის" კუთვნილებაა და იქ ტარიფი 10 პროცენტით შემცირდება. რაც შეეხება თბოელექტროსადგურებს, ტარიფში მათი წილი არ შეიცვლება. ერისთავი იმედოვნებს, რომ სახელმწიფო დაპირებას შეასრულებს და უახლოეს დღეებში პარლამენტში შეიტანენ კანონპროექტს ელექტროენერგიაზე დღგ-ს გაუქმების შესახებ. **"ეკონომიკის მინისტრმა, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა და, რაც მთავარია, სახელმწიფო მინისტრმა მოიწონეს წინადადება დღგ-ს გაუქმებასთან დაკავშირებით",** - აღნიშნა სემეკ-ის ხელმძღვანელმა.

დემურ ჩომახიძე, ელიზბარ ერისთავი და პაატა ცინცაძე.

მარეგულირებელი კომისიის დადგენილების მოწინააღმდეგეთა შორის საქართველოს გაერთიანებული ენერგოსისტემის გენერალური დირექტორი ვახტანგ ბეგიაშვილიც აღმოჩნდა. მან ერისთავის განცხადება გააპროტესტა და იქვე დასძინა, რომ ტარიფის შემცირება მხოლოდ "ეი-ი-ეს თელასის" წილზე უნდა ასახულიყო. უფრო მეტიც, ბეგიაშვილის განცხადებით, იგი დღესვე აპირებს გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ტარიფის 20-პროცენტიანი მომატების შესახებ სემეკ-ში განაცხადის შეტანას. თუ სემეკი არ დააკმაყოფილებს ბეგიაშვილის მოთხოვნას, საქართველოს გაერთიანებული ენერგოსისტემა უკვე სასამართლოს მიმართავს. **"ჩვენ არ ვეთანხმებით სემეკ-ის ამ პოზიციას. როცა ტარიფი მოუმატეს და 13,7 თეთრი გახდა, მაშინაც დაგვაკლეს. ახლა ტარიფის შემცირებაზეა საუბარი და ისევ ჩვენ გვაკლებენ. "თელასმა" რამდენჯერაც კი ტარიფის მომატების საკითხი დააყენა, იმდენჯერ გადაცემა-დისპეტჩერიზაციას შეუმცირეს ტარიფი",** - განაცხადა ვახტანგ ბეგიაშვილმა.

სემეკ-ის გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა „ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლებისთვისაც. "თელასის" კომპონენტი ტარიფში 7,7 თეთრიდან 7 თეთრამდე შემცირდება, რასაც კომპანიის წარმომადგენლები უკანონოდ მიიჩნევენ. **"ჩვენი კომპონენტი ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე არაერთხელაა დადგენილი. ამიტომ, რა თქმა უნდა, თანახმა არ ვართ, რომ ჩვენმა კომპონენტმა დაიწიოს",** - განაცხადა "ეი-ი-ეს თელასის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვალერი ფანცულაიამ. მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას კომპანიის ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში მიიღებს; თუმცა, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში სემეკ-ის გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე "ეი-ი-ეს თელასი," ჯერჯერობით, დუმს.

განსაკუთრებული აქტიურობით "ლეიბორისტები" გამოირჩეოდნენ. მათ გააპროტესტეს სემეკის დადგენილება და კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაშიც დაადანაშაულეს. მათი განცხადებით, ასეთი ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. გახმაურებული სარჩელის ავტორი პარტია გენერალური პროკურატურისგან სემეკ-ის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს. **"ჩვენი მოთხოვნა გაცილებით მეტია, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებაშია. მაგრამ ახლა ვითხოვთ, რომ სემეკმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც შეასრულოს. იქ კი გარკვევით წერია, რომ ტარიფი მოსახელობის სოციალური მდგომარეობის, სამომხმარებლო კალათისა და მინიმალური ხელფასების გათვალისწინებით უნდა დაწესდეს. დღევანდელი დადგენილებით კი, სემეკი არ ასრულებს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას",** - განაცხადა ლეიბორისტმა ფრიდონ ინჯიამ.

სხდომის პარალელურად, შენობის წინ, ტრასპარანტებით - **"შეწყვიტეთ ხალხის ტერორი!"**, **"სემეკი მოსახლეობას ხარკს ადებს!"** - გამაფრთხილებელი აქცია გამართეს ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა. აქციის მონაწილეები და ორგანიზატორები ტარიფის ოთხ ან ექვს თეთრამდე შემცირებას ითხოვდნენ.

სემეკ-ის ხელმძღვანელი ელიზბარ ერისთავი მომზადებული შეხვდა დადგენილების შესახებ გამოხატულ პროტესტს. წინასწარ იცოდა, რომ მისი განცხადება ყველას უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მაგრამ, ერისთავის თქმით, სემეკ-მა ყველაფერი სწორედ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე გააკეთა. ამის მაგალითად კი დაასახელა ტარიფის ეკონომიკური გაანგარიშების გარეშე და მხოლოდ სოციალური ფაქტორის გათვალისწინებით დადგენა. **"რადაგან შესასრულებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნა, სხვა გზა არ გვქონდა. რეალური ტარიფი კი, სწორედ, დღეს მოქმედი 13,7 თეთრია",** - განაცხადა ერისთავმა. სემეკ-ის დადგენილებით გათვალისწინებული ტარიფის მიღების შემთხვევაში, ენერგეტიკის სისტემის დანგრევაზე ისაუბრა ენერგეტიკოსთა საზოგადოების ხელმძღვანელმა მირონ ფირცხელანმაც, თუმცა ჰესების წილის შემცირება მაინც გააპროტესტა.

აღსანიშნავია, რომ ახალი ტარიფის საკითხის განხილვისას დარბაზში გამოირთო ელექტროენერგია, რაც სხდომაზე დამსწრე ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა პროვოკაციად მონათლეს და იმით ახსნეს, რომ სემეკ-ს სხდომის ჩაშლა სურდა. "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლებმა ეს ფაქტი დაზიანებით ახსნეს. 45-წუთიანი ჩაბნელების შემდეგ სხდომა გაგრძელდა.

ერისთავის თქმით, ახალი ტარიფის შესახებ განაცხადი იუსტიციის სამინისტროს დღეს გაეგზავნება. თუ სემეკ-ის დადგენილების პროექტი დამტკიცდება, ახალი ტარიფი ძალაში შევა მიმდინარე წლის 6 იანვრიდან, ანუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ქვეყნისა და დედაქალაქის ბიუჯეტები ვერ სრულდება

თბილისის 2003 წლის ბიუჯეტი ჯერ დამტკიცებული არ არის, საკრებულო კი უკვე იანვრის თვის გეგმის თითქმის ორმილიონიან "გარღვევაზე" ტეხს განგაშს. თუ მომდევნო თვეებში გადასახადების ადმინისტრირების დონე მნიშვნელოვნად არ ამაღლდა, დედაქალაქს, შარშანდელთან შედარებით, 24 მილიონი ლარით ანუ 188 მილიონ ლარამდე გაზრდილი ბიუჯეტის შესრულების მეტად მცირე შანსები ექნება. გარდა ამისა, თბილისის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტს სერიოზული ეჭვი აქვთ, რომ ისინი "უძირო ქვევრად" ქცეული "თბილგაზისთვის" რამდენიმე ათეული მილიონი ლარის გამოყოფას ვერც მიმდინარე ანუ საპარლამენტო არჩევნების წელს გადაურჩებიან.

გვანცა კვინიკაძე

დედაქალაქის ბიუჯეტში იანვარში დაგეგმილი 13-ის ნაცვლად შევიდა მხოლოდ 11 მილიონი ლარი. სანუგეშო პროგნოზი არც მიმდინარე თვისთვის კეთდება, რადგან თებერვალში იანვრის ნაშრომ-ნაღვაწის დაბეგვრით მიღებული თანხები იკრიბება. იანვარი კი, დღესასწაულთა სიმრავლის გამო, საქართველოში მაღალი შრომითი აქტივობით არ გამოირჩევა. თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კობა ბექაურმა გუშინ გამართულ სხდომაზე წლის დასაწყისშივე დაფიქსირებული არასახარბიელო ტენდენციის გამო შეშფოთება გამოთქვა. იგი შიშობს, რომ თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა და ბიუჯეტის, წელს დაგეგმილი, 14 პროცენტიანი ზრდა უზრუნველყოფილი არ იქნა, თბილისის ხელისუფლება დაცული მუხლების დაფინანსებას ვერ შეძლებს; ამიტომ ბექაურმა ცენტრალურ ხელისუფლებას მოსთხოვა ბაზრობებზე, მშენებლობის სფეროში, რესტორნებსა და სათამაშო ბიზნესში არსებული საგადასახადო რეზერვების ამოქმედება.

ბექაურის დამშვიდებას კომისიის სხდომაზე სპეციალურად მოწვეული ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი შეეცადა. მისი განცხადებით, ფინანსთა სამინისტრო და საგადასახადო დეპარტამენტი შეძლებენ აღნიშნული 14-პროცენტიანი ზრდის უზრუნველყოფას. თუმცა, ჩრდილელის თქმით, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად შეუწყობენ მათ ხელს მსხვილი მუნიციპალური საწარმოები, მათ შორის - "თბილგაზიც". მინისტრის მოადგილის განცხადებით, "თბილგაზსა" და "იტერას" შორის შუამავალის ("საქგაზი") ამოგდების შემდეგ პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა, რადგან გაზის შესყიდვის საფასურის კლებასთან ერთად საგრძნობლად შემცირდა ამ სფეროდან ბიუჯეტში შენატანებიც. ამის მიზეზი, ჩრდილელის განმარტებით ის არის, რომ "საქგაზი" საბაჟო გადასახადს კეთილსინდისიერად იხდიდა, "თბილგაზს" კი ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შეაქვს შეტანილი. ამავე დროს ჩრდილელმა საკრებულოს ურჩია, ბაზრობებიდან მილიონების მიღების იმედი არ ჰქონდეს, რადგან იმ ფიქსირებული გადასახადიდან, რითაც ეს ობიექტები იბეგრება, თბილისს მხოლოდ 18-19 პროცენტი ეკუთვნის, ეს კი ამჟამინდელ შემოსავალს წლიურად 1-2 მილიონ ლარზე მეტად ვერ გაზრდის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მხრივ არსებული სერიოზული პრობლემების გათვალისწინებით, თბილისის ბიუჯეტის შესრულებას საეჭვოდ მიიჩნევს საკრებულოს წევრი და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. მისი თქმით, წლევანდელი ბიუჯეტის შარშანდელის დონეზე (ან თუნდაც მცირე გადაჭარბებით) შესრულება საკმარისი არ არის საბიუჯეტო პროცესის წარმატებით წარმართვისთვის. **"სახელმწიფო ბიუჯეტი პირველ კვარტალში უკვე განწირულია შეუსრულებლობისთვის, რაც განპირობებულია იანვრის არასახარბიელო შედეგებით. ეს კი თბილისის ბიუჯეტისთვის სერიოზული პრობლემების შექმნას ნიშნავს,"** – განაცხადა გოცირიძემ. მისი თქმით, წლის დასაწყისში დედაქალაქის გეგმისთვის ერთ ან ორმილიონიანი დანაკლისის ანაზღაურება შესაძლებელი გახდება მომდევნო თვეებში ყოველთვიურად 17-18 მილიონი ლარის მობილიზებით (ამჟამინდელი გეგმა დაახლოებით 13 მილიონ ლარს შეადგენს). ეს იმის გათვალისწინებით, რომ წლის მეორე ნახევარში სხვადასხვა სფეროსთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებაა მოსალოდნელი და, ალბათ, "თბილგაზი" ისევ მუნიციპალიტეტის "კისერს დააწვება", რაც საკმაოდ დიდ სირთულეებს შექმნის.

ამ მდგომარეობიდან ერთ-ერთ გამოსავლად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს თბილისის საგადასახადო სამსახურის შექმნასა და მის გადაცემას თბილისის მერიისა და საკრებულოს დაქვემდებარებაში. თუმცა, ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეები თავად საკრებულოშიც ჰყავს, კერძოდ – რომან გოცირიძე. მისი აზრით, საგადასახადო სამსახურის თბილისის ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადატანა გაუმართლებელია, რადგან ცენტრალური ხელისუფლება გადასახადებს, ჯერჯერობით, დედაქალაქის შესაბამის სამსახურებზე გაცილებით ეფექტურად კრებს. ბექაურის ინიციატივას არც საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი ეთანხმება. მისი განცხადებით, იგი თბილისის საგადასახადო სამსახურის შექმნის ინიციატივას მხარს არ დაუჭერს, რადგან მისი გახორციელების აუცილებლობა არ არსებობს.

ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) BP Exploration (Caspian Sea) LTD. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
  - უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
  - "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
  - HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.

მუშაობის გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დანესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 14 თებერვალი, პარასკევი, 18 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 1 - 7 თებერვლის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

	UK£	US$	€uro	¥en
UK£		0.6072	0.6562	0.0051
US$	1.6468		1.0803	0.0083
€uro	1.5239	0.9256		0.0077
¥en	197.4	119.86	129.5	

2003 წლის 7 თებერვალი უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.3657 ლარი
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1	3.5994 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.6138 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1899 ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.3414 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0688 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.0688 ლარი
სომხური დრამი	100	0.3745 ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.1052 ლარი

ირანს ცივილიზაციათა შეჯახების თავიდან აცილება სურს

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო და მისი ირანელი კოლეგა ქემალ ხარაზი

"ერაყის კრიზისის გადაწყვეტისას ნებისმიერმა შეცდომამ, შესაძლოა, ცივილიზაციათა შეჯახება გამოიწვიოს," - განაცხადა ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქემალ ხარაზიმ.

მისი თქმით, იგი შეეცდება, დაარწმუნოს ბრიტანეთის ლიდერები ერაყთან ომის თავიდან აცილების შესაძლებლობაში, ხოლო ბაღდადი გაერო-ს უშიშროების საბჭოსთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაში.

"ბი-ბი-სის" ცნობით, ხარაზიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებისმიერი მოქმედება, ერაყის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს მიერ უნდა იყოს სანქცირებული.

ისლამურ სამყაროში ხალხი უკიდურესად შეშფოთებულია მოსალოდნელი ომის გამომწვევი რეალური მიზეზების გამო, - დასძინა მან ლონდონში "საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტში" გამოსვლისას.

ქემალ ხარაზიმ ბრიტანელების წინაშე გამოსვლისას ნათლად მიანიშნა იმაზე, რომ თეირანი ერაყის მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიებს არ განიცდის.

მისი თქმით, 1980-იან წლებში ირანი ერაყის სამხედრო აგრესიის ობიექტი გახდა, ხოლო ირანის მოქალაქეები - ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის მსხვერპლნი. ამის მიუხედავად, თეირანი ერაყის წინააღმდეგ ომის ცალმხრივად დაწყების წინააღმდეგია.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მტკიცებით, რეგიონში ამჟამად არსებული სიტუაცია კრიტიკულია. "ჩვენ სწორედ ის გვაწუხებს, რომ ამ ომმა შეიძლება ცივილიზაციათა შეჯახება გამოიწვიოს."

"ამის მიზეზი კი ისლამურ სამყაროში არსებული კითხვებია ამ ომის რეალური მიზეზების თაობაზე - არის ეს სადამ ჰუსეინისა და ერაყის რეჟიმის ყოფნა-არყოფნის საკითხი, თუ მთლიანად ახლო აღმოსავლეთისა და ისლამური სამყაროს არსებობის საკითხი?

მსოფლიოს ყველა კუთხეში მუსლიმებს ადარდებთ ამერიკის მიერ დაკრული საომარი ნაღარა."

ქემალ ხარაზის თქმით, ირანი მხარს უჭერს ერაყში დემოკრატიული სისტემის შექმნის შესაძლებლობას მომავალში, მაგრამ ამგვარი ცვლილებები ერაყელი ხალხის ქმედების შედეგი უნდა იყოს და არა გარედან თავსმოხვეული უცხოური ძალების მიერ.

თეირანის შეშფოთებას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: ერაყში წარმატებული ომის შემთხვევაში, რეგიონში ამერიკის გავლენა უფრო გაიზრდება. ეს კი "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორის მოხსენიებულ ირანს ძალზე აშფოთებს. ამას გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლებით, როგორც არ უნდა წარიმართოს ომის ბედი, ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადი მიაწყდება ირანს, რაც ქვეყნის ეკონომიკასა და სტაბილურობას დიდ პრობლემებს შეუქმნის.

"24 საათი"

აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა ბაქოსთან ახლოს, ჰატარა ქალაქი დაარბიეს

5 თებერვალს, გამთენიისას, აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა ბაქოს ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქი ნარდარანი დაარბიეს, სადაც, ხელისუფალთა თქმით, ისლამური ფუნდამენტალისტები იმალებიან.

ქალაქის მცხოვრებლები დარწმუნებულნი არიან, რომ რეიდის მიზანი ქალაქის უხუცესის და აზერბაიჯანის ისლამური პარტიის ლიდერის ჰაციაგა ნურიევის დაჭერა და მისი სასამართლო პროცესზე იძულებით წარდგენა იყო. თავის მხრივ, პოლიცია აცხადებს, რომ ოპერაცია "ეჭვმიტანილი კრიმინალების დასაჭერად" განხორციელდა. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურორის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უშიშროების ძალებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. სწორედ ამან აიძულა პოლიცია, გამოეყენებინა ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები.

თვითმხილველები მომხდარს სხვაგვარად აღწერენ. მათი თქმით, რამდენიმე ავტობუსით ჩამოსულმა ნიღბიანმა პოლიციელებმა ხალხის ცემა და ჰაერში სროლა ნარდარანში შესვლისთანავე დაიწყეს.

ხელისუფალთა მტკიცებით, შეტაკების დროს მხოლოდ 10 ადამიანი დაშავდა, რვა კი დაიკავეს. ჟურნალისტები იუწყებიან, რომ რეიდის დროს 17 სამოქალაქო პირი და ექვსი პოლიციელი დაიჭრა.

თუმცა, უცნობია, რეიდი მართლა ნურიევის დაკავებას ისახავდა მიზნად, თუ - არა.

31 იანვარს ნურიევი აზერბაიჯანის სააპელაციო სასამართლოში არ გამოცხადდა. სააპელაციო სასამართლო რეგიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ ვერდიქტს განიხილავს. განაჩენის თანახმად, ნურიევს ქრთამის აღებისათვის პატიმრობა ემუქრება. გასულ კვირას სააპელაციო სასამართლომ თხოვნით მიმართა გენერალურ პროკურორს, რათა სამართალდამცველებს ნურიევი 12 თებერვლამდე დაეკავებინათ.

პოლიციის ოპერაციის შემდეგ 3 000 ადამიანი შეიკრიბა და ნარდარანის მთავარ მოედანზე საპროტესტო აქცია მოაწყო. აღსანიშნავია, რომ ნარდარანი უკანასკნელ თვეებში საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რადგან უკიდურესად გაჭირვებულმა მოსახლეობამ რამდენიმე საპროტესტო აქცია მოაწყო სამუშაო ადგილების, სუფთა სასმელი წყლის, ელექტროენერგიისა და სათბობის მოთხოვნით. 2002 წლის 3 ივნისს პოლიციამ პირველი რეიდი მოაწყო ნარდარანში, რომლის დროსაც ერთი ადამიანი მოკლეს, ხოლო 15 დაჭრეს, რამდენიმე ათეული მოქალაქე კი დაიჭირეს.

ივნისიდან პოლიციამ ნარდარანის მცხოვრებლებს საკუთარ ნაკვეთებზე, სადაც მათ ბოსტნეული მოჰყავთ და თავს ირჩენენ, მუშაობა აუკრძალა.

მას შემდეგ ნარდარანი დაძაბულობის კერად გადაიქცა რაც, ცენტრალური ხელისუფლების განცხადებით, იმ რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების დამსახურებაა, რომლებსაც კავშირი აქვთ ირანის კონსერვატულ საეკლესიო წრეებთან და "ალ ქაიდასთან".

მართალია, ნარდარანის მცხოვრებლები რელიგიური კონსერვატიზმით არიან ცნობილნი და ქალაქში ძალიან მძლავრი რელიგიური სკოლაც მოქმედებს, მაგრამ ადგილობრივები კატეგორიულად უარყოფენ ფუნდამენტალისტებთან რაიმე კავშირს და მთავრობას სოციალური უკმაყოფილების ჩახშობაში ადანაშაულებენ.

"24 საათი"

თურქეთი ამერიკას სამხედრო ბაზებს უთმობს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მიღებული გადაწყვეტილება თურქეთს საშუალებას აძლევს საზღვარგარეთ თურქული ჯარები გააგზავნოს საომრად და უფლება მისცეს უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ბაზები გამოიყენონ. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ვაშინგტონი ზეწოლას ახდენდა ანკარაზე, რათა თურქეთს ამერიკული ჯარებისათვის ბაზების გამოყენების უფლება მიეცა. თურქეთის მმართველი ელიტა გუშინდლამდე ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია, რასაც ორი ძირითადი მიზეზი აქვს: თურქეთის მოსახლეობის უმრავლესობა ძალიან სკეპტიკურად არის განწყობილი მომავალი ომის მიმართ და, რაც ყველაზე მთავარია, თურქეთის ხელისუფლებას ეშინია, რომ ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების შემთხვევაში ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრებმა ქურთებმა, შესაძლოა, დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნან. ეს კი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებში სეპარატისტულ მოძრაობას გამოაცოცხლებს.

ვაშინგტონმა თურქეთს აღუთქვა, რომ ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შეიქმნება. ამას გარდა, ამერიკელები თურქებს 4-იდან 15 მილიარდ დოლარამდე დახმარებას შეჰპირდნენ.

ანალიტიკოსების აზრით, უშიშროების საბჭოს წინაშე კოლინ პაუელის გამოსვლა და თურქეთის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ ომი ერაყში, მართლაც, გარდაუვალია და ის უახლოეს მომავალში დაიწყება.

ლუჭკოვი და გლობალიზაცია

იური ლუჭკოვის წიგნის პრეზენტაციაზე

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲜᲘᲙᲣᲠᲐᲫᲔ
ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠᲠ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ვინღა არ მოვიდა მოსკოვის მერიის უზარმაზარ საკონფერენციო დარბაზში იური ლუჭკოვის წიგნის პრეზენტაციაზე: რუსეთის საგარეო პოლიტიკის კორიფეები, დიპლომატები, ცნობილი პუბლიცისტები, მწერლები, ყოფილი პრეზიდენტები, უცხო ქვეყნების ელჩები, რექტორები, პოლიტოლოგები, მათ შორის: მიხაილ გორბაჩოვი, ევგენი პრიმაკოვი, მელორ სტურუა, ვალერი ლოშჩინინი, გენრიხ ბოროვიკი, ზურაბ აბაშიძე, სერგეი სტეპაშინი...

იური ლუჭკოვის ახალ წიგნს (მოსკოვის მერისა და ცნობილ პოლიტოლოგთა კოლექტიურ ნაშრომს) ასე ჰქვია: **"ისტორიის განახლება: კაცობრიობა 21-ე საუკუნეში და რუსეთის მომავალი."** წიგნი უდავოდ ფუნდამენტური ნაშრომია, რადგანაც გლობალიზაციისა და კაცობრიობის პრობლემებზე მოსკოვის მერის მეტად თავისუფალ ნააზრევს გვთავაზობს.

წიგნის ტირაჟი ათი ათასია; ყდაზე - კოსმოსიდან დანახული დედამიწა; წინა პლანზე - "შავ ხვრელში" ჩაძირული და ჩასაძირად გამზადებული სახელმწიფოების დროშები. თავში რუსეთის დროშაა, მერე - აშშ-ს. პრეზენტაციაზე მიპატიჟებული სტუმრები ვერ შეთანხმდნენ, რუსეთი ბოლოს იძირება, თუ პირიქით - მას ამოჰყავს ამ ხვრელიდან დანარჩენი ქვეყნები? შესავალში ლუჭკოვი წერს, რომ **"წიგნის დაწერაში დიდად დაეხმარა ბენთამის, ჰობსის, კანტის, ლემის, ლოკის, მაკარიანის, ერაზმ როტერდამელის, ჟან-ჟაკ რუსოს, სოროსის, ჰოპერისა და სხვათა შრომების გაანალიზება"...**

მიხაილ გორბაჩოვმა ლუჭკოვის წიგნს წარმატებული პროექტი უწოდა, კარგი ენითაა დაწერილი და იგი ახალგაზრდობამ უნდა წაიკითხოსო. მაფიქრებს ის, რომ აშშ მსოფლიო აზრის უგულებელყოფას ეწევა. ლუჭკოვმა კი მიანიშნა პარადიგმულ დროზე, როცა იცვლება მსოფლიო მოდელები: კომუნისტური იდეოლოგია ჩიხში აღმოჩნდა, ვერც ლიბერალიზმმა გაამართლა; არც ერთი იდეოლოგია არ იძლევა პასუხს აქტუალურ შეკითხვებზე. ლუჭკოვი კი ამბიციურია და ეს სასარგებლო ამბიციებია, - თქვა გორბაჩოვმა.

პოლიტოლოგებმა და აკადემიკოსებმა იური ლუჭკოვს იმდენი საქებარი სიტყვა უთხრეს, რომ ამ პროექტის იდეოლოგები - პრიმაკოვი და გორბაჩოვი - გაკვირვებულები დარჩნენ. ექსპერტების აზრით, რუსეთი მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარების პირობებში უნდა გახდეს მთავარი მოთამაშე. პრეზენტაციაზე სტუმრები შეთანხმდნენ, რომ რუსეთში უნდა შეიქმნას ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი (20-25 წელიწადზე გათვლილი) ზოგადეროვნული სტრატეგია.

თქმა არ უნდა, რუსეთში ახალი იდეოლოგიის შექმნის მცდელობას აქვს ადგილი. ლუჭკოვის წიგნი კი მხოლოდ საბაბი იყო. ლუჭკოვის წიგნის პრეზენტაციაზე მოსულმა რუსეთის დაზვერვის გენერლებმა და ამ სტრუქტურაში მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებმა დაასკვნეს, რომ გლობალიზაციაში რუსეთმა ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს.

კოლინ პაუელის გამოსვლას, ჭერჭერობით, შედეგი არ მოჰყოლია

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის მოხსენებას გაერო-ს უშიშროების საბჭოში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც ცნობილია, კოლინ პაუელმა უშიშროების საბჭოს ერაყის ბრალეულობის დამამტკიცებელი დოკუმენტები წარუდგინა. აშშ-ის დიპლომატიური უწყების შეფს მხარი მისმა ბრიტანელმა კოლეგამ დაუჭირა. თუმცა, უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა – ჩინეთმა, საფრანგეთმა და რუსეთმა განაცხადეს, რომ ერაყში გაეროს სამხედრო ექსპერტთა მისია უნდა გაგრძელდეს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დომინიკ დე ვილეპენის განცხადების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ერაყი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო თანამეგობრობას საკუთარი ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის პრობლემებით, უშიშროების საბჭოს მიერ მეორე რეზოლუციის მიღების დრო ჯერ არ დამდგარა. საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ერაყში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისია უნდა გაგრძელდეს და მათი რიცხვი უნდა გაიზარდოს. **"ძალის გამოყენება - ეს ჩვენი ბოლო საშუალებაა. ამჯერად კი აუცილებელია ინსპექტირების რეჟიმის გამკაცრება,"** - დასძინა ვილეპენმა. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ ჩინეთის, რუსეთისა და გერმანიის წარმომადგენლებიც. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პაუელის მოხსენებას აბსურდული უწოდა ერაყის ელჩმა გაერო-ში. მისი თქმით, პაუელის გამოსვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა აშშ-ის მცდელობა, რომ მიეყიდა უშიშროების საბჭოს წევრებისათვის ერაყში ომის დაწყების იდეა. ამდენად, კოლინ პაუელის ყოვლისმომცველ და შთამბეჭდავ გამოსვლას ერაყის საკითხის ირგვლივ საერთაშორისო არენაზე ვითარება არ შეუცვლია.

გაეროს უშიშროების საბჭო

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის გამოსვლას სამხედრო ძალით ერაყის განიარაღების თაობაზე უშიშროების საბჭოს დანარჩენი წევრების მხრიდან არერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების თაობაზე გაეროს ახალი რეზოლუციის მიღებას 9 წევრის ხმა ესაჭიროება

სამხედრო აქციას მხარს უჭერენ:

აშშ	ვეტოს უფლება
დიდი ბრიტანეთი	ვეტოს უფლება
ესპანეთი	
ბულგარეთი	

სამხედრო აქციას ეწინააღმდეგებიან:

საფრანგეთი	ვეტოს უფლება
რუსეთი	ვეტოს უფლება
ჩინეთი	ვეტოს უფლება
გერმანია	
სირია	

ჯერ არ გადაუწყვეტიათ:
ანგოლა, კამერუნი, ჩილე, გვინეა, მექსიკა, პაკისტანი

Pictures: Associated Press © GRAPHIC NEWS

გენერალ ტომი ფრენკსს პენტაგონის შეფი იცვლის

გენერალ ტომი ფრენკსს, რომელსაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ, აშშ-ის თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა "სრული ნდობა" გამოუცხადა. როგორც ცნობილია, 57 წლის გენერალი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს უხელმძღვანელებს ერაყის წინააღმდეგ ომში. თუმცა, ამას მის წინააღმდეგ კამპანიის აგორებისათვის ხელი არ შეუშლია.

გენერალი ფრენკსი ჯერ კიდევ გასული წლიდან აშშ-ის შეიარაღებული ძალების იმ ცენტრალურ სარდლობას ხელმძღვანელობს, რომლის პასუხისმგებლობის სფეროშიც შედის ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 25 ქვეყანა.

ტომი ფრენკსი 40 წლის წინათ აგებული "ბოინგით" დაფრინავს, თუმცა თვითმფრინავი ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი. თვითმფრინავში მისი სავარძლის ზურგს ამშვენებს გენერლის ოთხი ვარსკვლავი, ხოლო გვერდით მდგარი მეორე სავარძლის ზურგზე ოთხი გულია ამოტვიფრული. ეს სავარძელი გენერლის მეუღლეს - ქეთს ეკუთვნის, რომელიც მას მივლინებებში ხშირად დაჰყვება.

როგორც ცნობილი გახდა, პენტაგონის გენერალური ინსპექტორი ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულიდან აწარმოებს გამოძიებას იმის თაობაზე, ხარჯავდა, თუ არა გენერალი ფრენკსი თავდაცვის დეპარტამენტის სატრანსპორტო ხარჯებს თავის მეუღლეზე, რომელიც გენერალმა სახელმწიფოს ხარჯზე არ უნდა ამოგზაუროს. ტომი ფრენკსს ასევე ბრალი ედება იმაში, რომ მას მეუღლე დახურულ თათბირებზეც დაჰყავდა, სადაც სამხედრო საიდუმლოების საკითხები განიხილებოდა. ამასთანავე ტომი ფრენკსმა მეუღლეს მოახლედ ოფიცერი ქალი და პირადი მცველიც მიუჩინა.

"ვაშინგტონ თაიმსის" ცნობით, თავად გამოძიების დაწყების ფაქტში უჭვეულო არაფერია, რადგან გამოძიებას, პენტაგონის განაწესის თანახმად, ანონიმური ბრალდებებიც ექვემდებარება, რომელთაც მაღალი რანგის ოფიცრებსაც კი წაუყენებენ ხოლმე.

ხანდახან გამოძიება თვეების მანძილზე გრძელდება. "ვაშინგტონ თაიმსის" თანახმად, სარწმუნო წყარომ პენტაგონში არ იცის, თუ რა ეტაპზეა ამჟამად გამოძიება და რამდენად სერიოზულია თავად ეს ფაქტი გენერლის კარიერაში. ტომი ფრენკსის მიმართ სიმპათიით განწყობილი ოფიცრები აცხადებენ, რომ ხანდახან მას მეუღლე დახურულ თათბირებსაც ესწრებოდა, სადაც საუბარი საიდუმლო ინფორმაციას შეეხებოდა.

აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენერალს, ტომი ფრენკსს, საკმაოდ შთამბეჭდავი წარსული აქვს: იგი არის ვიეტნამის ომის ვეტერანი და ერაყში პირველი სამხედრო კამპანიის მონაწილე, ამიტომ საეჭვოა, ის ასე უბრალოდ გაწირონ.

პენტაგონის ამჟამინდელი შეფის დონალდ რამსფელდისგან განსხვავებით, რომელიც ერაყში ავღანეთის კამპანიის მსგავსად საჰაერო დარტყმების განხორციელებას ითხოვდა, გენერალი ტომი ფრენკსი ბაღდადის წინააღმდეგ ფართომასშტაბინი სახმელეთო ოპერაციის დაწყების მომხრე იყო, რაშიც მან თვით პრეზიდენტ ბუშის დარწმუნებაც შეძლო.

მართალია, რამსფელდმა ფრენკსთან სამხედრო-სტრატეგიული პაექრობა წააგო, მაგრამ ამას მათ ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია. თანამდებობის გადამეტებაში ბრალდებული გენერალის დასაცავად პირველი სწორედ დონალდ რამსფელდი გამოვიდა. ამდენად ტომი ფრენკსის კარიერა ამ ბრალდებით არ დასრულდება; თუმცა, ეს არც თუ ისე სასიამოვნო მოვლენა ფაქტად დარჩება.

„ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ...“

დღევანდელი რეალობა ასეთია - ახალგაზრდების უმრავლესობას უმუშევრობა და ბუნდოვანი მომავალი ემუქრება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა რეგიონებში. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა გორელი ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა სტუდენტურ-ახალგაზრდული ალიანსის შექმნა.

ვასილ გულეური

გორიდან

ალიანსის შექმნის ინიციატორი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდკავშირი იყო. როგორც სტუდკავშირის თავმჯდომარემ, სოსო ბორცვაძემ ალიანსის დამფუძნებელ სხდომაზე განაცხადა, ახალგაზრდების გაერთიანების მიზანია, ერთობლივად იმუშაონ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, მოაწყონ შეხვედრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან და პასუხი მოითხოვონ კონკრეტულ საკითხებზე. ამ მიზნის მისაღწევად მათ ალიანსში მიიწვიეს პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებიც, მათ შორის, მოქალაქეთა კავშირი, ახალი მემარჯვენეები, გაერთიანებული დემოკრატები, ნაციონალური მოძრაობა.

სხდომას ესწრებოდა გორის რაიონის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ამირან გიგუაშვილი, რომელიც, ამავე დროს, მოქკავშირის წევრია. მოსალოდნელი დაპირისპირება სტუდენტებსა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს შორის, რომელიც სახელმწიფო ჩინოვნიკისათვის დამახასიათებელი მანერით საუბრობდა, ურთიერთგაგების ატმოსფერომ შეცვალა. როგორც ამირან გიგუაშვილმა განაცხადა, თუ პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე პირად ამბიციებს დათმობენ, მიზანს მიაღწევენ. **“მე რაიონის ხელმძღვანელობას შევხვდი და მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირი მოვა და გაგცემთ პასუხს, ამის გარანტია არის”**, - მთავრობის სახელით დაპირდა იგი ახალგაზრდებს. თუმცა, საქმეს ამით რომ არაფერი ეშველება, მან ეს მაშინვე აღნიშნა, როცა გადაწყვიტეს, პირველი შეხვედრა მხარის გუბერნატორთან, დავით ქობლიანიძესთან მოეწყოთ: **“ბატონი დავითი დაავალებს კიდეც, გაკიცხავს კიდეც, მაგრამ როგორც დღემდე არაფერი გაკეთებულა, ისე არაფერი გაკეთდება.”**

ახალგაზრდების ერთი ჯგუფი დაინტერესდა, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი რის გაკეთებას აპირებს, შესაძლებელია თუ არა კონკრეტული პროექტების განხორციელება უკვე დამტკიცებული ბიუჯეტით, რაც 15 ათას ლარს შეადგენს. დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, იგი მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის ერთ-ერთი ბრძანებულების თანახმად, რომლითაც დამტკიცებულია ახალგაზრდობის საქმეთა სახელწიფო დეპარტამენტის ხუთწლიანი გეგმა: **“მე, როგორც სახელმწიფო მოხელე, ვალდებული ვარ, დავემორჩილო პრეზიდენტის ბრძანებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება მაქვს. ვერ გავაკეთებ იმას, რაც ამ ბრძანებულებით არ არის განსაზღვრული.”** ამასთან, იგი შეეცადა მოემზადებინა ახალგაზრდები ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაგეგმილი შეხვედრებისთვის და კრიტიკის უსარგებლობა აღნიშნა: **“ტელევიზიით ხელისუფლების ლანძღვის მეტი არაფერი ისმის. რაც კეთდება კრიტიკით, ვხედავთ. თუ დავიბარებთ სახელმწიფო მოხელეს, კი ნუ ვეცდებით, ჩავჭრათ, არამედ ვკითხოთ, ჩვენ რაში გამოვადგებით.”**

ამირან გიგუაშვილმა ასევე უკმაყოფილება გამოხატა ქალაქ გორის გამგეობის მიმართ, სადაც გაუქმდა გორის რაიონის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენლის შტატი. იგი გორისათვის ქალაქის სტატუსის აღდგენას უსაფუძვლოდ თვლის და მიიჩნევს, რომ გორში, ისევე, როგორც ნებისმიერი სოფლის საკრებულოში, ახალგაზრდობის რაიონულ დეპარტამენტს თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს. **“ქალაქის გამგეობის მიერ ამ შტატის გაუქმება ჩვენი დებულების დარღვევაა, რის გამოც შემეძლო მათთვის სასამართლოში მეჩივლა, მაგრამ მე გორის გამგებელთან ასეთი ურთიერთობა არ მაქვს”**, - განაცხადა მან და ურთიერთობის მოგვარების იმედი გამოთქვა.

ალიანსის დამფუძნებელი სხდომა, რომლის მონაწილენიც, ძირითადად, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მონოლოგს უსმენდნენ, ალიანსის ქარტიაზე ხელმოწერებით დასრულდა.

ახალგაზრდობას ვერავინ გამოიყენებს დემოკრატიის საზიანოდ

გუშინ “24 საათის” საკონფერენციო დარბაზში სტუდენტურმა და ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც დამსწრეთ გააცნეს განცხადება.

პრესკონფერენციაზე

განცხადებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარებულ სხვადასხვა დონის არჩევნებს თან სდევდა მასობრივი გაყალბება და სხვა არასასურველი შედეგები, რომლებმაც საზოგადოებას ნდობა დაუკარგა და არჩევნების მიმართ ინდიფერენტული გახადა. დღეს ხელისუფლების ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისა თუ საზოგადოებისთვის გაუგებარი ჯგუფების განცხადებები აშკარა მუქარის ხასიათს ატარებს. ორიოდე დღის წინ მუქარა განხორციელდა კიდეც – დაარბიეს ერთერთი ოპოზიციური პარტიის ოფისი, რაც იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, გაიზრდება სურვილი, შედეგის მისაღწევად ნებისმიერი, მათ შორის, ძალისმიერი მეთოდებიც გამოიყენონ.

“ჩვენ, - ნათქვამია განცხადებაში, – საქართველოს სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციები, ვითვალისწინებთ რა მოსალოდნელი საპარლამენტო არჩევნების უაღრესად დიდ მნიშვნელობას, გამოვხატავთ საკუთარ ნებას, თავად მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა პროცესში, დაწყებული საარჩევნო კანონის მიღებიდან, ხმების დათვლის პროცედურით დამთავრებული.”

სხვადასხვა აქციის ჩატარება, შეხვედრები ხელისუფლებისა და პარტიების წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან - ღონისძიებათა ამ ნუსხას, საჭიროებისას, ქუჩის საპროტესტო შეკრებები და მიტინგებიც დაემატება, მაგრამ, როგორც განმცხადებლები ირწმუნებიან, ეს არ იქნება მართული და ქაოსური თავყრილობები, რომ ვინმემ იოლად შეძლოს სტუდენტთა მოძრაობის სათავისოდ წარმართვა.

ახალგაზრდები კატეგორიულად აცხადებენ, რომ არ შეეგუებიან არც ხელისუფლების და არც რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხრიდან რაიმე არადემოკრატიულ ქმედებას.

განცხადება მთავრდება მოწოდებით, რომ საზოგადოებამ ხელი შეუწყოს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის განვითარებას და პატივი სცეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას - თავისუფალ არჩევნებს.

განცხადებას ხელს აწერენ 25 ახალგაზრდული და სტუდენტური ორგანიზაციის წარმომადგენლები.

“24 საათი”

ექვსი გამარჯვებული ჰროზაიკოსიდან ერთი 10 წლისაა

“საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი” შეიმუშავეს. პროექტი საშუალო სკოლების განათლების განმტკიცებას ეხება და ლიტერატურულ კონკურსსაც ითვალისწინებდა. გუშინ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფისში კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება მოეწყო.

თამარ დვალი

კონკურსი 9-10 წლის ბავშვებისათვის დაწერილი საუკეთესო პროზაული ნაწარმოებების გამოსავლენად მოეწყო. მასში მონაწილეობა მიიღო ორმოცდაათმა კონკურსანტმა. გაიმარჯვა ექვსმა მონაწილემ. ესენი არიან: ნუგზარ შატაიძე, ზაზა აბზიანიძე, დავით ჯავახიშვილი, ირაკლი სამსონაძე და პედაგოგი ნინო ბალანჩივაძე. იმის მიუხედავად, რომ კონკურსი ბავშვების მონაწილეობას არ ითვალისწინებდა, მათ მაინც გამოთქვეს სურვილი და თავიანთი ნაწარმოებები გააგზავნეს. ერთ-ერთმა მათგანმა, 10 წლის სალომე ჯანელიძემ გაიმარჯვა კიდეც. იგი, უკვე კარგა ხანია, რაც ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა და ამ სფეროში პრეზიდენტის სტიპენდიანტიც გახდა. კონკურსში მონაწილე ყველა ბავშვს წიგნებით დაასაჩუქრებენ.

როგორც განათლების რეფორმის შეფასებისა და გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელმა, კახა ჯამბურიამ გვითხრა, მათ დაევალათ მოსწავლეების უნარ-ჩვევების შემოწმება - ანუ უნდა გაერკვიათ, მიაღწიეს თუ არა მოსწავლეებმა იმ დონეს, რასაც პროგრამა ითვალისწინებდა. სკოლებში ქართული ენის შემოწმება წერის, კითხვის, გრამატიკისა და ლექსიკის მიხედვით ხდება. “ჩვენი მიზანი იყო, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების შესაბამისი ახალი მხატვრული ნაწარმოებები შედგენილიყო. გამოცხადდა კონკურსი, რომლის ძირითადი მოთხოვნა იყო ისეთი ნაწარმოებების შექმნა, რომლებიც სახელმძღვანელოში არსებულ ტექსტებს შეესაბამება და თან მხატვრული ღირებულებაც აქვს, ”-განაცხადა ჯამბურიამ. კონკურსში გამარჯვებულთა ნაწარმოებები ცალკე კრებულად გამოვა, როგორც საბავშვო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. მათ სასკოლო ტესტებშიც გამოიყენებენ. ეს არ იქნება ბავშვის ცოდნის შემოწმება ნიშნის დასაწერად, არამედ ჩატარდება გამოკვლევა, რამდენად აქვთ მეოთხეკლასელ ბავშვებს კითხვისა და ათვისების ისეთი უნარი, რასაც პროგრამის შემდგენლები ითვალისწინებდნენ. არასასურველი შედეგის შემთხვევაში პროგრამა დაიხვეწება და შესაბამისი სახელმძღვანელოები დაიბეჭდება. კონკურსის ორგანიზატორებმა გამარჯვებულებს დიპლომები და ფულადი პრემიებიც გადასცეს.

ოთი გრანდიოზული ფორუმის თანხლებით

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნულ ცენტრთან გაერთიანებული 11 არასამთავრობო ორგანიზაცია თამბაქოს ინდუსტრიასა და მის მფარველ სახელმწიფო უწყებებს ომს უცხადებს და თებერვლის ბოლოს მათ საწინააღმდეგოდ, გრანდიოზულ ფორუმს გეგმავს. ხელისუფლებას კი ანტინიკოტინური ღონისძიებების განსახორციელებლად ვადას 29 მარტამდე აძლევს. “ჩვენ საკმაოდ ბევრნი ვართ იმისთვის, რომ მუქარის შესრულება შევძლოთ”, - აცხადებენ თამბაქოს მოწინააღმდეგენი.

ნანა ქადაგიშვილი

ტელევიზიით თამბაქოს რეკლამირების აკრძალვის ვადა მოახლოვდა – რეკლამის შესახებ კანონის ეს მოთხოვნა პირველი აპრილიდან უნდა შესრულდეს. თუმცა, თამბაქოს მოწინააღმდეგეებს ეჭვი ეპარებათ, რომ ხელისუფლება საკუთარ გადაწყვეტილებას შეასრულებს, რადგან რეკლამის შესახებ კანონის დანარჩენი პუნქტებიც არ სრულდება. “ეს კანონი თამბაქოს რეკლამირებას დიდად არ ზღუდავს, მაგრამ ესეც არ სრულდება. კანონით, ცენტრალურ გამზირებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში თამბაქოს რეკლამირება იკრძალება, მაგრამ გამზირები სავსეა რეკლამებით, სკოლების მახლობლად კი რეკლამაზე უარესი რამ ხდება – სიგარეტი იყიდება, თანაც ღერებით”, - აცხადებს თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრი და ხელისუფლებას აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანასა და განახლებული კანონის შესრულებას სთხოვს. თუკი პარლამენტი 29 მარტამდე (თამბაქოს საწინააღმდეგო დღეა) რეკლამის შესახებ კანონში ცვლილებებს არ შეიტანს და სიგარეტის რეკლამირებას, მხოლოდ ტელევიზიით კი არა, ქალაქშიც არ აკრძალავს, თამბაქოს მოწინააღმდეგე ორგანიზაციები მასობრივი აქციებით იმუქრებიან. “პროტესტის ყველა ფორმას მივმართავთ, სტუდენტებს ჩავრთავთ და ხელისუფლებას ჩვენი მოთხოვნის შესრულებას ვაიძულებთ”, - იმედოვნებენ ცხოვრების ჯანსაღი წესის მომხრენი.

თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრის მთავარი სამიზნე მაინც თამბაქოს ინდუსტრიაა. ცენტრს თამბაქოს ადგილობრივ საწარმოებში (“რესინვესტი”, “თამბაქო”, “ალგეთთამბაქო”, “პოსეიდონი”, “ალგეთი”, “ალექსანდრე” და “სამსუნი”) არსებული დარღვევების შესახებ მონაცემები აქვს. “ამ საწარმოებში საშინელებები ხდება, ისინი არაფერმენტირებულ, კანცეროგენებით გაჯერებულ პროდუქციას ყიდიან”, - აცხადებს ცენტრი და შესაბამის უწყებებს საწარმოების შემოწმებასა და დაყადაღებას სთხოვს. თებერვლის ბოლოსთვის დაგეგმილ ფორუმზე კი თამბაქოს მოწინააღმდეგენი სენსაციური განცხადების გაკეთებას აპირებენ. მომაკვდინებელი პროდუქციის მწარმოებლებსა და იმპორტიორებს, ნამუსის მოსაწმენდად, საკომპენსაციო ფონდის ჩამოყალიბებას სთხოვენ. “თამბაქოს ინდუსტრიამ ფონდში წლის განმავლობაში 600-800 ათასი ლარიც რომ შეიტანოს, ანტინიკოტინური ღონისძიებები ნორმალურად დაფინანსდება. თამბაქოს მწარმოებელ-იმპორტიორები ამ თანხას 5 წუთში აკეთებენ. წესით, სიგარეტის რეალიზაციიდან ბიუჯეტში წელიწადში 170 მლნ. ლარი უნდა შედიოდეს, მაგრამ 30-40 მლნ.-ზე მეტი არ შედის, ეს კი სიგარეტის იმპორტიორების დამსახურებაც არის”, - აცხადებს ცენტრი.

თამბაქოს მოწინააღმდეგენი უყურადღებოდ არც თამბაქოს ინდუსტრიის მფარველ სახელმწიფო უწყებებს ტოვებენ და სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე მათი (კონკრეტულად, ფინანსთა სამინიტროს უწყებების, საგადასახადო, საბაჟო სამსახურებისა და საგანგებო ლეგიონის) საქმიანობის გაშიფვრას აპირებენ.

მოკლედ

თბილისი. გუშინ დაიწყო და 8 თებერვლამდე გაგრძელდება კავკასიაში ჯანდაცვის სისტემების დაფინანსებისადმი მიძღვნილი სემინარი, რომელიც ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრში მიმდინარეობს და მის მუშაობაში წამყვან საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჯანდაცვის სპეციალისტები. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობამ საქართველოში 18 წლამდე ასაკის ჩეჩნეთიდან ლტოლვილ მოზარდებს თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი დაურიგა. **მედია-ნიუსი**

არქიტექტურული პატრული

"ლოკომოტივის" სტადიონი თბილისში უკანონოდ ააშენეს

მაკა ჭაიანი

ირაკლი როსტომაშვილი ინკოგნიტო ქველმოქმედებისგან 15 ათას დოლარს ელოდება. ამ ფულით დედაქალაქის მთავარი არქიტექტორი არქიტექტურის სამსახურისთვის სამი ავტომანქანის შეძენას, მათი საშუალებით თბილისის პერიოდულ შემოვლასა და უკანონო მშენებლობების აღმოჩენას აპირებს. მომავალ რეიდებში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებს დაჟინებით ეპატიჟებიან – სერიოზულ საქმეს ვიწყებთ და მარტო არ უნდა დამტოვოთო, გულწრფელად ამბობს როსტომაშვილი.

ირაკლი როსტომაშვილი არასამთავრობოების და მასმედიის მხარდაჭერას ითხოვს

“უკანონო მშენებლობებმა, შეიძლება, მომავალშიც იჩინოს თავი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათზე ნებართვა ჩემი გაცემული იქნება, - განმარტავს ქალაქის მთავარი არქიტექტორი, - **უამრავი საქმე ამოვწიეთ, 300-ზე მეტი საკითხი, შესაძლოა, საჩივრის მიზეზი გახდეს, მაგრამ მოსახლეობას არ უნდა ეგონოს, რომ ყველაფერი ერთი ხელის დაკვრით გადაწყდება. ყოველდღე თითო საქმეს ჩვენ ვერ მოვიგებთ. ჩემს სამსახურებს დავავალე ყველაზე გამწვავებული სამსამი ობიექტის ამოწევა. პირველ შეტევას სწორედ მათზე მივიტანთ.”**

ამ 15 ობიექტს შორის 9 აპრილის ბაღში მიმდინარე მშენებლობაც შევა. არქიტექტურის სამსახურმა 6 საქმესთან დაკავშირებით უკვე აღძრა სასამართლოში საქმე. ირაკლი როსტომაშვილმა ბრძანებით უკვე შეაჩერა მილორავას პირველ ჩიხში ხუთსართულიანი სახლის, საბურთალოს 52 ბენზინგასამართი სადგურისა და კიდევ რამდენიმე ობიექტის მშენებლობა. ბოლო მისამართზე ნაძვების დარგვა და სკვერის გალამაზებაა დაგეგმილი. წინასწარმა სამუშაოებმა დაადასტურა, რომ მეტროსადგურ “ისანთან”, ტროტუარზე მაღაზიები ყოველგვარი ნებართვის გარეშე გაჩნდა.

“მეტრო არა მარტო გადაადგილების, სტრატეგიული, სამხედრო დანიშნულების ობიექტია და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასეთი თვითნებობა დაუშვებელია. რა თქმა უნდა, მაღაზიები უნდა დაინგრეს, მაგრამ არ უნდა დაზარალდეს ის, ვინც მათ მშენებლობაში ფული დახარჯა, - აცხადებს როსტომაშვილი, - **გარდა ამისა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ორმაგი სტანდარტებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამას "ლოკომოტივის" სტადიონთან დაკავშირებით ვამბობ. აღმოჩნდა, რომ იგი უნებართვოდ არის აშენებული.”**

სტადიონების მშენებლობის საწინააღმდეგო მთავარ არქიტექტორს არაფერი აქვს, უბრალოდ, კანონის ფარგლებში სურს მათი მოქცევა. წმინდა პროცესუალური მომენტის გარდა, ამას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ დღეს დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რამდენად უსაფრთხოა ერთი წლის წინათ ზარზეიმით გახსნილი ეს ობიექტი. თავის მხრივ, რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე აცხადებს, რომ სტადიონის მშენებლობაზე ნებართვაც არსებობს და მშენებლობის არქიტექტიც დამტკიცებულია, დოკუმენტაცია კი მასთან ინახება.

"ლოკომოტივის" სტადიონის გარდა, მთავარ არქიტექტორს თბილისის ისტორიულ გოდოლთან დაკავშირებითაც მოუწევს ვითარების გარკვევა. მის სიღრმეში მშენებლობას საზოგადოება არაადეკვატურად ხვდება. როსტომაშვილი, რომელიც სტუდენტობისას ამ ნაგებობის აღდგენაში იღებდა მონაწლეობას, აცხადებს, რომ თუ გოდოლში ტურისტებისთვის საინტერესო ობიექტი გაკეთდება, ამაში ცუდი არაფერია. რაც შეეხება ტერიტორიის გაყიდვას, ამ საქმეში მონაწილეობას ირაკლი როსტომაშვილი კატეგორიულად უარყოფს.

ისტორიული ძეგლისთვის საზიანოდ არ მიიჩნევს გოდოლის სიღრმეში მშენებლობას არც მისი აღმდგენი, არქიტექტორი გოგი ბათიაშვილი. **“მთავარია, ფასადს არაფერი მიეშენოს. ძეგლი რომ არ მოკვდეს, მასში სიცოცხლე უნდა იყოს. ისტორიული ადგილებზე მშენებლობისას “არ შეიძლება” კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ – “შეიძლება, ოღონდ გონივრულად,”** – ამბობს იგი. ამ უკანასკნელის გამოყენება ქალაქის არქიტექტურის სამსახურში, ალბათ, ხშირად მოუწევთ ზემელზე მდებარე მეორე ისტორიული კედლის, ვაკის პარკში მიმდინარე მშენბლობისა თუ სხვა ობიექტების მისამართით.

გენპროკურატურაში ევროსაბჭოს ექსპერტები სემინარს ატარებენ

გენერალური პროკურორი და ევროსაბჭოს ექსპერტები სემინარის დროს

გიორგი ბახტაძის ფოტო

თამარ კაკიტაძე

გენერალური პროკურატურის ორგანიზებით, ევროსაბჭოს თბილისის საინფორმაციო ოფისისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორის მხარდაჭერით გუშინ გენერალურ პროკურატურაში ორდღიანი სემინარი დაიწყო.

"მას შემდეგ რაც საქართველომ ადამიანის უფლებების დაცვის განხრით ევროსაბჭოს წინაშე გარკვეული ვალდებულებები აიღო, სამართალდამცველთა მხრიდან ამ კუთხით გაწეული მუშაობა დღითიდღე უმჯობესდება და შეიძლება ითქვას, რომ წინა წლებთა შედარებით ადამიანთა უფლებების დარღვევების ფაქტებიც თანდათან კლებულობს" – აღნიშნა სემინარის გახსნისას ნუგზარ გაბრიჩიძემ, რომელსაც დიდ სურვილი ჰქონია, რომ პროკურატურის სისტემაში ადამიანთა უფლებები ევროპული კონვენციების შესაბამისად იყოს დაცული. სწორედ ამ მიზნით, პროკურატურაში შესაბამისი სამსახურიც შეუქმნიათ – გენპროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახური. გენერალურმა პროკურორმა უცხოელი ექსპერტების გასაგონად კიდევ ერთხელ ისაუბრა პროკურატურაში მიმდინარე საკანონმდებლო და სტრუქტურულ რეფორმებზე და დასძინა - ამგვარი სემინარები პროკურორებს მომავალ მუშაობაში დაეხმარებაო.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში "ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის" ფარგლებში მიმდინარე სემინარის მთავარი მიზანია, სამხრეთ კავკასიის რეგიონში დემოკრატიის გამყარება. ამასთან, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის დამკვიდრება.

რამდენად გამოადგებათ ან გამოიყენებენ ქართველი პროკურორები ევრსაბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვეციის გამოყენებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ წაკითხულ ლექციებს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი კი ფაქტია, ამ ეტაპზე უცხოელი სტუმრებიც და მასპინძელი პროკურორებიც დიდ იმედებს გამოთქვამენ და პროკურატურაში ევროსაბჭოს ექსპერტების შებიჯებას სისტემაში მიმდებარე რეფორმების ერთ-ერთ წარმატებულ ნაბიჯად ხსნიან.

"შეთქმულების" ირგვლივ გენპროკურატურაში გამოძიება დაიწყო

პრეზიდენტის მითითების თანავე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ე.წ. "სახელმწიფო შეთქმულების" საქმის გამოძიება დაიწყო. გენერალურ პროკურატურას ორკვირიანი ვადა მიეცა იმისათვის, რათა გაარკვიოს, საიდან მოდის ხმები და რას ემსახურება იმ ინფორმაციის გავრცელება, რომლის თანახმად, პრეზიდენტის წინააღმდეგ სახელმწიფო და ზოგიერთი ძალოვანი მინისტრების შეთქმულებით შევარდნაძის გადაყენების რუსული ვარიანტი მზადდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გენპროკურატურამ როგორც ჩანს აქტიური მუშაობა დაიწყო. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სამართალდამცავმა ორგანომ ტელეკომპანია "რუსთავი - 2"-დან უკვე გამოითხოვა ტექსტობრივი მასალები და მის გაშიფრვასაც შეუდგა. **"მასალის შესწავლის შემდეგ შემუშავდება კითხვარი, რომლის თანახმად, შემოწმდება ინფორმაცია და შესაბამისად მოხდება იმ ადამიანებთან გასაუბრება, რომლებსაც ამ ინფორმაციასთან ჰქონდათ შეხება"** - აღნიშნა გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ, რომელმაც გამოძიების დასრულდებამდე "შეთქმულების" რეალობაზე დასკვნების გაკეთებისგან ან სხვა სახის კომენტარისგან თავი შეიკავა.

კავკასიელთა სისხლიანი გარჩევა მოსკოვში

მოსკოვში, ლენინგრადის ბაზრობასთან გამართულ შეიარაღებულ შეტაკებაში დაიღუპა ერთი ადამიანი. მოსკოვის მილიციის ინფორმაციით, ინციდენტი, რომლის მოტივიც, ჯერჯერობით, დაუდგენელია, კავკასიელებს შორის მოხდა.

შეტაკებაში ავტომატებით შეიარაღებული 10-მდე პირი მონაწილეობდა; კონფლიქტის ერთ-ერთმა მონაწილემ სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და ადგილზევე გარდაიცვალა.

მოსკოვის მილიციის ვერსიით, კონფლიქტი კასკასიელთა 2 დაჯგუფებას შორის მოხდა, მათგან ერთი ბაზრობას აკონტროლებს, ხოლო მეორეს ბაზრობის ხელში ჩაგდების პრეტენზია გააჩნია. სავარაუდოდ, კონფლიქტის მონაწილეები აზერბაიჯანული და ჩეჩნური დაჯგუფების წევრები იყვნენ.

ტეხასის შტატში ბრიტანეთის მოქალაქე სიკვდილით დასაჯეს

დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ჯეკ ელიოტი ტეხასის შტატში სიკვდილით დასაჯეს. 18 წლის გოგონას გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის ინგლისელი სასიკვდილო ინექციით გამოასალმეს სიცოცხლეს. არც ტეხასის სააპელაციო სასამართლომ და არც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ელიოტის თხოვნა სასიკვდილო განაჩენის შეცვლის თაობაზე. ამერიკის ხელისუფლებამ არ მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თხოვნაც კი სასიკვდილო განაჩენის სამუდამო პატიმრობით შეცვლის შესახებ. გარდა ამისა, შუამდგომლობები დააყენა ბრიტანეთის პარლამენტის 134 დეპუტატმაც. ელიოტის შეწყალების შესახებ გამოთქმული ყველა თხოვნა უარყოფილი იყო არგუმენტით, რომ ტეხასის შტატის ხელისუფლებას, ჯერჯერობით, არც ერთი სიკვდილმისჯილი არ შეუწყალებია.

სიკვდილის წინ ელიოტს ბოლო სიტყვის თქმა შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა. სასიკვდილო ინექცია ღამის 2 საათზე გაუკეთეს, პროცესს მისი ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, ელიოტის დასჯამ პატიმართა პროტესტი გამოიწვია. მათ მიაჩნიათ, რომ მოკლულს დანაშაული არ ჩაუდენია. იმავეს ამტკიცებს ელიოტის ადვოკატიც, რომელიც გამოძიებას არაობიექტურად ჩატარებულად მიიჩნევს.

მოკლედ

მოსკოვი. დააკავეს დამნაშავეთა ჯგუფი, რომელიც მამაკაცების ხელჩანთების ქურდობაზე იყო სპეციალიზებული. მილიციელებმა დაადგინეს ეჭვმიტანილთა ვინაობა: ორი მათგანი საქართველოდანაა ჩასული, ერთი კი ბელორუსი აღმოჩნდა. სამივე ქალაქში რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობდა. ეჭვმიტანილებს მილიცია თვალს ადევნებდა. ისინი დააკავეს დოლგორუკოვის ქუჩაზე, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მახლობლად, როცა მორიგი ავტომანქანიდან ხელჩანთას იპარავდნენ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. დღეს თბილისის საოლქო სასამართლო ავტომანქანის გატაცების ბრალდებით დაკავებულ ზურაბ სადაღაშვილისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების კანონიერებაზე იმსჯელებს. ზურაბ სადაღაშვილი იმ ხუთკაციან ჯგუფშია, რომელიც თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პოლიციამ ავტომანქანების გატაცების ბრალდებით დააკავა. ავტომანქანების გატაცებაში ბრალდებულის თქმით, მას დენს უერთებდნენ სხეულის სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის - გულის არეში, ამიტომ იგი იძულებული გახდა, გამოძიებისთვის აღიარებითი ჩვენება მიეცა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ედუარდ შევარდნაძემ კობა ნარჩემაშვილს პანკისის ხეობაში დარჩენილი სხვადასხვა საეჭვო ელემენტების წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებების გატარება დაავალა. პრეზიდენტი ძალოვანი უწყებებისგან კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის საკითხში გარდატეხის შეტანასა და „ნამდვილი შეტევის დაწყებას“ მოითხოვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის დასრულებამდე სამართალდამცველებს პანკისის ხეობაში საქმე გამოულეველი ექნებათ. „საუბარია ცალკეულ პირებზე, რომელთა პანკისის ხეობაში შესაძლო ყოფნაზე ინფორმაცია გვაქვს “, — აცხადებს ნარჩემაშვილი. მისი თქმით, საეჭვო პირები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც არიან. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. სამუდამო პატიმრობამისჯილი ტუსაღის ფიზული ბაირამოვის მიმართ გამოტანილ ორ სხვადასხვა განაჩენს უზენაესი სასამართლო ერთად განიხილავს.

30 წლის ფიზული ბაირამოვი გამართლებას და გათავისუფლებას მოითხოვს. ბაირამოვს სამუდამო პატიმრობის განაჩენი უზენაესმა სასამართლომ 1998 წელს გამოუტანა 16 წლის ბაირამ ბაირამოვის მკვლელობისათვის. 2000 წელს მსჯავრდებულს კიდევ ერთი სასჯელი მიუსაჯეს - 9-წლიანი პატიმრობა ყაჩაღობისათვის. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. კობა ნარჩემაშვილი არ გამორიცხავს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია "ალ ქაიდასთან" კავშირში მყოფი აბუ ხაფსის პანკისის ხეობაში წარსულში ყოფნის ფაქტს. ნარჩემაშვილის განცხადებით, შსს-სთვის უცნობია, თუ რამდენი ხანი იყო იგი ხეობაში; თუმცა, ძალოვან უწყებებს არასოდეს დაუმალავთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში მყოფი პირების პანკისის ხეობაში ყოფნის ფაქტები, რასაც ამერიკელ კოლეგებსაც ატყობინებდნენ. მისი თქმით, ამჟამად პანკისის ხეობაში ცალკეული კრიმინალები არიან დარჩენილნი, რომელთა მიმართ სათანადო ღონისძიებები ხორციელდება და "პანკისის ხეობის ერაყთან ან ავღანეთთან შედარება წარმოუდგენელია". **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ახმეტაში, ურთიერთშელაპარაკებისას, ნასამართლევმა, 52 წლის სოლომონ კოტორაშვილმა არარეგისტრირებული სანადირო თოფით მუცელსა და ხელში დაჭრა ნასამართლევი, 26 წლის ზურაბ ქინქლაძე, ხოლო ქინქლაძის დასახმარებლად მისულმა 23 წლის ავთანდილ ლეფსვერიძემ დანით მუცელში დაჭრა კოტორაშვილი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. ლეფსვერიძე და ქინქლაძე დაკავებულები არიან. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის მთავარი თემა ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის უფროსის ბეგლარ ფონიას მკვლელობის განხილვა იყო. ზუგდიდის პროკურორის მებრძოლი ჭკადუას თქმით, შეხვედრაზე ძირითადად მკვლელობის ვერსიებზე საუბრობდნენ. ჭკადუას განცხადებით, შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ მომხდარის შესახებ მოპოვებული ინფორმაციების გაცვლაზე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

პარიზი. შესაძლოა, ჩეჩნეთის მთავრობის ვაჭრობის ყოფილმა მინისტრმა ლომ-ალი ალდამოვმა საფრანგეთის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვოს. ამგვარი გადაწყვეტილება ალდამოვმა მას შემდეგ მიიღო, რაც ქალაქ სერჟი-პოტუაზის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ქვეყნის შს სამინისტროს მისი საფრანგეთიდან გაძევების უფლება არ მისცა. ჯერჯერობით, შსს-ში არ გადაუწყვეტიათ" გააპროტესტებს თუ არა ეს უწყება სახელმწიფო საბჭოში აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლოს ვერდიქტს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გენერალური პროკურორი არ გამორიცხავს აფხაზეთში გენოციდისა და ეთნოწმენდის ამსახველი მასალების ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალზე წარდგენას. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველომ აფხაზეთში მომხდარი ეთნოწმენდისა და გენოციდის ამსახველი 30 ტომისაგან შემდგარი საქმე შესაძლოა ჰააგაში გააგზავნოს, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე გააკეთა. ამ მიზნით, მან მართებულად ჩათვალა საქართველოში გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის ანზორ ბალუაშვილის მოწვევაც, რომელიც ამ მასალებზე წლების განმავლობაში მუშაობდა და ახლა ისრაელში, დიპლომატიურ სამსახურშია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ერთი მსახიობის თეატრში დაუდგენელმა დამნაშავემ სპექტაკლის დროს მოიპარა ვიდეოკამერა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის ინფორმაციით, ქურდობის შესახებ განცხადება გააკეთა მსახიობმა სოფიკო ჭიაურელმა, რომლის სახლშიც მოქმედებს თეატრი. პოლიცია ცდილობს, დაადგინოს ქურდის ვინაობა მაყურებელთა შორის, რომლებიც იმ დღეს სპექტაკლს ესწრებოდნენ. **კავკას-პრესი.**

გადასცა თუ არა საქართველომ აშშ-ს ბინ ლადენის თანამებრძოლი აბუ ჰაფსი

პირველი გვერდიდან

თვითმხილველთა მტკიცებით, დამკავებლებმა მათ ხელბორკილი დაადეს და შემდეგ მოკლეს მათი მძღოლი - ვინმე ხანგოშვილი. საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მომხდარი ფაქტით ქართველი სამართალდამცველები არ დაინტერესებულან და გამოძიება არ დაწყებულა.

ამ ფონზე უშიშროების სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს არაბი ტერორისტების დაკავებისა და ამერიკისთვის გადაცემის ფაქტს. **"ჩვენ თხოვნით მივმართეთ ამერიკელ კოლეგებს და მალე მივიღებთ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოხსენებას, მანამდე კი კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებთ, რადგანაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პაუელის სიტყვები სხვადასხვანაირადაა გავრცელებული. თუმცა, შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა და ეს არაერთხელ განგვიცხადებია, რომ არაბი ბოევიკები პანკისში მართლაც იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ კარგა ხნის წინ დატოვეს საქართველოს ტერიტორია."** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, პანკისის ხეობაში დაკავებულ არაბ ტერორისტთა შორის ერთ-ერთი, სავარაუდოდ, ბინ ლადენის უახლესი გარემოცვის წევრი აბუ ჰაფსი იყო. არსებული ვერსიით, იგი საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაავკავეს და ამერიკელ კოლეგებს გადასცეს. ბრიტანული გაზეთის "Sunday Times"-ის ინფორმაციით, რომელიც მან აშშ-ს სპეცსამსახურებისგან მიიღო, აბუ ჰაფსი ალი-ისლამ ელი-მაშრი - "ალ ქაიდას" პოლიტიკური კომიტეტის წევრი, მომწამვლელ ნივთიერებათა დამზადების საკითხში ექსპერტი, რომლის რეცეპტითა და მითითებებით მზადდებოდა ნივთიერება "რიცინი" - ამჟამად გუანტანამოს ბანაკში იმყოფება. ჩვენი მონაცემებით, აბუ ჰაფსი (იგივე ამჟეტი) პანკისის ხეობაში არსებული საწვრთნელი ბაზის "ასალამ"-ის სამსართულიან ჰოსპიტალს მეთაურობდა; იგი პირადად ბინ ლადენისგან ღებულობდა სოლიდურ დაფინანსებას.

უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა აბუ ჰაფსის პანკისში საქმიანობის ფაქტი, მართალია, დაადასტურა, მაგრამ უარყო აშშ-ს სპეცსამსახურებისთვის მისი გადაცემა: **"აბუ ჰაფსი (იგივე ამჟეტი) პანკისში იმყოფებოდა, მაგრამ მან ხეობა თვეების წინ დატოვა. ჩვენი ინფორმაციით, იგი ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება."**

თბილისიდან გატაცებული მანქანები აფხაზეთში ხვდებოდა

სოფიკო ჩხაიძე

ბოლო ხანებში თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ, ავტომანქანების გამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლა გააააქტიურა. გუშინაც მათ ორი გამტაცებელი მოპარულ მანქანაშივე დააკავეს. ზუგდიდელმა, ადრე ნასამართლევმა დავით შედანიამ და თბილისელმა ირაკლი ჩიქოვანმა ვინმე ლაბაძის მანქანის გადაყვანასაც აფხაზეთში აპირებდნენ.

"მისი აღიარების, გატაცებული მანქანების სახეობისა და გატაცების ადგილის მითითების მიუხედავად, ახლაც ვეძებთ ამ მანქანების პატრონებს, - ამბობს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე დავით ენდელაძე, - **დაზარალებულები დანაკარგის შესახებ პოლიციაში არ აცხადებენ; ეს კი გამტაცებლებს ხელს უწყობს იმაში, რომ მთელი ტრასა თბილისიდან ენგურის ხიდამდე უპრობლემოდ გაიარონ. როგორც წესი, გატაცებულ მანქანას ნომერს უცვლიან და პოლიციის საგუშაგოებს ადვილად გვარი გართულების გარეშე მოუხერხებია ადრე გატაცებული სამი მანქანის აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში გადაყვანა.** მისივე თქმით, მოპარული მანქანების რეალიზაციას აფხაზი კრიმინალების დახმარებით ახერხებდა. დამნაშავეები ლაბაძის მანქანის გადაყვანასაც აფხაზეთში აპირებდნენ.

"მისი აღიარების, გატაცებული მანქანების სახეობისა და გატაცების ადგილის მითითების მიუხედავად, ახლაც ვეძებთ ამ მანქანების პატრონებს, - ამბობს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე დავით ენდელაძე, - დაზარალებულები დანაკარგის შესახებ პოლიციაში არ აცხადებენ; ეს კი გამტაცებლებს ხელს უწყობს იმაში, რომ მთელი ტრასა თბილისიდან ენგურის ხიდამდე უპრობლემოდ გაიარონ. როგორც წესი, გატაცებულ მანქანას ნომერს უცვლიან და პოლიციის საგუშაგოებს ადვილად აღწევენ თავს. მაგრამ თუ მანქანის გატაცების შესახებ სამართალდამცველი ორგანოები საქმის კურსში არიან და მანქანაზე ძებნაა გამოცხადებული, ნომრის გამოცვლა საქმეს ვეღარ შველის. ამიტომ მინდა, ყველას მოვუწოდო, რომ მანქანის დაკარგვის შესახებ აუცილებლად აცნობონ პოლიციას".

შედანიასა და ჩიქოვანის მიერ გატაცებული მანქანების რეალიზაციისათვის შერჩეული გზა, როგორც ცნობილია, ენგურის ხიდზე გადის. შესაბამისად, დამნაშავეებს ხიდამდე ქართული საგუშაგო უნდა გაევლოთ, შემდეგ – ხიდზე მდგომი სამშვიდობო ძალების და ბოლოს, ხიდის იქით – აფხაზთა საგუშაგო. გატაცებული მანქანების ბიზნესში ამ საგუშაგოების მონაწილეობის შესახებ საქვეყნოდაა ცნობილი. მეტიც, აქაური ნიხრიც არავისთვისაა საიდუმლო. თუმცა, ამჯერად თბილისის პოლიციაში მათი მხრიდან დანაშაულის ხელშეწყობაზე არ საუბრობენ. ენდელაძის თქმით: **"მტკიცებულებების გარეშე ვერავის ვერაფერს დავაბრალებთ. მით უმეტეს, ვიცით – დამნაშავეებს, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე გატაცებული მანქანების გადაყვანაზე მუშაობენ, ენგურზე ისეთი ადგილები აქვთ შერჩეული, სადაც მანქანა მდინარეს ადვილად გადალახავს. შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიაზე გადადიან ხიდის გვერდის ავლით და აღარც საგუშაგოების პრობლემა დგება".**

მისივე განცხადებით, შედანიასა და ჩიქოვანს ბრალს წარუდგენენ მანქანის გატაცებისა და ქურდობისათვის. პოლიციის მტკიცებით, ადგილი არ ჰქონია დაკავებულთა მიმართ პროცესუალური ნორმების დარღვევასა და მათი უფლებების შელახვას. ამასვე ირწმუნებიან თავად დაკავებულნიც. თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წინასწარი დაკავების საკნიდან ციხეში გადაყვანისთანავე პატიმრები ჩვენებას ცვლიან და პოლიციას სერიოზულ პრეტენზიებსაც უყენებენ.

ასამართლებენ 11 სექტემბრის ტერაქტში ბრალდებულს

ჰამბურგის პროკურატურამ ნიუიორკისა და ვაშინგტონის ტერაქტების საქმეში ბრალდებულისთვის 15-წლიანი პატიმრობის მისჯა მოითხოვა.

პროკურატურამ მუნირა ალ-მოტასადეკას სასამართლო პროცესზე საბოლოო სიტყვა თქვა და განსასჯელი 11 სექტემბრის ტერაქტსა და 3 ათასი ადამიანის მკვლელობის ხელშეწყობაში დაადანაშაულა. პროკურატურის ბრალდებით, მოტასადეკა ერთ-ერთ მფრინავ-კამიკაძესთან, რომელმაც საჰაერო ცენტრის მეორე კოშკი ააფეთქა, საბანკო ოპერაციებს აწარმოებდა. პროკურატურის მტკიცებით, განსასჯელი კამიკაძეებს სოლიდურ თანხებს უგზავნიდა, რათა ტერაქტისთვის წვრთნა გაევლოთ. თავად მოტასადეკა კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას და აცხადებს, რომ მან საერთოდ არაფერი იცოდა 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ. თუ მოტასადეკისთვის წაყენებულ ბრალდებას სასამართლო გაიზიარებს, მას 15 წლით პატიმრობა ელის. სასამართლო ვერდიქტს რამდენიმე დღეში გამოიტანს.

აშშ-ში დააკავეს შპიონაჟში ბრალდებული ბიზნესმენი

გაზეთ "L"-ის ინფორმაციით, გფბ-ს თანამშრომლებმა კალიფორნიაში დააკავეს 59 წლის ამერიკელი ბიზნესმენი ჩჟაგა უი უაი, რომელიც შპიონაჟშია ბრალდებული. ფედერალური საგამოძიებო ბიუროს პრესდივანი ჩერილ მიმურა დეტალურ ინფორმაციას არ იძლევა ბიზნესმენის დაკავების თაობაზე. "L"-ისთვის მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ დაკავებულმა მოახერხა აშშ-ში საიდუმლო დოკუმენტების მოპოვება და ისინი კანადის ხელისუფლებას გადასცა. თუმცა, უცნობია, თუ რა დოკუმენტების მოპოვება მოახერხა ბიზნესმენმა.

ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მონაცემებით, ეჭვმიტანილის საქმიანობას 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ, ბიზნესმენის ოფისში დაყენებული იყო მოსასმენი აპარატურა, იშიფრებოდა მისი ელექტრონული ფოსტა და ისმინებოდა სატელეფონო საუბრები.

ბიზნესმენს შპიონაჟისთვის 20 წლით პატიმრობა ელის.

მზვერავების შეცდომები და მათი შედეგები

რეზო ასათიანი
პოლკოვნიკი, საქართველოს უმიშროების აკადემიის დაზვერვის ფაკულტეტის უფროსი

ოცდაათზე მეტი წლის მანძილზე საგარეო დაზვერვის ოპერატიულ საქმიანობაში არაერთი ჩავარდნის მოწმე ვყოფილვარ, ამათგან ზოგი უშუალოდ მეც შემეხო და ჩემს სადაზვერვო ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა (ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებ). ყოველი ასეთი შემთხვევისას ვცდილობდი, გამეგო, რატომ და როგორ მოხდა, რა იყო ამის ჭეშმარიტი მიზეზი. მაგრამ ამის მიხვედრა საკმარისად უტყუარი ინფორმაციის გარეშე უაღრესად რთული იყო (როგორც ჩანს, არც დღესაა იოლი) - მოწინააღმდეგე არასოდეს ამხელს, სინამდვილეში როგორ გაიდაიბირა მან მზვერავი ან როგორ ჩაუდგა მას კვალში, ან როგორ მოახერხა აგენტის "გამოთვლა" მრავალრიცხოვან ლოიალურ თანამოქალაქეთა შორის. ძნელია იმის გაგებაც, თუ ვინ, სად და როდის დაუშვა შეცდომა კონტეინერის სამალავში ჩადების ან ამოღების ოპერაციის ჩატარებისას, პირადი შეხვედრის ან რადიოკავშირის სეანსის განხორციელებისას და ა.შ. ყოველი ასეთი ჩავარდნა ნეგატიურ გავლენას ახდენდა დაზვერვის გეგმაზომიერ მუშაობაზე, აფორიაქებდა მის კოლექტივს, ამსხვრევდა მრავალი გამოცდილი და სრულიად ახალგაზრდა, საზღვარგარეთულ რეზიდენტურებში მუშაობის გამოცდილების ჯერ კიდევ არმქონე თანამშრომლების სამსახურებრივ კარიერას და არცთუ იშვიათად სახელმწიფოს პრესტიჟსაც აყენებდა ზიანს.

უთუოდ, თვით სადაზვერვო საქმიანობა თავისი არსით ისეთი სახის მოღვაწეობაა, რომელშიც შეუძლებელია რისკის აბსოლუტური გამორიცხვა, მაგრამ ჩავარდნები გაცილებით მცირერიცხოვანი იქნებოდა, მზვერავები ამ წარუმატებლობების საფუძველზე სწორ დასკვნებს რომ აკეთებდნენ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კვლავ და კვლავ რომ არ იმეორებდნენ ერთსა და იმავე შეცდომებს. ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ დაზვერვის მუშაობაში ადგილი შეიძლება ჰქონდეს ტრაგიკულ შემთხვევებსაც, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია; მაგალითად, შესაძლებელია, აგენტი ან მზვერავი დავალების შესრულების დროს ინფარქტით დაიღუპოს, გონება დაკარგოს, მოხვდეს ავტოკატასტროფაში ან მანქანამ გაიტანოს და ა.შ. ამიტომ საჭიროა მოვლენათა განვითარების ყველაზე ცუდი, ჩვენთვის არასასურველი ვარიანტის ალბათობის დაშვება და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, წყაროების წინასწარი დაზღვევა, თუმცა სადაზვერვო აქციები ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული და მათი წარმატების ასპროცენტიანი, სრული გარანტირება შეუძლებელია.

მზვერავებისა და აგენტების შეცდომები, ჩვეულებრივ, აშკარავდება და საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება, როცა მოწინააღმდეგის კონტრდაზვერვა ახერხებს მათ დადგენას, კავშირების და კონკრეტული კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენას და როცა იგი აუცილებლად ჩათვლის მათ დაპატიმრებას. ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესო ისაა, თუ როგორ და რატომ მოხვდნენ ისინი სპეცორგანოთა მხედველობის არეში – ისინი ხომ სადაზვერვო მუშაობის პროცესში საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, იცავენ სიფრთხილეს და კონსპირაციას. რა თქმა უნდა, არავის სურს გამოაშკარავება და დაპატიმრება, მაგრამ მათ ხშირად, თითქოსდა მცირე, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეცდომა გასცემს ხოლმე. ასეთ შეცდომას ან თავადვე უშვებენ, ან - ჯგუფის სხვა აგენტი, მზვერავი, რომელთანაც მათ კავშირი აქვთ, ანდა –სადაზვერვო ცენტრი, და ეს შეცდომა, განურჩევლად იმისა, თუ ვინ დაუშვებს მას, საბედისწერო ხდება. ქვემოთ მოკლედ იქნება მოყვანილი ზოგიერთი იმ მზვერავისა და აგენტის ოპერატიული ბიოგრაფიები, რომელთა სადაზვერვო საქმიანობა დადგენილ იქნა და რომლებიც დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს, აგრეთვე - რომლებიც მოწინააღმდეგის სპეცორგანოებთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ. ამასთან, უცხოურ გამოცემებში მოცემულ მასალებზე დაყრდნობით, შევეცდები, გავაანალიზო მზვერავების, მათი წყაროებისა და სადაზვერვო ცენტრის მიერ დაშვებული ის შეცდომები, რომლებმაც ხელი შეუწყო მათ ჩავარდნას. დაზვერვა წარმატებული თანამშრომლების მუშაობას, როგორც თავის უდიდეს საიდუმლოს, ბუნებრივია, არ ამჟღავნებს, ამიტომაც ამ საკითხს არც მე შევეხები.

რუდოლფ
ივანეს ძე აბელი,
მზვერავ-არალეგალი

1957-1962 წლებში პოლკოვნიკ აბელის გვარი დასავლური პრესის ფურცლებიდან არ ქრებოდა, მოგვიანებით კი ათეული წიგნი მიეძღვნა მის სადაზვერვო მოღვაწეობას. მისი ნამდვილი სახელია უილიამ ჰენრიხის ძე ფიშერი. იგი დაიბადა 1903 წელს ინგლისში, სადაც მისი მშობლები (გარუსებული გერმანელები, რომლებიც რევოლუციური მოღვაწეობისათვის გასახლებულნი იყვნენ .რუსეთიდან) 1901 წლიდან ცხოვრობდნენ. 1920 წელს ფიშერების ოჯახი რუსეთში დაბრუნდა: არმიაში სამსახურის შემდეგ, სადაც აბელი რადისტის სპეციალობას დაეუფლა, იგი 1927 წელს საგარეო დაზვერვაში ხვდება (ამ დროისათვის იგი სრულყოფილად ფლობდა ინგლისურს და კარგად გერმანულს) და ორჯერ მიემგზავრება არალეგალურად ევროპულ ქვეყნებში. 1948 წელს იგი არალეგალ-რეზიდენტად მივლინებულ იქნა აშშ-ში, სადაც კანადის გავლით ჩავიდა. აშშ-ში იგი სამი სახელით სარგებლობდა და თითოეულზე შესაბამისი დოკუმენტები გააჩნდა. ნიუ-იორკში, სასტუმრო "ლატამში" იგი მარტინ კოლინზად იწერებოდა. 1953 წლიდან იგი ცხოვრობდა ბრუკლინში, ფულტონსტრიტზე №252-ში, სადაც მას იცნობდნენ პროფესიონალი მხატვრის, ემილ გოლდფუსის სახელით. ზოგჯერ ფოტოგრაფადაც მუშაობდა. დაპატიმრებამდე იგი წარმატებით ასრულებდა საბჭოთა დაზვერვის სხვადასხვა დავალებას, ხელმძღვანელობდა აგენტურულ ჯგუფს "ვოლონტიორები", რომლის კოორდინატორი ლუისი იყო, ხოლო მეკავშირე - ლესლი (შემდგომში - კროგერების წყვილი; მათზე ცალკე ვისაუბრებთ). ჯგუფი "ვოლონტიორები", რომელიც შვიდი წყაროსაგან შედგებოდა, ძირითადად, ლოს-ალამოსში არსებულ ზესაიდუმლო ლაბორატორიაში ატომურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული მასალების შესაგროვებლად მუშაობდა. აბელი (ოპერატიული ფსევდონიმი - მარკი) შესანიშნავად ართმევდა თავს ამ ფასეული აგენტურული ჯგუფის მართვას უმკაცრეს კონტრსადაზვერვო რეჟიმის პირობებში. ამ დროს ამერიკული კონტრდაზვერვა მუდმივად უთვალთვალებდა აშშ-ში ყველა საბჭოთა დაწესებულებასა და მათ თანამშრომლებს. აბელს, უმცირესი შეცდომის თავიდან ასაცილებლად, ძალთა სრული დაძაბვა მოეთხოვებოდა. მარკის მონაწილეობით მრავალი ოპერაცია დღესაც არ არის გახსნილი, მაგრამ მისი მუშაობის შედეგებზე ის ფაქტი მიგვანიშნებს, რომ უკვე 1949 წლის აგვისტოში კონკრეტული მიღწევებისათვის იგი დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. აი, რას ამბობდა მოგვიანებით აბელი თავის მუშაობაზე: **"დაზვერვა თავგადასავალი და საზღვარგარეთ წარმტაცი მოგზაურობები არ არის, არამედ საკრიტიკო და მძიმე შრომაა, რომელიც დიდ ძალისხმევას, დაძაბვას, დაჟინებულობას, თავდაჭერილობას, ნებისყოფას, სერიოზულ ცოდნას და დიდ ოსტატობას მოითხოვს".**

1957 წლის 20 ივლისს აბელმა სასტუმრო "ლატამში" გაათია ღამე. გამთენიისას კარებზე დააკაკუნეს და კორიდორიდან უცნობი ხმა გაისმა: **"მარტინ კოლინზი?" - "დიახ",** - უპასუხა აბელმა და კარი გააღო. ოთახში სამი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი შემოვიდა - გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) აგენტები და ერთ-ერთმა მათგანმა მკაცრად მიმართა მას: **"პოლკოვნიკო, ჩვენ ვიცით, ვინ ხართ თქვენ და რას აკეთებთ ჩვენს ქვეყანაში".** მათ იქვე შესთავაზეს აბელს გფბ-სთან თანამშრომლობა, აშშ-ს მოქალაქეობის მიღება, პრესტიჟული, მაღალანაზღაურებადი სამსახური და ა.შ. მაგრამ აბელმა მტკიცედ უარყო ეს წინადადებები (როგორც ჩანს, კონტრდაზვერვა იმედოვნებდა საბჭოთა დაზვერვასთან ოპერატიული თამაშის დაწყებას მისი სხვა რეზიდენტურების და აგენტების გამოვლენის მიზნით).

როგორც მოგვიანებით გაირკვა, აბელი გასცა მისმა რადისტმა, სუკ-ის პოდპოლკოვნიკმა, **რეინო ჰეიჰანენმა,** რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობდა მაკის გვარით. აბელიც (მოგვიანებით კი ცენტრიც) და ამერიკელებიც ამ რუს ფინელზე დაბალი აზრის იყვნენ. ის იყო ტიპური ლოთი, რამდენიმეჯერ პოლიციაში მოხვედრილი ხულიგნობისათვის (სცემდა ხოლმე ცოლს - ლამაზ ფინელ ქალს, რომელთანაც ნიუ-იორკში ცხოვრობდა. მეორე ცოლი ბავშვთან ერთად საბჭოთა კავშირში ჰყავდა) და ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისათვის, საშუალოზე დაბალი ინტელექტით, რომელმაც ვერ შეძლო ინგლისური ენის სრულყოფილად შესწავლაც კი. ჰეიჰანენის ფინეთიდან ნიუ-იორკში ჩამოსვლისთანავე, 1952 წლის ოქტომბერში აბელი მიხვდა, რომ იგი მას არ გამოადგებოდა და არაერთხელ აგრძნობინა მისი მუშაობით და ყოფაქცევით თავისი უკმაყოფილება (რა თქმა უნდა, ტაქტიანად, ურთიერთობის დაძაბვის გარეშე, რასაც, შესაძლოა, საქმისათვის ზიანი მიეყენებინა). მოგვიანებით აბელი აღიარებდა, რომ სამწუხაროდ, საკუთარი რადისტის მიმართ მას ზედმეტად მომთმენი პოზიცია ჰქონდა იმის იმედით, რომ, სრული პროფესიული უვარგისობის გამო, ბოლოს და ბოლოს ცენტრი მას უკან გაიძახებდა. იგი ვერ ხვდებოდა, თუ როგორ მოხდა მასთან ესოდენ არაკომპეტენტური და არასაიმედო მუშაკის გაგზავნა.

ბოლოს და ბოლოს აბელს მოთმინება ამოეწურა და მან ჰეიჰანენს "სახლში შვებულებით" გამგზავრება შესთავაზა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა საკუთარი ხელმძღვანელის ამ დაჟინებული თხოვნის შემდეგ იგრძნო, რომ შეიძლებოდა მისი მივლინება აშშ-ში შეწყვეტილიყო და მას, უკეთეს შემთხვევაში, კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის სუკ-ში დააბრუნებდნენ (საიდანაც იყო რეკომენდებული დაზვერვაში) უცხოელი ტურისტების კონტრსადაზვერვო სამსახურში, რაც მას აშკარად არ სურდა. მის აფორიაქებულ ცნობიერებაში გაჩენილმა ასეთმა პერსპექტივამ, რასაც მაგარი სასმელების მუდმივი მიღება და ახალგაზრდა ფინელ მეუღლესთან სამუდამო განშორების შიშიც დაემატა, გადამწყვეტი როლი ითამაშა ჰეიჰანენის ღალატის მოტივაციაში. მან თავადვე შესთავაზა თანამშრომლობა გფბ-ს. მისი ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა - იგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

გფბ-ს აგენტებმა აბელის დაპატიმრების შემდეგ მის ნომერში აღმოაჩინეს მისი ჯაშუშური საქმიანობის მრავალრიცხოვანი ნივთმტკიცება: შავი ხის ძეწკლაკა და ფანქრებში სპეციალურად ჩამონტაჟებული მიკროფირების სამაღავები - რუსულ ენაზე დაწერილი ცოლის და ქალიშვილის წერილებით, თხელ ქაღალდზე დატანილი დასაშიფრი ცხრილების კომპლექტი, ცენტრთან რადიოსეანსების განრიგი. ნაპოვნი იქნა საპარსი ფუნჯებიც, რომლებიც ასევე სამალავის ფუნქციას ასრულებდა და ა.შ.

1957 წლის 7 აგვისტოს აბელს შეატყობინეს, რომ მას ბრალად ედებოდა: 1) შეთქმულება საბჭოთა რუსეთისათვის ატომური და სამხედრო ინფორმაციის გადაცემის მიზნით; 2) შეთქმულება ამგვარი ინფორმაციის შეგროვების მიზნით; 3) აშშ-ს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის აგენტობა სახელმწიფო დეპარტამენტში რეგისტრაციის გარეშე. ამერიკული კანონმდებლობით, ეს ნიშნავდა: პირველი პუნქტისთვის - სასიკვდილო განაჩენს, მეორესთვის - ათი წლით პატიმრობას, მესამესთვის - ხუთი წლის პატიმრობას.

ბრალდების წაყენების შემდეგ აბელს წარუდგინეს გამოჩენილი და ძალზე წარმატებული ამერიკელი ადვოკატი, **ჯეიმს დონოვანი,** რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იყო სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს, შემდგომში კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) თანამშრომელი (არ აურიოთ სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს პირველ დირექტორ უილიამ დონოვანში (1883-1959)). ურთიერთობის პროცესში დონოვანი ღრმა პატივისცემით განიმსჭვალა თავისი კლიენტის, როგორც უაღრესად ინტელექტუალური, მრავალმხრივ განათლებული, მტკიცე, თავმდაბალი, საკუთარი ქვეყნის უსაზღვროდ ერთგული ადამიანის, მოსიყვარულე ქმრის და მამის მიმართ (ამის თაობაზე შემდგომში იგი დაწერს თავის ბესტსელერში "უცნობები ხიდზე. პოლკოვნიკ აბელის საქმე", რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა აშშ-სა და ინგლისში). და ეს აშკარა გახდა, როდესაც 1957 წლის 14 ოქტომბერს ნიუ-იორკის აღმოსავლეთ ოლქის ფედერალურ სასამართლოში დაიწყო მოსმენა საქმისა **"ამერიკის შეერთებული შტატები რუდოლფ ივანეს ძე აბელის წინააღმდეგ".** აი, როგორ მოხერხებულად და არგუმენტირებულად ჩამოაყალიბა თავისი სიტყვა აბელის ადვოკატმა (ვფიქრობ, ღირს მისი მთლიანად მოყვანა):

"დიდად პატივცემულო სასამართლოვ, ქალბატონო და ბატონო ნაფიცო მსაჯულებო.

როგორც გახსოვთ, პროცესის დაწყისში მე ვისაუბრე ნაფიც მსაჯულთა მაღალ პასუხისმგებლობაზე. თქვენი მოვალეობაა განსაზღვროთ, დამნაშავეა თუ არა წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე ეს ადამიანი, სახელად აბელი, იმ კონკრეტული ქმედებების ჩადენაში, რაშიც მას სასამართლო სდებს ბრალს.

თქვენ უკვე გაეცანით ბრალდების ყველა მტკიცებულებას, მოუსმინეთ ყველა მოწმეს. დავუშვათ, რომ ეს ადამიანი მართლაც ისაა, რადაც მას მთავრობა თვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ ემსახურებოდა რა საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, იგი ასრულებდა უკიდურესად სახიფათო დავალებას. ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ასეთი დავალებით ვაგზავნით მხოლოდ მამაც და ჭკვიან ადამიანებს. თქვენ მოისმინეთ, რაოდენ მაღალი შეფასება მისცა უნებლიედ განსასჯელის მორალურ თვისებებს ყველა იმ ამერიკელმა, ვინც მას იცნობდა, თუმცა სულ სხვა მიზნით იყვნენ გამოძახებულები.

გუშინ თქვენ წაგიკითხეს ამ ადამიანის ნათესავების წერილები. ამ წერილებიდანაც შეგეძლოთ აზრი გამოგეტანათ - ცხადია, რომ აქ ჩანს ერთგული ქმრის, მოსიყვარულე მამის, მოკლედ, შესანიშნავი მეოჯახის პორტრეტი, ისეთი ადამიანის - რომერებიც ჩვენ გვყავს შეერთებულ შტატებში.

ამგვარად, თუკი ჩავთვლით, რომ ყველაფერი ის, რაც აქ ითქვა, სიმართლეა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ თქვენს წინაშეა უაღრესად მამაცი ადამიანი, რომელიც ასრულებდა უკიდურესად სახიფათო სამხედრო დავალებას საკუთარი ქვეყნის ინტერესების დასაცავად და მთელი ეს წლები მშვიდობიანად ცხოვრობდა ჩვენს შორის. მეორე მხრივ, თქვენ მოისმინეთ, თუ როგორ გამოდიოდა ორი სხვა ადამიანი მთავარი ბრალმდებლების როლში.

ჰეიჰანენი - რენეგატია ნებისმიერი თვალსაზრისით. თავიდან მას უწოდებდნენ ადამიანს, რომელიც "დასავლეთში დარჩა". შესაძლებელი იყო წარმოდგენა მაღალი იდეალების მატარებელი ადამიანისა, რომელმაც "აირჩია თავისუფლება" და ა.შ. მაგრამ თქვენ დაინახეთ, რას წარმოადგენს იგი: სრულიად უვარგისი პიროვნება, მოღალატე, მატყუარა, ქურდი.

მას მოჰყვა ადამიანი, რომელიც, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ერთადერთი ჯარისკაცია ამერიკის ისტორიაში, რომელმაც აღიარა, რომ ფულზე ჰყიდდა საკუთარ ქვეყანას (საუბარია ბრალდების მეორე მოწმეზე - სერჟანტ როი როუდზზე, რომელიც 1951-1953 წლებში მუშაობდა ამერიკის საელჩოში საბჭოთა კავშირში და გადაბირებულ იქნა მაკომპრომეტირებელი მასალების საფუძველზე. აბელმა ვერ მოახერხა მასთან კავშირის აღდგენა და მუშაობის ორგანიზება, მან მხოლოდ ერთხელ მოასწრო ტელეფონით დარეკვა მასთან - რ.ა.).

დავუბრუნდეთ ჰეიჰანენს. ბრალმდებელი გეტყვით, რომ ასეთი ადამიანებისათვის ბრალის წასაყენებლად სწორედ ჰეიჰანენის მსგავსი მოწმეების გამოყენებაა საჭირო. მაგრამ მე მინდა, რომ ადამიანის ჩვენებების შეფასებისას საკუთარ თავს ჰკითხოთ: ამბობს კი ის სიმართლეს, თუ ცრუობს და მზადაა იმდენჯერ იცრუოს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლის საკუთარი ტყავის გადასარჩენად?

თუკი ეს ადამიანი ჯაშუშია, ისტორია უდავოდ გამდიდრდება კიდევ ერთი რეკორდით, რადგან იგი - ყველაზე ზარმაცი, ყველაზე უხეირო და მარცხიანი აგენტია, ვისთვისაც კი ოდესმე მიუციათ ამგვარი დავალება.

როგორია სხვა მოწმეთა ჩვენებები?

ჩვენ მოვუსმინეთ სერჟანტ როუდზს. თქვენ დაინახეთ, თუ რა ადამიანია იგი: თავაშვებული ლოთი, სამშობლოს მოღალატე. ჭეშმარიტად რთულია ამ ადამიანის დაცემის მთელი სიღრმის წარმოდგენა.

გაიხსენეთ, როუდზი ამტკიცებდა, რომ იგი არასოდეს შეხვედრია ჰეიჰანენს, არასოდეს გაუგონია მისი სახელი. იგი არც ბრალდებულს შეხვედრია. იმავდროულად, მან დაწვრილებით აგვიწერა თავისი ცხოვრება მოსკოვში, ის, რომ ჩვენ ყველას ფულზე გვყიდდა. მაგრამ რა კავშირშია ეს ყველაფერი ბრალდებულთან? ეს მოვლენები მოსკოვში ხდებოდა ორი წლით ადრე იმ მომენტამდე, როდესაც, ჰეიჰანენის მტკიცებით, აბელმა იგი გააგზავნა პიროვნების, გვარად როუდზის მოსაძებნად.

და აი, მოწმეთა ასეთი ჩვენებების საფუძველზე ჩვენ გვთავაზობენ ამ ადამიანს გამოვუტანოთ საბრალდებო დასკვნა - შესაძლოა, სიკვდილმისჯილთა საკანშიც გავაგზავნოთ...

გთხოვთ, ეს გახსოვდეთ, როდესაც თქვენს ვერდიქტზე იფიქრებთ. ქალბატონო და ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, თუკი თქვენ ამ საქმეს უმაღლესი ჭეშმარიტების კრიტერიუმების შესაბამისად გადაწყვეტთ, სასამართლოს შენობა სუფთა სინდისით რომ დატოვოთ, ბრალდების პირველ და მეორე პუნქტებზე უეჭველად გამოიტანთ განაჩენს - "უდანაშაულოა".

გმადლობთ".

დონოვანმა სთხოვა სასამართლოს სასჯელად სიკვდილით დასჯა არ გამოეყენებინათ. თავის თხოვნას იგი ხსნიდა იმით, რომ ახლო მომავალში ამერიკის მოქალაქის ანალოგიურ ვითარებაში საბჭოთა კავშირში ან მის მოკავშირე სახელმწიფოში შესაძლო დაპატიმრების შემთხვევაში ტყვეთა გაცვლა ყველაზე მეტად გამოადგება აშშ-ს ინტერესებს **(სხვათა შორის, მოგვიანებით მისი ეს ბრძნული მოსაზრება გამართლდა. დონოვანმა 1962 წლის 12 მარტს მიიღო წერილი აშშ-ს პრეზიდენტ ჯონ კენედისაგან, რომელშიც გამოხატული იყო მადლიერება იმ გამორჩეული როლისათვის, რომელიც დონოვანმა სამი ამერიკელის ციხიდან გათავისუფლებასა და სამშობლოში დაბრუნების საქმეში შეასრულა, რაც, როგორც პრეზიდენტი აღნიშნავდა, შეესაბამებოდა აშშ-ს ინტერესებს. ბუნებრივია, აბელის ბედი მას არ ადარდებდა - რ.ა.).**

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ ვერ შეძლო იმის დამტკიცება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა აბელის მიერ აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისადმი მიყენებული ზიანი (ანუ საბრალდებო დასკვნის პირველი და მეორე პუნქტები). არ არსებობდა იმის მტკიცებულებები, რომ იგი ცენტრს საიდუმლო ინფორმაციას გადასცემდა. მას ვერ აღმოუჩინეს ვერც ერთი საიდუმლო ამერიკული დოკუმენტი. ხატოვნად თუ ვიტყვით, გამოდიოდა ისე, რომ სახეზე იყო თხილის ნაჭუჭი (ჯაშუშური საშუალებები, მოღალატე ჰეიჰანენის ჩვენებები და ა.შ.), მაგრამ არ ჩანდა მისი გული (კონკრეტული ჯაშუშური ქმედებები, რომლებიც ზიანს მიაყენებდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს).

1958 წლის 21 თებერვალს, მიუხედავად ყველაფრისა, სასამართლომ აბელი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა 30-წლიანი პატიმრობა. ამერიკელი პუბლიცისტი ი. ესტენი წიგნში **"როგორ მუშაობს ამერიკული საიდუმლო სამსახური",** ასე აღწერს მზვერავის ქცევას სასამართლო პროცესზე: **"სამი კვირის მანძილზე აბელის გადაბირებას ცდილობდნენ მისთვის ყველა ცხოვრებისეული სიკეთის შეთავაზებით. როცა ეს არ გამოვიდა, დაიწყეს მისი დაშინება ელექტრული სკამით... მაგრამ ვერც ამან გახადა რუსი უფრო დამყოლი. მოსამართლის შეკითხვაზე, - თვლის თუ არა აბელი თავს დამნაშავედ, - იგი უყოყმანოდ პასუხობდა, - "არა". ჩვენების მიცემაზე აბელმა უარი განაცხადა".**

1962 წლის 10 თებერვალს, ხანგრძლივი საბჭოთა-ამერიკული მოლაპარაკებების შემდეგ შედგა აბელის გაცვლა ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავ უ-2-ის პილოტ **ჰარი პაუერსზე,** რომელიც 1960 წლის 1 მაისს იქნა ჩამოგდებული ქ. სვერდლოვსკის სიახლოვეს. მალევე, საბჭოთა-ამერიკული შეთანხმების საფუძველზე, აბელის სანაცვლოდ, ასევე ჯაშუშობისათვის დაპატიმრებული ორი სხვა ამერიკელიც გათავისუფლდა - **პრაიორი** და **მაკინენი.**

გაგრძელება იხ. სამშაბათის ნომერში

IPM
Institute for Polling & Marketing

საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი (აი-ფი-ემი) აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე

1. მედია კვლევების მენეჯერი (700 ლარიდან კვალიფიკაციის მიხედვით)
2. საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტი (440 ლარიდან კვალიფიკაციის მიხედვით)
3. ბუღალტერი (700 ლარიდან კვალიფიკაციის მიხედვით)
4. თვისობრივი კვლევების კოორდინატორი (350 ლარიდან კვალიფიკაციის მიხედვით)

მედიის კვლევის მენეჯერის, საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტისა და თვისობრივი კვლევების კოორდინატორის პოზიციებისათვის განსაზღვრულია მოსამზადებელი/სასწავლო მცირე კურსი კომპანიაში. მედიის კვლევების მენეჯერისა და თვისობრივი კვლევების კოორდინატორისათვის სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა.

თითოეული პოზიციისათვის სავალდებულოა მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო სტაჟი მონათესავე პროფესიით, ან განათლება მონათესავე სპეციალიზაციით. თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრულია ხელფასის მატება 6 თვის წარმატებული მუშაობის შემთხვევაში.

განცხადებების მიღება ხდება მისამართზე: თბილისი, ბარათაშვილის 8, მესამე სართული, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ოფისი. ტელ: 997214, 998203

გასაუბრება პრეტენდენტებთან მოხდება 10-14 თებერვალს.

მერაბ ნინიძე თბილისური პრემიერის სამზადისშია B2
ქართული ძიუდოს დესანტი პარიზში B5
კვირის TV-პროგრამა B7

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

თბილის-ქალაქი თუ თბილისი-სიტი

არ წაიკითხონ ძველმა თბილისელებმა და ქალაქური პოეზიის მოყვარულებმა

დღეს აფიშებს აღარ აწერია "სუსტი გულის პატრონები ფილმზე არ დაიშვებიან." ალბათ იმიტომ, რომ ვისაც გული ტკივა, კინოში ისედაც ვერ დადის. სამაგიეროდ, დადიან ქუჩაში და ძველი უბნებით, რუსთაველითა თუ ფუნიკულიორით შეიძლება ტკბებიან კიდეც. სულ ამაოდ. ეს ყველაფერი მათ არ ეკუთვნით, რადგან, ყველაფერი გაყიდულია.

ახლა უკვე ხმამაღლა შეიძლება ითქვას, რომ თბილისის თავკაცების არც ერთ თაობას ქალაქი არ უყვარდა. ქალაქი მათ ერთ დიდ გასაყიდ საქონლად გადააქციეს და განსაკუთრებით გემრიელი ადგილები სარფიანად გაყიდეს. თუმცა, ქალაქის ბიუჯეტს ეს არ დატყობია

სანამ თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გახდებოდა, ირაკლი ოქრუაშვილი საკმაოდ წარმატებული იურისტი იყო და მან სხვებზე უკეთ იცის, რომ ამ ქვეყანაში კანონს მიზერული შანსები აქვს. მიუხედავად ყველაფრისა, მას კიდევ აქვს იმედი, რომ ქალაქი დაიბრუნებს გაყიდულ მიწისქვეშა და მიწისზედა ქუჩებს. ოღონდ, ამას აქა-იქ შემორჩენილი ძველი ქალაქელები, ალბათ, ვერ მოესწრებიან, რადგან თბილისის "კანონიერი" მეპატრონეები ჯერ კიდევ ფლობენ ძალაუფლებასა და გავლენას.

მაია ჭალაგანიძე

ირაკლი ოქრუაშვილი

- უკანასკნელ დღეებში თქვენი კომისიის მიერ მიღებულმა შემოწმების აქტმა საკმაოდ სერიოზული დარღვევები გამოავლინა. ეს, პრინციპში, კონტროლის პალატის ფუნქცია იყო...

- 1998 წლის საკრებულოს არჩევნების შემდეგ კონტროლის პალატის კანონის მიხედვით, ამ უწყებას უნდა შეეწყვიტა თავისი ფუნქციონირება ადგილობრივ ორგანოებთან მიმართებაში, ანუ აღარ უნდა შეემოწმებინა ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანოები და მუნიციპალური საწარმოები. ეს ფუნქცია ავტომატურად გადადიოდა სარევიზიო კომისიის კომპეტენციაში თბილისისა და მთელი საქართველოს მასშტაბით. კონტროლის პალატა დღეისათვის თვითნებურად განაგრძობს შემოწმებებს და თითოეული ამ ორგანოს თუ ობიექტის შემოწმების დროს აბსოლუტურად უკანონო აქტებს გამოსცემს. ჩვენ მათ მივმართეთ, რათა შემოწმებები აღარ გაეგრძელებინათ, რადგან ეს კანონის ფარგლებში არ ჯდება და ჩვენს ფუნქციებში იჭრებიან.

- სანამ ეს ორი უწყება დავობს, ვინ შედის შემოწმებაზე მუნიციპალური დაქვემდებარების ობიექტებში?

- ხდება ფუნქციების დუბლირება და შესამოწმებლად ჩვენც შევდივართ და ისინიც.

- უფრო კონკრეტულად, რა სტრუქტურა და ფუნქციები აქვს სარევიზიო კომისიას?

- სარევიზიო კომისიას საკმაოდ მწირი ბიუჯეტი ჰქონდა და, შესაბამისად, მცირე რაოდენობის შტატები. ახალი ბიუჯეტის მიღებისას ამ შტატებს გავზრდით.

- რა განასხვავებს თქვენი და კონტროლის პალატის მუშაობის სტილს?

- განსხვავებული იქნება მიდგომები. ნებისმიერ ორგანიზაციაში რომ შეხვიდეთ და შინაურულად დაელაპარაკოთ, გეტყვიან, რა ნიხრები აქვს დაწესებული კონტროლის პალატას. როგორც მინიმუმ, ნებისმიერი კონკრეტული ორგანიზაციის ბიუჯეტის ერთ პროცენტს ახდევინებენ შავი ფულის სახით, რათა ის დარღვევები არ დაუფიქსირონ, რაც არსებობს.

ჩვენი კომისია შვიდი ადამიანისგან შედგება. აბსოლუტურად ყველა ფრაქციის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული. ახლა ორი ახალი ფრაქცია შეიქმნა და ორივეს წარმომადგენელი დაგვემატება. გარდა ამისა, კომისიის ყოველდღიურ მუშაობაში ექსპერტები იღებენ მონაწილეობას და კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად ამოწმებენ ორგანიზაციებს.

- უპირველეს პრიორიტეტად რა დაისახა კომისიამ?

- გამგეობების შემოწმება, რადგანაც გამგეობებს უშუალო და ხშირი შეხება აქვთ მოსახლეობასთან. მათ ევალებათ ქალაქის ქუჩების დასუფთავება, გზების აღდგენა, იმ ყბადაღებული მოსაკრებლების ამოღება, სოციალური დახმარებების გაცემა და ა.შ. პირველად ვაკე-საბურთალოს გამგეობა შევამოწმეთ, სადაც საკმაოდ ბევრი დარღვევა აღმოვაჩინეთ. ჩვენი აქტის საფუძველზე საკრებულომ უნდობლობა გამოუცხადა გამგებელს და ახლა პრეზიდენტის ვერდიქტს ველოდებით. თუმცა, პრეზიდენტის გადაწყვეტილება გავლენას ვერ იქონიებს ჩვენს საქმიანობაზე. შემოწმებას გავაგრძელებთ ჯერ გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე ჩუღურეთის რაიონებში და აბსოლუტურად ყველა გამგეობაში.

- ვაკე-საბურთალოს გამგეობის შემოწმებამ ხმაურით ჩაიარა. რა დარღვევები ნახეთ?

- კამერალური შემოწმებით არ შეიოვიფარგლეთ და მარტო დოკუმენტებით არ მოგვიწია მუშაობა. ადგილზე გავედით და რამდენიმე ობიექტი შევამოწმეთ. საკმაოდ სერიოზული დარღვევები აღმოჩნდა უშუალოდ გამგეობაში, სადაც არალეგალურად ჰქონდათ გაქირავებული ფართები. პარკირებისთვის გამოყოფილი 10 ადგილი იყო გადამალული, საიდანაც შავი ფული იკრიბება და ეს ფული მიდის როგორც გამგებლის, ასევე დაბალი რგოლის ჩინოვნიკების ჯიბეში. სოციალური დახმარებების საკითხშიც სერიოზული დარღვევები აღმოვაჩინეთ. წლის განმავლობაში ერთი და იგივე პირს რამდენჯერმე ჰქონდა აღებული დახმარება, თუმცა არიან მოქალაქეები, ვინც საერთოდ არაფერს იღებს. გამგეობამ დასუფთავებისთვის ტენდერი გამოაცხადა. გამარჯვებულია ორი ფირმა, რომელიც ტენდერის წინ აცხადებდა, რომ ვაკეს, პირობითად, 500 000 ლარად და საბურთალოს 700 000 ლარად დაასუფთავებდა. სინამდვილეში, ეს ფირმები გაცილებით მეტ თანხებს იღებენ, რაც თავიდანვე მიუთითებდა იმაზე, რომ მათ ტენდერში კორუფციული გარიგებებით გაიმარჯვეს.

აგრეთვე, ვაპირებთ მუნიციპალური ორგანიზაციების შემოწმებას. ამჟამად ვამოწმებთ "თბილწყალკანალს" და მეტროს. ვაკე-საბურთალოს მაგალითმა დაგვანახა, რომ მეტროებში რამდენიმე უნებართვო მაღაზია ფუნქციონირებს. მეტროდან შუქი აქვთ გამოყვანილი, არანაირი მრიცხველი არ არსებობს და გადახდა არ არის. მაღაზიის მეპატრონეები აცხადებენ, რომ ფულს გამგეობას უხდიან. "თბილწყალკანალშიც" სერიოზული დარღვევებია ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაშიც კი. საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება მოსახლეობისათვის წყლის დავალიანების ჩამოწერის შესახებ. "თბილწყალკანალი" კი თითოეულ მოქალაქეს სძალავდა ფულს, რომ მათთვის წყლის დავალიანება ჩამოეწერათ.

ასევე შევამოწმებთ თბილისის ქონების მართვის დეპარტამენტს, სადაც პრივატიზაციის სფეროში წლების განმავლობაში სერიოზული კორუფციული გარიგებები ხდებოდა. ეს ყველაფერი კი შემოწმების აქტში აისახება.

- საიდან წარმოიშვა "თბილისი-სიტის" თემა. რატომ დაინტერესდით ამ საკითხით?

- "თბილისი-სიტის" საკითხი შეისწავლეს იუსტიციის სამინისტრომ, ქონების მართვის სამინისტრომ, კონტროლის პალატამ, პარლამენტის კომიტეტმა, წინა მოწვევის საკრებულოს იურიდიულმა კომისიამ. ყველა მათგანი აფიქსირებდა, რომ აქ სერიოზული დარღვევა და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, ამ დასკვნებს არანაირი შედეგი და რეაგირება არ მოჰყოლია. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ნამუშევარი არ დარჩეს "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და ამას სერიოზული ნაბიჯები მოჰყვება.

- რა არის პრობლემის არსი?

- "თბილისი-სიტი" შევარდნაძის უშუალო მითითებითა და თანხმობით 1993 წელს დაფუძნდა. პრეზიდენტთან გამართულ თათბირზე პროექტი მოიწონეს. თბილისის მერიამ, როგორც "თბილისი-სიტის" ერთ-ერთმა მეწილემ, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ქონება შეიტანა ამ საწარმოს კაპიტალში. ესენია: მერიის წინ მდებარე მშენებარე სასტუმროს მიწა იქ განლაგებული დაზიანებული შენობებით, სასტუმრო "თბილისის" დამწვარი შენობა, მხატვრის სახლის დამწვარი შენობა, სასტუმრო "თბილისსა" და რუსთაველის თეატრს შორის მდებარე შენობა, მთაწმინდის ტერიტორიაზე არსებული რესტორნის შენობა თავისი 5000 კვადრატული მეტრის ფართის ნაკვეთით (მთაწმინდის პარკი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული და მისი პრივატიზება კანონით აკრძალულია). საარ-ბრიუკენის (ყოფილი ვორონცოვი) მოედნის ტერიტორია, მეტრო "მარჯანიშვილიდან" უნივერმაღამდე არსებული ტერიტორია და გოთუას ქუჩაზე მშენებარე უზარმაზარი შენობა. ეს ყველაფერი 33 პროცენტის საწილოდ იქნა შეტანილი და ისე რომ, მისი ღირებულება არც დაუდგენიათ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, "თბილისი-სიტის" საწესდებო კაპიტალი 15 მილიარდი მანეთით განისაზღვრა. გახსოვთ, მაშინ როგორი ინფლაცია იყო. ამ თანხამ კუპონებში განიცადა ტრანსფორმაცია...

- დანარჩენი დამფუძნებლები ვინ არიან?

- ესენი საკმაოდ ცნობილი პიროვნებები და კრიმინალები (სხვაგვარად ვერ დავარქმევ) არიან: ნუგზარ შევარდნაძე; მაშინდელი ვიცე-პრემიერი ამირან ქადაგიშვილი, რომელიც ანაბრების აფიორების გამო ძებნაშიც კი იყო ერთ ხანს; ალექსანდრე კურცხალია, რომელიც ახალი საკრებულოს მოსვლამდე ისევ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა მერიაში; რესან კონცელიძე, რომელიც პრეზიდენტის დაცვის უფროსის ძმის კომპანიონია; დიდიმ სტურუა, რომელიც დღეს პრეზიდენტის მრჩეველია; გურამ ახრახაძე... და ეს არის თბილისის ისტებლიშმენტი, რომელმაც მთელი ეს ქონება ჩაიგდო ხელში.

მერიამ ეს ქონება 33 პროცენტში ჩადო. ამ პიროვნებებმა კი დანარჩენ 67 პროცენტში ჩადეს 37 ათასი დოლარი და 4 მილიარდი კუპონი. ცალსახად ჩანს, თუ რა დონის კორუფციულ გარიგებაზეა საუბარი.

ამავე დროს, დამფუძნებლებმა კავკასიის ბანკში (ამირან ქადაგიშვილის ბანკი იყო), პირობითად რომ ვთქვათ, 40 ათასი დოლარი შეიტანეს. ბანკი გაკოტრდა და გასაგები უნდა იყოს, სად წავიდა ეს ფული. შემდგომში, გადაანგარიშდა და რატომღაც დაფიქსირდა, რომ მთლიანად "თბილისი-სიტის" კაპიტალი 450 000 დოლარია და სწორედ ეს თანხა წარმოადგენს მერიის მიერ შეტანილი ქონების ღირებულებას.

გარდა ამისა, მთელი ამ დროის განმავლობაში წილების გადანაწილება ხდებოდა იმის მიხედვით, თუ ვის როგორ უძლიერდებოდა თუ უსუსტდებოდა გავლენა ხელისუფლებაში.

შემდგომში ქალაქის მერი ლეკიშვილი გახდა. რა თქმა უნდა, მასაც მადა გაეხსნა და ამ საწარმოში გარკვეული წილები მოითხოვა. სავარაუდოდ, კონფლიქტის წარმოშობის გამო მან გამოსცა განკარგულება, რის მიხედვითაც მერია გამოვიდოდა "თბილისი-სიტიდან", როგორც დამფუძნებელი.

- ეს ნიშნავდა "თბილისი-სიტის" ლიკვიდაციას?

- დიახ. და კიდევ იმასაც ნიშნავდა, რომ მერია თავის წილს დანარჩენ პირებს მიყიდდა და თავის ქონებას უკან გამოიტანდა... ლეკიშვილი ხუთიოდე თვის შემდეგ ამ თავის განკარგულებას აუქმებს და ახალი განკარგულებით მერია კვლავ რჩება "თბილისი-სიტის" მეწილედ. ამას გარდა, იმავე განკარგულებით, მერიის მიერ შეტანილი იჯარისაგან ათავისუფლებს ამ პირებს და მათსავე სასარგებლოდ მიწის საბაუჯეტო გადასახადებისგან მთლიანად ათავისუფლებს მთელ ამ მიწის ნაკვეთებს.

შემდგომ პერიოდში მერია იმის გათვალისწინებით, რომ ამ პიროვნებებმა თავისი წილები დათმონ და მერიას მოემატოს თავისი კაპიტალი, ითხოვს თავისი წილის გაზრდას 50 პროცენტამდე. ეს მოხდა, მაგრამ ეს იყო ტყუილი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მერიამ 50 პროცენტი მიიღო, ამ დროისთვის "თბილისი-სიტიში" ეს ქონება აღარ არსებობდა და უკვე გასხვისებული იყო.

"თბილისი-სიტიმ" ამერიკულ კომპანია "ბობ უოლშთან" (დაუდასტურებელი ინფორმაციით, ეს კომპანია გაკოტრებულია) ერთად დააფუძნა შვილობილი საწარმოები - "ოტელ თბილისი", უძრავი ქონების კომპანია და "მთაწმინდის პლატო". თითოეული ეს ჩამოთვლილი შენობები და მიწის ნაკვეთები მათ კაპიტალში ჩადო. ამის სანაცვლოდ "თბილისი-სიტიმ" 40 პროცენტიანი წილები მიიღო, თუმცა, შემდგომში, ისევ კორუფციული გარიგების გამო, ეს წილი 35 პროცენტამდე შეუმცირდა.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - მიუხედავად იმისა, რომ კორუფციული გარიგებებით შექმნილი ორგანიზაციების კაპიტალში ამხელა ფული ჩაიდო, ამ ხნის განმავლობაში ერთი თეთრიც კი არ შესულა ქალაქის ბიუჯეტში.

შემდგომში უფრო კურიოზული ფაქტი მოხდა. თბილისის ვიცე-პრემიერმა შერაძემ, პრეზიდენტის მითითებით ამერიკულ საინვესტიციო ფონდთან და "ბობ უოლშის" ფირმასთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რითიც აიღო ვალდებულება, რომ სახელმწიფო არანაირად არ გახდიდა სადავოს ამ ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

- თქვენი ნაამბობიდან გამოდის, რომ ჩამოთვლილი ტერიტორიები ამერიკაა და არა თბილისი. ეს ხომ უკვე სამუდამოდ მათია?

- მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არსებობს ამ ქონების დაბრუნების სასამართლო ლეგალური გზები. მიუხედავად იმისა, რომ იქითა მხარეს საკმაოდ გავლენიანი პირები არიან და უშუალო კავშირში არიან პრეზიდენტთან, ჩვენ საკმაოდ კონკრეტულ წინადადებებს შევთავაზებთ საკრებულოს. ელემენტარულად, 50 პროცენტი წილის მოშველიებით მერიამ შეიძლება "თბილისი-სიტიში" მიიღოს გადაწყვეტილება და სამეთვალყურეო საბჭოს ექვსივე წევრი გაათავისუფლოს. დაინიშნებიან ახალი წევრები, რომლებიც შემდგომ გაათავისუფლებენ არსებულ დირექტორებს და წესიერ და გაუსვრელ პიროვნებებს დანიშნავენ დირექტორებად. ესენი კი, თავის მხრივ, მერიას გადმოუფორმებენ "თბილისი-სიტის" 55 პროცენტიან წილს, რომელსაც ის ფლობს; ასევე გადმოუფორმებენ სასტუმრო "თბილისში", თავისუფლების მოედანზე მშენებარე სასტუმროს 52 პროცენტიან წილს და უძრავი ქონების კომპანიის წილს.

- სანამ ეს მოხდება, იქნებ თქვათ, ვისია დღეს ყოფილი პლეხანოვი, ვორონცოვი და ლენინის მოედანი?

- ეს ყველაფერი ზემოთნახსენებ კერძო პირებს აქვთ ხელში ჩაგდებული. და ეს სხვადასხვა კომპანიებშია ფიქსირებული.

- რატომ გაქვთ იმის იმედი, რომ საკრებულო მხარს დაუჭერს ქონების დაბრუნების ამ პროექტს. საკრებულო ხომ იგივე შერაძის წინააღმდეგაც არ იყო ერთსულოვანი?

- საკრებულოში ამ გადაწყვეტილების გატარება ადვილად არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ კომისიაში ყველა ფრაქციაა წარმოდგენილი, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ არის. თბილისის ისტორიაში ეს უდიდესი აფიორა არავის გაუპროტესტებია და უარყვია.

- მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ვაკე-საბურთალოს გამგებლის დამნაშავეობას აღიარებდა, თქვენს ლეიბორისტ მოადგილეს, სულაძის წინააღმდეგ ხმაც არ ამოუღია...

- სამწუხაროდ, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი შემოწმების კომისიაში ჩემი უშუალო თხოვნით იქნა მივლინებული. ის შინაგანად მხარს უჭერდა სულაძის გადაყენებას. როგორც ჩანს, ნათელაშვილის ინსტრუქტაჟმა დააბნია ეს ხალხი. ძალიან ბევრი ამბობდა, რომ სულაძე იმსახურებს იმას, რაც მიიღო, მაგრამ როგორც ჩანს, ნათელაშვილს ჯორბენაძისთვის ვალი ჰქონდა დასაბრუნებელი და ამის გამო ლეიბორისტულმა ფრაქციამ სხდომა დატოვა. ამით მათ სულაძეს პოზიციები გაუმყარეს.

- როგორ აპირებს საკრებულო იმუშაოს უნდობლობა გამოცხადებულ გამგებელთან და ქალაქის მთავრობის წევრებთან?

- სამწუხაროდ, საკრებულოს გამგებლების გადაყენება არ შეუძლია. პროცედურით, გამოცხადებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შეუძლია უნდობლობის განმეორებით გამოცხადება. თუ პრეზიდენტმა არ გადააყენა სულაძე თანამდებობიდან (არადა, მისი გადაყენების ყველა საფუძველი არსებობს), საკრებულო ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებისას ვაკე-საბურთალოს გამგეობას არ დაუმტკიცებს იმ თანხებს, რაც საჭიროა ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ყველა სამსახურს ცენტრალურ დაქვემდებარებაში გადმოვიტანთ და აქედანვე მოვახერხებთ იმის გაკეთებას, რასაც გამგებელი ვერ ახერხებდა.

- მერებისა და გამგებლების არჩევითობა, იმედია, გადაწყვეტდა ქალაქის წინაშე მდგარ პრობლემებს. როგორ გგონიათ, იმ პირობებში, როცა კანცელარიაში, როგორც ამბობენ - "დრაკონული" საარჩევნო კანონი და საკონსტიტუციო ცვლილებები მზადდება, შესაძლებელია ამ დემოკრატიული გადაწყვეტილების გატანა?

- ვერაფერს გეტყვით დოკუმენტზე, რომელსაც არ ვიცნობ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ არჩევნები ძველი მიდგომებით იმ მარტივი მიზეზის გამო ვეღარ ჩატარდება, რომ ხალხი იმ არჩევანს აღარ გააკეთებს, რაც აქამდე გააკეთა. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ პარლამენტმა ნორმალური საარჩევნო კოდექსი მიიღოს, რათა ყველამ თანასწორად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. ჩვენ წლის ბოლოს არ ვაპირებთ ამომრჩეველთან დაპირებებით მისვლას, რადგანაც შეგვიძლია, თუნდაც მარტო თბილისელებს დავანახოთ, რომ ამ ქალაქში საქმის გაკეთება შეიძლება.

- დღევანდელ პარლამენტში ოპოზიციას სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდება. რა ხერხით იბრძოლებს გუშინწინ გაერთიანებული ოპოზიცია?

- ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს, რომ ძალისმიერი მეთოდებით პარლამენტში გადაწყვეტილებების გატანა ცუდ დღეში ჩააგდებს ოპოზიციას, ქვეყანაში სიტუაციას დაძაბავს და საბოლოოდ ისევ მათ ჩააყენებს ცუდ მდგომარეობაში.

რაც შეეხება ოპოზიციის გაერთიანებას - შეიძლება ცალკე აღებული კონკრეტული საკითხის ირგვლივ გაერთიანდეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ერთ სუბიექტად ქცევას და საარჩევნო ბლოკებად გაერთიანებას.

- რა წინააღმდეგობებს შეხვდა კომისია ხელისუფლებისგან?

- ვაკე-საბურთალოს გამგეობის შემოწმებისთვის თვეზე მეტი დაგვჭირდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საბიუჯეტო წელი მთავრდებოდა და გამგეობის წევრებისგან ინფორმაციის მოპოვება ჭირდა. გარდა ამისა, შემოწმება ჩვენი მწირი შტატების გამო გაჭიანურდა.

- საინტერესო შემოთავაზება თუ გქონდათ?

- მცდელობები იმდენად სასაცილო იყო, რომ ამ ადამიანების ჭკუათმყოფელობაში ეჭვიც კი შემეპარა - წინასაარჩევნოდ გოჭების და 200-300 ლარის შეთავაზება ინდაურისა და ღვინის საყიდლად. ჩემდამი უფრო სერიოზული შემოთავაზებებიც იყო, მაგრამ, დამადასტურებელი საბუთი არ მაქვს და პიროვნებას ვერ დავასახელებ...

- თქვენი და თბილისის მთავრობის მუშაობას თანამშრომლობა ჰქვია?

- თბილისის მერთან არ გვაქვს ყოველდღიური შეხება. ვიცე-პრემიერებთან და პრემიერთან კი ყოველდღიური შეხება გვაქვს. ჩვენს მიერ მიღებული დადგენილებები მათ უნდა აღასრულონ და თუ ეს არ მოხერხდება, საიმისო ბერკეტებიც გაგვაჩნია, რომ ვაიძულებთ, გააკეთონ ის საქმე, რაც ჩვენი და ამომრჩეველთა ინტერესებშია. შეგვიძლია გადავაყენოთ კიდეც.

- თქვენ იურისტი ხართ. რა კვალიფიკაციას მისცემდით "თბილისი-სიტის" აფიორას?

- იურისტი კი ვარ, მაგრამ სისხლის სამართალში არა... რა თქმა უნდა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას...







B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

გადარგული ხის ბედი

მერაბ ნინიძე თბილისური პრემიერის სამზადისშია

ავტორის არქივიდან

ვერა ნეფარიძე

გუშინ კულტურის სამინისტროში ტრადიციული ბრიფინგი გაიმართა. ჟურნალისტებისთვის განვლილი ორი კვირის მნიშვნელოვანი საკითხების ანგარიშის ჩაბარების გარდა, გუშინდელ შეხვედრაზე სამინისტრომ დაპირებული ახალი ტრადიციაც დაამკვიდრა. ამჯერად ბრიფინგის სტუმარი მსახიობი მერაბ ნინიძე იყო.

თბილისში დაბრუნებული მსახიობი გუშინდელ ბრიფინგამდე ფართო საზოგადოებამ ჯერ იმ სატელევიზიო ჩანაწერში იხილა, რომელიც პრეზიდენტისა და რჩეული კულტურის მოღვაწეთა შეხვედრაზე მოგვითხრობდა. მაგრამ, მერაბ ნინიძე თბილისში თურმე მხოლოდ პრეზიდენტთან შესახვედრად არ ჩამოსულა. მსახიობი მონაწილეობას იღებს "ახალ სარდაფში" დაგეგმილ სპექტაკლში, რომლის პრემიერაც 20 თებერვალსაა დაგეგმილი. იგი შეილოკოს როლს ლევან წულაძისეულ "ვენეციელ ვაჭარში" შეასრულებს.

"ეს იყო ჩემთვის ძალიან პროვოკაციული შემოთავაზება, რომ მეთამაშა შეილოკი. ამ პიესით არასდროს დავინტერესებულვარ, არ ვიცი, რატომ?! თავიდან დავიბენი, ახლა აღმოჩნდა, რომ წულაძე სულ სხვანაირი კუთხითა და ხაზით აკეთებს ამას", - მსახიობმა სპექტაკლის ორიგინალურობაზე გასაგები მიზეზების გამო, არაფერი თქვა და უბრალოდ, გვირჩია მისი ნახვა.

თბილისის შემდეგ მერაბ ნინიძე ამერიკაში გაემგზავრება, სადაც გაიმართება მისი ახალი ფილმის პრემიერა. გერმანელი რეჟისორის კაროლინ ლინკის სურათს "არსად აფრიკაში" მარტში ნიუ-იორკის, სან-ფრანცისკოსა და ლოს-ანჟელესის კინოეკრანებზე აჩვენებენ პირველად. ეს არის შტეფან ცვაიგის ავტობიოგრაფიული რომანის ეკრანიზაცია. ფილმი მოგვითხრობს გერმანიიდან კენიაში გადაბარგებული ოჯახის ცხრაწლიან ისტორიას. ფილმი მაღალბიუჯეტიანია (6 მილიონი მარკა დაჯდა) და ის ოსკარზე "საუკეთესო უცხოური ფილმის" ნომინაციაშია წარდგენილი. ამ ნამუშევარს თბილისელი მაყურებელი ოქტომბერში "პრომეთეს" კინოფესტივალზე იხილავს.

მერაბ ნინიძე ათ წელიწადზე მეტია საზღვარგარეთ მოღვაწეობს. ემიგრაციაში წასულმა მსახიობმა საკუთარი თავი გადარგულ ხეს შეადარა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გადარგული ხე, ნინიძის სახით, უცხოეთში არც თუ ობლად გრძნობდა თავს. ათი წლის განმავლობაში მსახიობი თხუთმეტ ფილმში (ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი) გადაიღეს, სადაც იგი ძირითადად მთავარ როლებს ასრულებს. ამათგან ორიოდე ფილმი სამი წლის წინათ თბილისშიც აჩვენეს კინოფესტივალ "საჩუქარზე".

მერაბ ნინიძე თბილისში საპრემიერო ჩვენებების ბოლომდე დარჩება. მარტში აშშ-ში, ბოლო ფილმის საპრემიერო ჩვენებებისთვის გაემგზავრება. ამის შემდეგ კი იგი თბილისში დაბრუნდება იმ დროისთვის, როცა "ახალი სარდაფის" ხელმძღვანელობა "ვენეციელი ვაჭრის" ჩვენებებს დაგეგმავს.

Towards tolerance! ვისწავლოთ შემწყნარებლობა!

პირველი გვერდიდან

წლევანდელი ფესტივალი 16 თებერვლამდე გასტანს. მისი ხელმძღვანელი, ისევე, როგორც შარშან, დიტერ კოსლიკი გახლავთ, ხოლო დევიზია Towards tolerance – ყველაზე ზუსტი თარგმანი, ალბათ, "ისწავლე შემწყნარებლობა" იქნებოდა. კოსლიკი იმედოვნებს, რომ ერაყის ომით დამფრთხალი მოწვეული ვარსკვლავები უკან არ დაიხევენ – თუმცა ჯერჯერობით ჩასვლაზე უარი არავის უთქვამს, კოსლიკი მაინც ღელავს, რომ ვინმეს შეიძლება ოკეანეზე გადაფრენის შეეშინდეს: "ვინ იცის, ყველაფერი წამში იცვლება ხოლმე." არადა, ამდენი ვარსკვლავი ბერლინს, რა ხანია, არ სწვევია: მოწვეულთა შორის არიან ნიკოლ კიდმანი, დენიელ დეი-ლუისი, ჯორჯ კლუნი, ოლივერ სტოუნი, ქევინ სპეისი, ნიკოლას ქეიჯი, დასტინ ჰოფმანი და რენე ზელვეგერი .

დიტერ კოსლიკის ჩანაფიქრის თანახმად, კინოფესტივალი კიდევ ერთი მაგალითი უნდა გახდეს იმისა, რომ მჯობნის მჯობნის გამოვლენა მშვიდობიანი გზითაც შეიძლება. "ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ალტერნატივაა იმ მეთოდებისა, რომელსაც დღესდღეობით მსოფლიო მიმართავს," განაცხადა კოსლიკმა. "მაგრამ ფესტივალი პოლიტიკური ღონისძიება როდია. კინოფესტივალი კინოფესტივალია."

წელს ფესტივალის განმავლობაში 46 ქვეყანაში შექმნილი 300-ზე მეტი ფილმი იქნება ნაჩვენები. საკონკურსოდ 22 სრულმეტრაჟიანი და თორმეტამდე მოკლემეტრაჟიანი სურათია წარდგენილი. ყველაზე ძლიერი პოზიციები ამერიკულ კინოს აქვს – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხუთი კინოფილმი წარადგინა, მათ შორის ჯორჯ კლუნის სარეჟისორო დებიუტი Confessions of a Dangerous Mind, რომელშიც ჯულია რობერთსი და დრიუ ბერიმორი თამაშობენ.

იმას, თუ ვის ერგება ვერცხლის და ოქროს დათვები, საერთაშორისო ჟიური გადაწყვეტს. მისი თავმჯდომარე წარმოშობით სომეხი კანადელი რეჟისორი ატომ ეგოიანი გახლავთ. ერთი, "საპატიო" დათვის ბედი კი უკვე გადაწყდა: მას ფრანგი მსახიობი, მშვენიერი ანუკ ემე მიიღებს.

ბერლინალეს არსებობის განმავლობაში საკონკურსოსთან ერთად მრავალი სხვა სექციაც ჩამოყალიბდა. 1970 წლის ფესტივალის კრიზისის შემდეგ "ახალგაზრდული ფილმის საერთაშორისო ფორუმი" შეიქმნა, საინფორმაციო ჩვენებისათვის "პანორამა" ჩაიფიქრეს, შარშან კი "გერმანული კინოს პერსპექტივების" სექცია გაიხსნა. წელს, 10-დან 14 თებერვლამდე, პირველად ფესტივალის ისტორიაში, Talent Campus შედგება: მთელი მსოფლიოდან ჩამოსული 500 ახალგაზრდა, პერსპექტიული კინოხელოვანი მსოფლიო კინოს ვარსკვლავებთან, ვიმ ვენდერსთან და დენის ჰოპერთან შეხვედრას და საუბარს შეძლებს. რეტროსპექტივაში კი მუნჯი კინოს დიდოსტატის, 70-იან წლებში აშშ-ში გარდაცვლილი რეჟისორის, ფრიდრიხ ვილჰელმ მურნაუს შემოქმედება იქნება წარმოდგენილი.

REUTERS

ბერლინალეს სასახლე გახსნამდე

REUTERS

"ჩიკაგოელები" - რენე ზელვეგერი და კეტრინ ზეტა ჯონსი გახსნაზე

უკვე მეოთხე წელია, რაც ფესტივალი პოტსდამის მოედანზე ტარდება. ქალაქის ამ ნაწილში, რომელიც სულ რამდენიმე წელიწადში წამოიმართა, 28 კინოდარბაზია განლაგებული, რომლებშიც ერთდროულად 8 ათას ადამიანს შეუძლია ფილმის ნახვა. მაგრამ მთავარი შენობა მაინც მარლენ დიტრიხის მოედანზე წამოჭიმული ახალი მუსიკალური თეატრი გახლავთ: ფესტივალის დროს მას "ბერლინალეს სასახლის" ფუნქცია ეკისრება.

ფესტივალის გახსნაზე რობ მარშალის სამი ოქროს გლობუსით დაჯილდოებული ამერიკული ფილმი "ჩიკაგო" – ცნობილი მიუზიკლის კინოვერსია აჩვენეს. გერმანიაში მის პრემიერას ჰოლივუდის ვარსკვლავები რიჩარდ გირი და კეტრინ ზეტა ჯონსი დაესწრნენ. ფილმის ჩვენების შემდეგ 2000-ზე მეტი კინოხელოვანი, მსახიობი, პოლიტიკოსი და სხვა ფესტივალის სტუმარი "ბერლინალეს სასახლეში" ტრადიციულ საზეიმო მიღებაზე გაეშურა.

ხუთვარსკვლავიანი შოუ

ვერა ნეფარიძე

პოპულარულმა თბილისელმა დიზაინერმა მუშაობაში მნიშვნელოვანი პაუზის შემდეგ, მოდის სამყაროში დაბრუნება გრანდიოზულად უნდა აღნიშნოს. ვალენტინობის დღესასწაულზე, რომელსაც რამდენიმე წელიწადია ჩვენშიც აქტიურად ზეიმობენ, კომპანია "მაკა ასათიანი" ორ ღონისძიებას, საბოლოო ჯამში კი, გრანდიოზულ სანახაობა-წვეულებას სასტუმრო "მარიოტში" გამართავს.

ასეთი სიახლით გაუმასპინძლდა მასმედიას ტრადიციულ უხვსტუმრიან პრესკონფერენციაზე გუშინ კომპანია "მაკა ასათიანის" პოპულარული პრომოუტერი ვანიკო თარხნიშვილი. პრესკონფერენციას დაგეგმილი შოუს მონაწილე "ნატალის" "შავ ბრილიანტებად" წოდებული გოგონები და დიზაინერებიც ესწრებოდნენ. თავად მაკა ასათიანი კი ჯანმრთელობის გამო, საკუთარ კაფეში ვერ მოვიდა.

ვანიკო თარხნიშვილს არც დაუმალავს კომპანიის სურვილი, რომ სურთ ხმაურიანად აღნიშნონ 2003 წელს მაკა ასათიანის საქმიანობის დასაწყისი. "აღნიშნული ღონისძიებებით კომპანიას სურს, ხაზი გაუსვას მაკა ასათიანის 2003 წლის მოღვაწეობის დასაწყისს განსაკუთრებული და ექსკლუზიური სახით", - ვანიკო თარხნიშვილი შეეცადა პრესრელიზში ხშირად განმეორებული დაგეგმილი შოუს განსაკუთრებულობა და ექსკლუზიურობა რაღაცნაირად განემარტა.

მსგავსი ჩვენება შარშანაც მოეწყო, როდესაც ასათიანმა რამდენიმე კოლეგის ნამუშევრები გააცნო ფართო საზოგადოებას. წელს ასათიანმა საჩვენებლად ცხრამეტი დამწყები და საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი დიზაინერი შეარჩია. ისინი 14 თებერვლისთვის თოთხმეტ კოლექციას მოამზადებენ. ნამუშევრები ძირითადად, საგაზაფხულო კოლექციიდან იქნება, თუმცა არ გამოირიცხება შემოდგომა-ზამთრის ისეთი დეტალები, როგორიცაა პალტო, ქურთუკები და ა.შ. მაგრამ, გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე დიზაინერებსა და მათ ნამუშევრებზე ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას. სტუმარ-მასპინძელთა ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო გრანდიოზული ფართის სამზარეულოსა თუ ვიზუალურ მხარეზე.

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, ხუთვარსკვლავიანი მენიუ, ხუთვარსკვლავიანი სასმელი, და ხუთვარსკვლავიანი აურა, - ტრადიციულად, უჩვეულო ტერმინოლოგიის დასამკვიდრებლად, არც გუშინ დაუკლია ძალისხმევა შეხვედრის წამყვანს. "ეს არის ძალიან სერიოზული, ექსკლუზიური, ძალიან გამორჩეული და ვიწრო წრისთვის გაკეთებული ფართი უძვირეს ადგილას. სხვანაირად გამოწყობილია ხალხი, სხვანაირი სისტემაა: არც საკონცერტო, არც "ტუსოვკის". მსგავსი ფართი არ ყოფილა. ჩვენ სულ გვინდოდა, გაგვეკეთებინა, მაგრამ, ძირითადად, "ტუსოვკებს" ვაწყობდით. მე ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება მზად არის მსგავსი ღონისძიებისთვის", - გვითხრა შოუს თანაორგანიზატორმა ვანიკო თარხნიშვილმა.

ავტორის ფოტო

ვანიკო თარხნიშვილი შოუს მონაწილეებთან ერთად

"აერთიანებული ჩვენების" შემდეგ ისევ სასტუმრო "მარიოტში", ოღონდ გვიან საღამოს, დაგეგმილ ღონისძიებას ორგანიზატორებმა "ხუთვარსკვლავიანი ფართი" უწოდეს. ღონისძიებას 12 წუთიანი "კენტის" (შოუს ერთ-ერთი მხარდამჭერი სიგარეტის ფირმა "კენტია") შოუ-პერფორმანსი გახსნის; სწორედ ამის შემდეგ შეეძლება საზოგადოებას თავი შეიქციოს თარხნიშვილის საამაყო ეგზოტიკური მენიუთი, რისთვისაც პროდუქტს უცხოეთიდან ელიან. დეტალები, კერძოდ კი ის, ეყოლება თუ არა შოუს რეჟისორი ან ვის მიანდობენ მის მუსიკალურ უზრუნველყოფას, ჯერჯერობით უცნობია. ვანიკოს თქმით, ეს ყველაფერი, ამ დღეებში მაკა ასათიანთან ერთად უნდა გადაწყვიტონ. ასე რომ, ყველაფერს 14 თებერვალს ვნახავთ.

კალენდარი

7 თებერვალი

1812 წელს, ლენდპორტში, პორტის მოხელის ოჯახში, დაიბადა ერთერთი უდიდესი ინგლისელი მწერალი, ჩარლზ დიკენსი. ის ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, როცა მამამისი გაკოტრდა და ციხეში ამოჰყო თავი. ოჯახის შესანახად ჩარლზს ფაბრიკაში მუშაობა მოუწია და ამიტომ სათანადო განათლება ვერ მიიღო.

უკიდურესი გაჭირვებისაგან თავის დაღწევის შემდეგ დიკენსი საპარლამენტო სტენოგრაფად მოეწყო, და ცოტა ფულის გასაკეთებლად რამდენიმე ნარკვევის დაწერა სცადა. ნარკვევები გამოქვეყნდა, დიკენსმა კი გაზეთში დაიწყო მუშაობა. "პიკვიკის კლუბის" კომიკური ისტორია ყოველთვიურ გამოცემებში იბეჭდებოდა და სულ მალე არნახულად პოპულარული გახდა. ასე "დაიბადა" ბატონი პიკვიკი, კომიკური მოაზროვნე და კაცობრიობის უიღბლო, მაგრამ გულისამაჩუყებელი კეთილისმყოფელი, რომელიც 1837 წელს გამოცემული დიკენსის რომანის მთავარი გმირი გახდა.

"ოლივერ ტვისტის თავგადასავალმა" - პატარა ბიჭის ისტორიამ, რომელიც ობოლთა თავშესაფარში გაიზარდა და რომელსაც ლონდონის ჯურღმულებში უწევდა ცხოვრება, ასევე უმალ მოიგო მკითხველის გული. დიკენსი შემდგომაც არაერთგზის დაუბრუნდა დაჩაგრული ბავშვების თემას.

ლიტერატურული წარმატების მიუხედავად, ჩარლზ დიკენსის პირად ცხოვრებას ბედნიერს ვერ ვუწოდებთ. ლონდონელი ბანკირის ასულის, მარია ბინდელისთვის ღატაკი მწერალი ღირსეულ საქმროდ არ ითვლებოდა. მართალია, მასთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ დიკენსმა თავის მეუღლესთან ერთად ოცი წელი იცხოვრა და ათი შვილიც ჰყავდა, "დევიდ კოპერფილდის" დაკვირვებული მკითხველისთვის ნათელია, რომ ავტორს თავის დიდი სიყვარული არასოდეს დავიწყებია.

დიკენსი ფრიად ნაყოფიერი მწერალი იყო - მის კალამს 15 რომანი, მრავალი ნარკვევი, მოთხრობა და პიესა ეკუთვნის. წერა არც მაშინ შეუწყვეტია, როცა ჯანმრთელობამ უმტყუნა. მისი ბოლო რომანი, "ედვინ დრუდის საიდუმლო", დაუსრულებელი დარჩა - 1870 წელს დიკენსი სისხლის ჩაქცევისგან გარდაიცვალა.

ჩარლზ დიკენსი 1812 წლის 7 თებერვალს დაიბადა.

"ვიღაცამ ხომ უნდა თქვას სიმართლე"

გაბრაზებულ გულზე დაწერილი ლექსის ისტორია

თამარ სუხიშვილი

მიხეილ ქვლივიძე ის კაცია, ვინც მუდამ თამამად ამბობდა და ახლაც ამბობს თავის სათქმელს და რომლის სიტყვას ყოველთვის ფასი აქვს. გუშინ, 6 თებერვალს, საზოგადოებრივ-ლიტერატურულმა გაერთიანება "საფიხვნომ" მიხეილ ქვლივიძის ახალი პოეტური კრებულის პრეზენტაცია მოაწყო. პრეზენტაცია ფილარმონიის ქვეშ მდებარე ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში (ახლანდელ კლუბ "კოტონში") გაიმართა.

ამ წიგნს ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ 16 იანვარს კლუბ "სარდაფში" ელოდა. გარკვეული მიზეზების გამო წიგნის გამოცემა დანიშნული დროისთვის ვერ მოხერხდა, მაგრამ შეხვედრა არ გადაუდიათ და პრეზენტაციამ წიგნის გარეშე ჩაირა, თანაც ძალიან საინტერესოდ.

"სხვა საქართველო სად არი?" – ასე ეწოდება მიხეილ ქვლივიძის ახალ კრებულს, რომელსაც ქვესათაურად გასდევს ფრაზა: "შენ, ეი, ხმელეთ-ზურმუხტო, გამოიხედე აქეთ!" წიგნში, რომელიც გამომცემლობა "თობალისმა" დასტამბა, სამშობლოზე დაწერილი, ოდესღაც გამოცემული თუ გამოუცემელი 93 ლექსია შესული. კრებულს უძღვის ავტორისეული წინათქმა – "პატივისცემით და ნდობით ვუძღვნი "საქართველოს გაერთიანებული დემოკრატების პარტიას"!

ავტორის ფოტო

მიხეილ ქვლივიძე: "სხვებსაც მოვუსმენ და მეც ვიტყვი ჩემს სათქმელს"

გუშინდელ შეხვედრაზე აუდიტორია სარდაფის აუდიტორიისაგან განსხვავდებოდა, კლუბში შედარებით ასაკოვანმა ხალხმა მოიყარა თავი. ბატონმა მიშამ დაუზარლად ისაუბრა ყველაფერზე, ქართულ ლიტერატურაზე და, საერთოდ, ლიტერატურის დანიშნულებაზე, ისაუბრა თავის შემოქმედებაზე, ცხოვრებაზე, თავის ახალგაზრდობაზე (კაი ბიჭი ვიყავიო – ამბობდა ღიმილით), თავის მოქალაქეობრივ პოზიციაზე...

ბატონმა მიშამ გაბრაზებულ გულზე დაწერილი ერთი ლექსის ისტორიაც გვიამბო. "ჩვენში უჩვეულო ტერმინი დამკვიდრდა – "დაუდგენელი პირები". ტელევიზიიდან გამუდმებით ისმოდა და ისმის ასეთი ფრაზები: პანკისში დაუდგენელმა პირებმა მილიონები მისცეს კახა თარგამაძეს და სხვა და სხვა..." და მიხეილ ქვლივიძემ ლექსი "არნახული სახელმწიფო" დაწერა:

"...გამოდის, რომ საქართველოს რესპუბლიკა გადაიქცა

ჯერ არნახულ სახელმწიფოდ "დაუდგენელ პირთა!"

...უძველესი ერი, რომლის დაუდგენელ იღბალს მართავს

შევარდნაძე – ერთადერთი "დადგენილი პირი"!"

"ეს ლექსი შევარდნაძის ერთ მეგობარს ვაჩვენე, - გვიყვება პოეტი, - იმან მაშინვე მკითხა: იცის ეს ედუარდმაო? მერე ლექსი დაიბეჭდა და ცოტა "მანდრაჟი" მაქვს (იცინის), უბრალოდ იმიტომ, რომ არ მიყვარს ახსნა-განმარტებების მიცემა. ბოლოს შევარდნაძე შემხვდა თეატრში, ვემალებოდი (ისევ იცინის), მაგრამ მაინც მომაგნო და ღიმილით მეკითხება: მაშ მე "დადგენილი პირი" ვარო? - იცით, გავბრაზდი: კარგი რა, ვიღაცამ სიმართლე ხომ უნდა თქვას-მეთქი..."

დღეს პოეტის ცხოვრების სიმართლე ასეთია: მიხეილ ქვლივიძე 14 ლარი პენსიით ცხოვრობს, ძალიან უჭირს, ისევე როგორც მის ქვეყანას (ვიღაცეების გამოკლებით), არადა, ჭირდება წამალი, რომელიც ძვირი ღირს, გაყიდული წიგნებით პოეტი თავს ვერ ირჩენს... მიხეილ ქვლივიძის ახალი კრებული 2 ლარი ღირს.

პრეზენტაციის ბოლოს პოეტი დაგვპირდა: ასეთ შეხვედრებზე კიდევ მოვალ, სხვებსაც მოვუსმენ და მეც ვიტყვი ჩემს სათქმელსო, და ჯოხზე დაყრდნობილი გაუყვა გზას - ზევით ფილარმონიისკენ.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავია?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

მეფისტოლა პელე და სამეფო ტურნირი

REUTERS

სეულის პრესკონფერენციაზე

"სამეფო ტურნირი მშვიდობისთვის მთელს მსოფლიოში"- აი, ასე ჟღერს იმ საფეხბურთო ტურნირის სახელი, რომლის პრეზენტაციაც გუშინ შედგა სეულში. ის რომ, ტურნირს სამეფო ჰქვია, იმან განაპირობა, რომ ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, FIFA-ს მხარდაჭერით, პელეს და მისივე კომპანიის Pele Promotions, Inc პატრონაჟობით მოეწყობა. ახლად დაარსებულ ტურნირს კი 15-დან 22 ივლისის ჩათვლით სეული უმასპინძლებს და მასში 8 გუნდი იასპარეზებს. კერძოდ, "სამეფო ტურნირი მშვიდობისთვის მთელს მსოფლიოში" პირველობას შეეცილებიან 4 ევროპული, თითო აზიური, აფრიკული, ჩრდილო და სამხრეთამერიკული გუნდები. ტურნირის მონაწილეებს ორ ჯგუფად გაყოფენ. ანუ, თითოეული მონაწილე, მინიმუმ, სამ მატჩს გამართავს. ამას მოყვება შესაბამის ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდების საფინალო დაპირისპირება. თითოეული გუნდი მარტო მონაწილეობისთვის 500 ათასს აშშ დოლარს მიიღებს, ხოლო გამარჯვებული – 2 მილიონს. ტურნირის გამართვის იდეა კი იმაში მდგომარეობს, რომ ფეხბურთის მეშვეობით მსოფლიო, ასე ვთქვათ, გაკეთილშობილდეს. რაც შეეხება ახალი იდეის მონაწილე გუნდებს, სეულში საასპარეზოდ ელიან "ლოს ანჯელეს გალაქსის" (აშშ), "ბაიერს" (გერმანია), "რომას" (იტალია), "ლიონს" (საფრანგეთი), "ეინდჰოვენს"(ჰოლანდია), "სან პაულუს" (ბრაზილია), "კაიზერ ჩიფსს" (სამხრეთ აფრიკა) და "ილვა ჩუნმას" (სამხრეთ კორეა). გუნდების ჯგუფებად განაწილება კი მაისში შედგება.

ბრაზილიის უარით სპარსეთის ყურემ ფული დაზოგა

აშშ-ისა და ერაყის საკონფლიქტო სიტუაციამ ყველაფერთან ერთად ქველმოქმედებაზეც იქონია გავლენა. ბრაზილიისა და სპარსეთის ყურის საფეხბურთო ნაკრებებს შორის საქველმოქმედო მატჩი, რეგიონში გამძაფრებული სიტუაციის გამო, გაურკვეველი ვადით გადაიდო. არაბეთის მხარე, რომელიც შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ, იუწყება, რომ მათ ბრაზილიის კონფედერაციისგან მიიღეს შეტყობინება, სადაც თეთრზე შავით წერია, რომ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონთა უარს რეგიონში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებს. ერთი მხრივ, მატჩის ორგანიზატორები ბრაზილიელთა უარის გამო 850 ათას დოლარს დაზოგავენ, რომელიც სამხრეთამერიკელებმა ჰონორარის სახით მოითხოვეს, მეორეს მხრივ კი, საფეხბურთო კარიერით კიდევ ცოტა ხნით დატკბობა მოუწევს ბაჰრეინის ეროვნული ნაკრების ფორვარდს ჰამიზ ეიდას. საქმე ისაა, რომ საქველმოქმედო მატჩი ამ უკანასკნელისთვის ერთგვარი გამოსათხოვარი შეხვედრა უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ორგანიზატორები იმედს არ კარგავენ და ფიქრობენ, რომ ბრაზილიისა და სპარსეთის ყურის საფეხბურთო ნაკრებებს შორის გასამართ საპირველაპრილო მატჩს, რომლისთვისაც ბაჰრეინს უნდა ემასპინძლა, მაინც შედგება.

ინძაგის გასაჭირი

"იუვენტუსისა" არ იყოს, "ლაციომაც" მძიმე წუთები გადაიტანა რომის ოლიმპიურ სტადიონზე, თანაქალაქელ "რომასთან" მატჩში, იტალიის თასის ნახევარფინალში. რობერტო მანჩინის გუნდმა, რომელიც სერია A-ში საკმაოდ კარგად ასპარეზობს და "ბიძაშვილ" "რომაზე" ბევრად უკეთეს პოზიციაზეა, რომაული დერბი კიდევ ერთხელ წააგო. კასანოსა და ემერსონის ორ გოლს "ბიანკო ჩელესტებმა" მხოლოდ ფიორეს ერთი ბურთით უპასუხეს. წაგება წაგებად და, "ლაციომ" ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი სიმონე ინძაგიც დაკარგა. პირველი ტაიმის 37-ე წუთზე ინძაგისა და "რომას" მცველ ვალტერ სამუელის ბურთისთვის ბრძოლა "ლაციოს" თავდამსხმელის მძიმე ტრავმით დასრულდა - ინძაგიმ მარცხენა მხრის მოტეხილობა მიიღო.

დაშავებული ფეხბურთელი მაშინვე წაიყვანეს სან ჯაკომოს ჰოსპიტალში. ექიმების ვარაუდით, "სუპერპიპოს" უმცროსი ძმა, სულ ცოტა, 50 დღით გამოაკლდება რომაულ კლუბს.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 17 წლის წინათ...

1986 წლის 8 მაისი, ბერლინი. UEFA-ს თასის გამარჯვებული მადრიდის "რეალი"

საერთაშორისო მატჩები - G14-ის მთავარი სამიზნე

ევროპის სუპერ-კლუბები FIFA-ს და ბრაზილიის ნაკრებს ემუქრებიან

გაზეთ "24 საათის" გუშინდელ ნომერში "G14"-ად წოდებულ ევროპის სუპერ-კლუბების კოალიციის რევოლუციურ იდეებზე ვსაუბრობდით. დიდი გუნდები ჩემპიონთა ლიგის ტურნირის ბოიკოტითა და ევროპის "სუპერ-ლიგის" შექმნით იმუქრებიან.
გასულ სამშაბათს მადრიდში გაიმართა G14-ის წევრი კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრა. კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ეს კოალიცია ნელ-ნელა ევროპული ფეხბურთის მმართველ ძალად იქცევა.

აკა ტონია

მადრიდში გამართული G14-ის შეკრება ყველაზე მასშტაბური იყო აქამდე მოწყობილ სამიტებთან შედარებით. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ევროპის სუპერ-კლუბების 18-გუნდიანი კოალიცია სულ უფრო მძლავრი, ერთიანი და გუნდური სულისკვეთებით გამსჭვალული ხდება. G14-ის წევრი კლუბების ხელმძღვანელთა ტონი, ადრინდელთან შედარებით, კიდევ უფრო თავდაჯერებული და კატეგორიულია.

მადრიდის შეხვედრაზე კოალიციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, FIFA-ს მისამართით მუქარაა. G14 ზეპ ბლატერისგან მოითხოვს "ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩების კალენდრის ოპტიმიზაციას". ეს კი, პირდაპირი მნიშვნელობით, ნიშნავს იმას, რომ ასეთი მატჩების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.

ამგვარი განცხადების უმთავრესი მიზეზი 12 თებერვალს დაგეგმილი ჩინეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩია. ლონდონის "არსენალის" მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა, რომლის გუნდშიც ბრაზილიელი ნახევარმცველი ჯილბერტო სილვა თამაშობს, ამ შეხვედრას "უაზრო" უწოდა, ხოლო მადრიდის "რეალისა" და "მილანის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არავითარი სურვილი არა აქვთ, თავიანთი კლუბების რამდენიმე ფეხბურთელი ერთბაშად გაუშვან "გადაკარგულში", რათა მათ მონაწილეობა მიიღონ მატჩში, რომელსაც სპორტული კი არა, კომერციული მნიშვნელობა აქვს, თანაც, მაშინ, როდესაც "რეალს" და "მილანს" საპასუხისმგებლო შეხვედრები ელით ჩემპიონთა ლიგაში. ძნელია, არ დაეთანხმო მათ: ის ფაქტი, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია დროდადრო აწყობს საფეხბურთო "გასტროლებს" ფულის შოვნის მიზნით, არავისთვის საიდუმლო არ არის. მსგავს ამხანაგურ მატჩებში თამაშს ბრაზილიის ნაკრებს 300 ათასიდან მილიონ დოლარამდე თანხით უნაზღაურებენ. ჩინეთთან შეხვედრას სკეპტიკურად უყურებს თავად კილბერტო სილვაც, რომელსაც ჩინეთში გამგზავრებას ლონდონში დარჩენა და "არსენალის" მატჩებისთვის მომზადება ურჩევნია. "ამ სიტუაციაში ლონდონში დარჩენას და ინგლისის ჩემპიონატისა და თასის მნიშვნელოვანი მატჩებისთვის მომზადებას ვამჯობინებდი. მაგრამ ნაკრებში თამაში ჩემთვის უდიდესი პატივია. ეს რომ ოფიციალური მატჩი იყოს, დაუფიქრებლად გავფრინდებოდი ჩინეთში", - განაცხადა ჯილბერტო სილვამ.

REUTERS

ტომას კურტი და ფლორენტინო პერესი

G14-ის მეორე სამიზნე გახდა FIFA-ს კონფედერაციის თასი - ყოველწლიური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს უძლიერესი საფეხბურთო ნაკრები გუნდები. მიმდინარე წლის ივნისში ტურნირს საფრანგეთი უმასპინძლებს. რამდენიმე წლის წინათ დაარსებული კონფედერაციის თასის გათამაშება უკვე არაერთხელ გააკრიტიკა არსენ ვენგერმა, ხოლო "არსენალის" ფრანგმა ნახევარმცველმა, რობერ პირესმა განაცხადა, რომ წლევანდელ ტურნირში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. "ნაკრებ გუნდებში ხშირად თამაში ძალიან დამღლელია, სარგებელი კი არ მოაქვს", - ამბობს "ლივერპულის" მწვრთნელი ჟერარ ულიე, რომელსაც მომავალ კვირას თავისი გუნდის 10 ფეხბურთელის გასტუმრება მოუწევს სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებ გუნდებში. "ჩვენს წინაშეა ამხანაგური მატჩების იდეის აშკარა დისკრედიტაციის ფაქტი. ასეთი შეხვედრების მიზანია არა ზრუნვა თავად ფეხბურთზე, არამედ ფულის კეთების სურვილი. იმედი მაქვს, FIFA-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა გამოსავალს გვპოვნინებს", - აცხადებს G14-ის აღმასრულებელი დირექტორი, წარსულში UEFA-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ტომას კურტი.

"გამოსავალში", რომელზეც კურტი საუბრობს, უპირველეს ყოვლისა, ამხანაგური მატჩებისა და არაოფიციალური ტურნირების რაოდენობის შემცირება იგულისხმება. თუ FIFA G14-ის წინადადებებს არ მიიღებს, კლუბები ბოიკოტოთ იმუქრებიან. საფრანგეთის "პარი სენ ჟერმენის" პრეზიდენტმა, ლორენ პერპერმა, თავის გამოსვლაში მიანიშნა, რომ თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, კლუბები ფეხბურთელებს აღარ გაუშვებენ ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. "ალბათ, ხვდებით, თუ როგორი რეაქცია ექნებათ კლუბებს, თუ FIFA ჩვენს აზრს არ გაიზიარებს", - განაცხადა პერპერმა.

G14-ის მოთხოვნებს, თავის მხრივ, აბსურდულად მიიჩნევს ბრაზილიის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა. "ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად, FIFA-ს მიერ წელინადში მხოლოდ ხუთი დღეს გვაქვს გამოყოფილი. ასე რომ, ნაკრებში ლეგიონერთა გამოძახება წელინადში მხოლოდ ხუთჯერ შეგვიძლია. ამაზე დისკუსიაც კი ზედმეტია", - ამბობს პარეირა.

როგორც ცნობილია, G14-ს გეგმებში ევროპის "სუპერ-ლიგის" შექმნაც შედის. ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტრანსლირების უფლებების შესახებ კონტრაქტი კლუბებსა და UEFA-ს შორის 2006 წლის ზაფხულში იწურება. სწორედ ამ კონტრაქტის ამოწურვისთანავე იგეგმება "სუპერ-ლიგის" შექმნა, რომელშიც ევროპის 18 უძლიერესი გუნდი ორ დივიზიონში განაწილდება. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა იტალიურმა სპორტულმა გაზეთმა "Gazzetta dello Sport"-მა. გაზეთი იუწყება, რომ ეს G14-ის რიგით მეხუთე პროექტია, რომელიც "სუპერ-ლიგის" შექმნას ეხება. მანამდე მსგავსი გეგმის შესახებ ესპანური პრესა წერდა. ამბობდნენ, რომ არსებობს ევროპის "ოქროს თასის" პროექტი, რომელიც ესპანელ ბიზნესმენთა ინვესტიციების ხარჯზე შეიქმნება. ახსენებდნენ ცნობილი ესპანელი ბიზნესმენის, კარლოს გარსია პარდოს გვარსაც. ესპანური პრესის ინფორმაციით, "ოქროს თასის" იდეის სულისჩამდგმელი სწორედ პარდოა.

მაგრამ არის დამაიმედებელი ინფორმაციაც. მადრიდის შეხვედრაზე G14-ის ყველა წევრი კატეგორიულად უარყოფდა "სუპერ-ლიგის" იდეის არსებობას. "G14-ს არც ერთ ამ პროექტთან არავითარი კავშირი არა აქვს. შეკრებაზე ეს საკითხი არ განგვიხილავს", - განაცხადეს ტომას კურტმა და ამსტერდამის "აიაქსის" პრეზიდენტმა მიხაელ ვან პრააგმა, რომელიც, ამავდროულად, G14-ის ვიცე-პრეზიდენტიც არის.

როგორც ჩანს, G14 ევროპის "სუპერ-ლიგის" შექმნისთვის ჯერ არ იბრძვის. მისი უახლოესი გეგმები ნაკრები გუნდების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს. საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს FIFA. G14-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსოფლიო ფეხბურთის ასოციაციას ხომ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატი შერჩება...

ტოტი - მილანური კლუბების ოცნება

ნინო პირველი

წარმოგიდგენიათ, "რომას" კაპიტანი სხვა კლუბის მაისურით? ალბათ, ვერა. ფრანჩესკო ტოტი სულით ხორცამდე რომაელია. რომში დაიბადა, მთელი კარიერის განმავლობაში "რომას" რიგებში თამაშობდა, ბოლოს კი სენსის გუნდის სიმბოლოდ და თილისმად იქცა. ტიფოზებისთვის ტოტი "რომას" სული და გულია, ის ყველას ძალიან უყვარს. მაგრამ მერე რა? განა ზუსტად ასეთივე სიტუაციაში არ იყო მეორე სუპერ-რომაელი, "ლაციოს" კაპიტანი ალესანდრო ნესტა, რომელიც სერჯო კრანიოტიმ, ბოლოს და ბოლოს, "მილანში" გაუშვა? ტიფოზები შოკში ჩავარდნენ, ბევრი ივიშვიშეს, კრანიოტის გამყიდველიც კი უწოდეს, მაგრამ ნესტას მილანში წასვლის წინააღმდეგ მაინც ვერაფერი გააწყვეს. ახლა "ლაციოს" კაპიტანი "მილანის" საჯარიმოს ერთგული მცველია. ასე რომ, შეუძლებელი სულაც არ არის, თუ ტოტიც დატოვებს "რომას", მით უმეტეს, ბოლო დროს ფეხბურთელსა და კლუბის თავკაცს, ფაბიო კაპელოს შორის არცთუ თბილი ურთიერთობაა. გუშინ რომის ოლიმპიურ სტადიონზე, როგორც იტალიური სპორტული პრესა აღნიშნავდა, გაიმარათა "რომულუსისა და რემუსის დერბი" - იტალიის თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ "ლაციო" და "რომა". ეს უაღრესად პრინციპული მატჩი მოიგო "რომამ", მაგრამ ტოტის გარეშე. ფაბიო კაპელომ ტოტი 36-ე წუთზე შეცვალა - მის ნაცვლად მოედანზე მონტელა შეუშვა. გოლები კი კასანომ და ემერსონმა გაიტანეს. გამარჯვება ტოტის გარეშე...

სად შეიძლება წავიდეს ტოტი "რომას" დატოვების შემთხვევაში? რა თქმა უნდა, მილანში. მილანი ხომ, კარგა ხანია, დიდი ფეხბურთის მეგაქალაქადაა ქცეული. ბოლო დროს "ინტერის" პრეზიდენტს, მასიმო მორატისა და "რომას" პატრონს, ფრანკო სენსის შორის ურთიერთობა როგორღაც დათბა. სენსიმ მორატის არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა დაუთმო და, თუ საჭირო იქნება, არც სხვა ფეხბურთელის გაყიდვაზე იტყვის უარს. "ინტერს" ხომ საკმაოდ სქელი ჯიბე აქვს, "რომას" კი არც ისე ულხინს ფინანსურად. მორატი და სენსი, თითქოს, "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის წინააღმდეგ გაერთიანდნენ, მაგრამ გამორიცხული არ არის, ტოტი, "ინტერში" კი არა, სწორედ "მილანში" აღმოჩნდეს, რადგან "მილანს" ამ ფეხბურთელის გადაბირება ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა სულ ახალგაზრდა ტოტი არიგო საკის ხელმძღვანელობით დიდ ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს დგამდა...

თავად ტოტისთვისაც მილანში წასვლა სულაც არ არის ცუდი ვარიანტი. ბოლოს და ბოლოს, "ინტერიც" და "მილანიც" ევროპული ფეხბურთის გრანდები არიან და ჩემპიონთა ლიგაშიც და სერია A-შიც "რომაზე" ბევრად შთამბეჭდავად ასპარეზობენ. ამას გარდა, ტოტის მეგობარი გოგონა, ილარი, სწორედ მილანში ცხოვრობს და "რომას" კაპიტანს პირადი მიზეზიც აქვს, ლომბარდიის დედაქალაქში გადავიდეს... მოკლედ, "სკუადრა აძურას" პლეიმეიკერის ხელში ჩაგდება ორივე მილანური კლუბის ინტერესებში შედის. ტოტის შეძენაზე უარს არავინ იტყვის. საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენად შეელევა სენსი თავის კაპიტანს, რადგან, ვინ და ვინ და, სწორედ ფრანკო სენსიმ არაჩვეულებრივად იცის, რაოდენ მძიმე იქნება "რომასთვის" ტოტის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება...

ფრანჩესკო ტოტი

არ იჩხუბოთ, დატკბით ფეხბურთით

"მატჩის მშვიდობიანად ჩატარება სანატრელი გაგვიხდა. ვერ გამიგია რა უტრიალებს ამ ხალხს თავში. ნუთუ არ შეიძლება უბრალოდ დაჯდე და დატკბე ფეხბურთით?", - ეს კითხვა "რომას" პრეზიდენტს ფრანკო სენსის ეკუთვნის. კითხვის ადრესატები კი "რომა"-"ლაციოს" მატჩისას მომხდარი ინციდენტის მონაწილეები არიან.

ბოლო პერიოდში იტალიაში, მართლაც ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ დედაქალაქის გუნდების პაექრობას თან მუდამ კლუბების გულშემატკივართა ჩხუბი სდევს. გამონაკლისი არც გუშინწინდელი სათასო მატჩი იყო, რომლის დროსაც მომხდარმა ინცინდენტმა 55 ადამიანი აზარალა. ჩხუბი ჯერ კიდევ სტადიონის გარეთ, მატჩის დაწყებამდე დაიწყო და, ბუნებრივია, სტადიონზეც გაგრძელდა. პოლიცია ახლა არკვევს ვინ იყო ამ არეულობის წამომწყები, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. არ აქვს იმიტომ, რომ ასეთი რამ გუნდების ლამის ყოველი დაპირისპირების დროს ხდება და ჩხუბის წამომწყებადაც ხან ერთი მხარე სახელდება, ხან მეორე.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით მომხდარი აუცილებლად იქნება გამოძიებული და ჩხუბის წამომწყები გულშემატკივრების კლუბი აუცილებლად დაისჯება. რა სახის სასჯელი იქნება ეს ჯერ უცნობია, თუმცა ფედერაციის წარმომადგენელთა თქმით, საქმე სტადიონის დისკვალიფიკაციამდეც შეიძლება მივიდეს. ამჟამად არეულობის მიზეზად "ლაციოს" ფანები სახელდებიან, თუმცა არსებობს რამდენიმე მოწმე, რომელთა ჩვენების მიხედვითაც ჩხუბი "რომაელებმა" წამოიწყეს. პოლიცია სწორედ ამ მოწმეების ჩვენებების გადამოწმებითაა დაკავებული. არეულობის შედეგად 40 გულშემატკივარი საავადმყოფოში გახდა წასაყვანი. მათ გარდა, დაზარალდა მოჩხუბართა გაშველებით დაკავებული 15 პოლიციელი. ხუთ პიროვნებას კი, რომლებიც სხვებზე მეტად აქტიურობდნენ, პოლიციაში უკრეს თავი.

"კლუბის ხელმძღვანელობა ყველანაირ ღონეს ხმარობს უსაფრთხოების ზომების გასაძლიერებლად, რათა სტადიონზე მისული გულშემატკივარი დაცული იყოს ხულიგნებისაგან, მაგრამ მხოლოდ კლუბი და სტადიონის ხელმძღვანელობა ამას ვერ გასწვდება. როგორც ჩანს, უფრო მეტია გასაკეთებელი ამ თვალსაზრისით", - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში "რომას" პრეზიდენტმა.

ძიუდო

ქართული ძიუდოს დესანტი - პარიზში

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი გეზს აიღებს საფრანგეთის დედაქალაქისკენ, სადაც მონაწილეობას მიიღებს პარიზის A კატეგორიის საერთაშორისო სალიცენზიო სუპერტურნირში. ტურნირი 7-8 თებერვალს ჩატარდება. ეს შეჯიბრება, იაპონიის ძიგარო კანუს ტურნირის შემდეგ, ძიუდოს სამყაროში ყველაზე პოპულარულ ტურნირად ითვლება. მას არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატსაც უწოდებენ. ამ პერიოდში პარიზში თავს იყრის ძიუდოს მთელი ელიტა. ამჯერად ორგანიზატორები 45 ქვეყნის წარმომადგენლებს ელიან. თავად მასპინძლები, ფრანგები, 4 ნაკრებს გამოიყვანენ. სტუმარი გუნდებისთვის თითოეულ წონაში ორი ძიუდოისტის კვოტაა დაშვებული, თუმცა, საქართველოს ნაკრები, მიზეზთა გამო, მხოლოდ ერთი შემადგენლობით მიემგზავრება და მხოლოდ 90 კილოგრამამდე წონაში გამოიყვანს ორ სპორტსმენს. გაგაცნობთ ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის შოთა ხაბარელის მიერ შერჩეულ იმ რვა ძიუდოისტს, რომლებიც პარიზის ტატამზე გამოვლენ: ნესტორ ხერგიანი (60 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), გიორგი რევაზიშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), გრიგოლ მამრიკიშვილი (81), ზურაბ ზვიადაური, მინდია ბოდაველი (ორივე – 90), გია გუგავა (100), ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა). ხაბარელის თქმით, ამ ტურნირში მონაწილეობა, პირველ რიგში, ოლიმპიური ლიცენზიის ჩასათვლელი ქულების დაგროვების თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ამ მხრივ, ქართველმა ძიუდოისტებმა ჯერ მოსკოვის, ხოლო შემდეგ თბილისის A კატეგორიის საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირებზე გიგანტური ნაბიჯები გადადგეს. ნესტორ ხერგიანს ერთი ნაბიჯიღა აშორებს ამ მიზნისგან. მან ორივე ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა და ერთი ასეთი წარმატება უკვე სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლებას მისცემს. დავით მარგოშვილს, რომელიც პარიზში არ მიემგზავრება, მაგრამ შემდგომ A კატეგორიის ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას, მოსკოვში "ბრინჯაო", ხოლო თბილისში "ოქრო" აქვს მოპოვებული. ზვიადაურმა რუსეთის დედაქალაქში არ იასპარეზა, რადგან იმ პერიოდში იაპონიაში იყო, შეკრებაზე. თუმცა, "დანაკარგი" სამშობლოში აინაზღაურა - თბილისის ტურნირის ჩემპიონი გახდა. მინდიას უფროსი ძმა, დავით ბოდაველი, ასევე თბილისის ტურნირის გამარჯვებული ია, მაგრამ, როგორც ხაბარელმა გვითხრა, სავიზო საბუთები დროულად ვერ შეაგროვა და პარიზში არ მიემგზავრება.

"პარიზის ტურნირს კიდევ იმიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რომ შეჯიბრების შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ძიუდოისტები კიდევ ოთხ დღეს დარჩებიან საფრანგეთის დედაქალაქში და ერთობლივ ვარჯიშებს გამართავენ. ამ ვარჯიშებში ქართველი ძიუდოისტებიც მიიღებენ მონაწილეობას, გამოცდილებას შეიძენენ და უშუალო კონკურენტებსაც საქმეში ნახავენ.

როგორც ჩემთვის ცნობილია, იაპონია პარიზში უძლიერესი შემადგენლობით არ ჩავა, თუმცა, ძიუდოს სამშობლოს საუკეთესო გუნდი მაინც ესტუმრება ევროპას. ის პოლონეთში, ვარშავის A კატეგორიის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ეს ტურნირი მარტში გაიმართება. ჩვენც აუცილებლად გამოვალთ", - თქვა "24 საათთან" საუბარში საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა.

ჭადრაკი

ქალბატონობა შავი ფერის იმედზეა

ნიუ-იორკში დასასრულს მიუახლოვდა ახალი საუკუნის პირველი დაპირისპირება ადამიანსა და კომპიუტერს შორის ჭადრაკში. გარი კასპაროვმა და კომპიუტერულმა პროგრამა "Deep Junior"-მა, რომელიც ებრაელმა პროგრამისტებმა შექმნეს, მეხუთე პარტია გაითამაშეს და უკანასკნელი, მეექვსე პარტიის წინ, წონასწორობას ინარჩუნებენ.

მეხუთე პარტია, ისევე როგორც წინამორბედი ორი, ყაიმით დასრულდა. ამჯერად მხარეებს, უფრო სწორად, გარი კასპაროვს, დიდი ოფლისღვრა არ დასჭირდა - მე-19 სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ხუთი ტურის შემდეგ ანგარიში საყაიმოა - 2,5:2,5. მეექვსე, გადამწყვეტი პარტია და დაჯილდოების ცერემონიალი დღეს, გვიან საღამოს გაიმართება. თეთრი ფიგურებით კომპიუტერი ითამაშებს.

სწორედ ამიტომ დაწყდათ გული კასპაროვის გულშემატკივრებს. კაცობრიობამ დაკარგა უკანასკნელი შანსი, თეთრი ფიგურებით მოეპოვებინა გადამწყვეტი უპირატესობა და მატჩიც თავის სასარგებლოდ დაესრულებინა. ახლა ყველაფერი შავ ფიგურებზეა დამოკიდებული, უფრო სწორად, რუსი დიდოსტატის უნარზე, შავი ფიგურებით სძლიოს მანქანას, - აცხადებენ კასპაროვის მომხრეები.

მეხუთე პარტიაზე ადამის მოდგმის წარმომადგენელი აშკარად დიდ იმედებს ამყარებდა - უკანასკნელი თეთრი ფერი მატჩში! "ეს ჩემი შანსია. თუ გამოვიყენებ, წარმატების იმედიც ერთიორად მოიმატებს, რადგან მეექვსე პარტიაში ყაიმიც ჩემი მეგზური გახდება", - მატჩის წინ აცხადებდა გარი კასპაროვი, მაგრამ კაცობრიობამ საბოლოო სურათი, აბსოლუტურად, განსხვავებულ ჭრილში იხილა.

სრულფასოვანი ბრძოლა არც ამჯერად გამოვიდა. კასპაროვმა დებიუტი მეტისმეტად უნიათოდ გაითამაშა და რკინის მეტოქეს საშუალება მისცა, ფიგურის ეფექტური შეწირვით შეტევაზე გადასულიყო. ურთულეს პოზიციაში - მეფე მთელი ლაშქრის სათავეში - კასპაროვმა თავზეხელაღებულ ავანტიურაზე უარი თქვა და მოგებაზე თამაში ვეღარ გაბედა. ძალიან ბევრი იყო საჩოთირო და, ამავე დროს, გაუთვალისწინებელი ვარიანტი, რაც დროის დეფიციტის პირობებში, აშკარად, კომპიუტერის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ გარი კასპაროვი ყაიმს დაყაბულდა. სპეციალისტთა პროგნოზი მართლდება. კასპაროვს "Deep Junior"-თან გამკლავება დღითიდღე უფრო უჭირს.

ჩოგბურთი

შტეფი გრაფი უარზეა

ავსტრალიის "დიდი სლემის" წლევანდელი ტურნირი მამაკაცთა შორის იმითაც იყო განსაკუთრებით საინტერესო, რომ მსოფლიო სენსაციას ელოდა - თუ ამერიკელი ანდრე აგასი ტურნირს მოიგებდა, პირობის თანახმად, პარიზში, "როლან გაროსზე", აგასი და მისი მეუღლე, წარსულში სახელოვანი გერმანელი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი, ერთად გამოვიდოდნენ შერეულ წყვილებში.

აგასიმ ტურნირი მოიგო და მსოფლიოს იმედი გაუჩნდა, რომ კორტებზე შტეფი გრაფს იხილავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფანები ტყუილად შეიპყრო ეიფორიამ. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ანდრე აგასიმ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა შტეფის დაყოლიება. კორტების ექსდედოფალს არ სურს ჩოგბურთში დაბრუნება.

ჰიუიტი პრესის უგულებელყოფისთვის შეიძლება დასაჯონ

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი, რბილად რომ ვთქვათ, პრესას არ სწყალობს. ამის ნათელი დადასტურება იყო პრესკონფერენცია, რომელიც დევისის თასის პირველი შეხვედრის წინ - ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის გუნდებს შორის გაიმართა. ჰიუიტი პრესკონფერენციას არ დაესწრო, რამაც მასმედიის წარმომადგენლები აღაშფოთა. ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა ჯონ ფიცჯერალდმა განმარტა, რომ გუნდის პირველი ნომერი ჟურნალისტებთან შეხვედრას მისი თანხმობით არ ესწრებოდა, მაგრამ ჰიუიტი შეიძლება მაინც დაისაჯოს.

ამას შიშობს ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციაც. საქმე ის არის, რომ სანქციები ლეიტონ ჰიუიტის წინააღმდეგ შეიძლება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოიტანოს. გააჩნია, როგორ გუნებაზე იქნება. გამორიცხული არ არის, რომ ჩოგბურთელი უვნებლად გადარჩეს. ჰიუიტის შემთხვევაში ცუდი ის არის, რომ მოქმედებს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ამ სეზონში ამოქმედებული წესი, რომელიც სპორტსმენებს მსოფლიოში ჩოგბურთის საყოველთაო პოპულარიზაციის ხელშეწყობას ავალდებულებს.

ასე რომ, პრესასთან ურთიერთობა ჩოგბურთელებს წესად ექცათ. ჰიუიტმა კი სწორედ ეს ახალი წესი დაარღვია. საგულისხმოა, რომ ჰიუიტს პრესასთან შარშანაც შეემთხვა უსიამოვნება. მაშინ ავსტრალიელმა ცინცინატის ტურნირის დაწყებამდე უარი თქვა ინტერვიუზე. წესის თანახმად კი, ასე არ უნდა მოქცეულიყო.

სამთო თხილამურები

ჰერმან მაიერი: „ჩემთვის ოქროს მედალი სიყვარულზე უფრო მნიშვნელოვანია!"

ნინო პირველი

მსოფლიო სპორტში, ალბათ, არ არსებობს ამ კაცზე უფრო უცნაური და შეუცნობელი პიროვნება. საოცარია, რა აძლევს "ჰერმინატორად" წოდებულ ავსტრიელს ასეთ სასიცოცხლო ძალას, საიდან იღებს ამდენ ენერგიას, რითი საზრდოობს მისი სუპერამბიციური ნატურა... 30 წლის ჰერმან მაიერმა უკვე მოიგო აბსოლუტურად ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლება სათხილამურო სპორტში. მისი წყალობით, ავსტრიის ნაკრები ყველაგან და ყოველთვის ოქროს მედლების მოპოვების უპირველესი კანდიდატი იყო, ხოლო მსოფლიოს სხვადასხვა სათხილამურო ტურნირზე დამსწრე საზოგადოებას, ყველაზე ხშირად, სწორედ მოცარტისეული ავსტრიის ჰიმნის მოსმენა უწევდა. 2001 წლის აგვისტომდე ჰერმან მაიერი თითქმის ყველგან პირველობდა. გველის წელიწადის ზაფხულში კი მთელი ავსტრია შოკში ჩააგდო "ჰერმინატორის" თავს დამტყდარმა უბედურებამ - მოტოციკლით მიმავალი მაიერი ავარიაში მოყვა და ისე მძიმედ დაშავდა, რომ ექიმებმა ფეხის ამპუტირება დაუპირეს. ცალფეხა "ჰერმინატორი"? "მფრინავი ავსტრიელი" ფრთების გარეშე? ფრანგი რეჟინ კავანიუს დაღუპვის შემდეგ ნუთუ თანამედროვე სათხილამურო სპორტში კიდევ ერთი ტრაგედია უნდა მოხდეს? ეს იყო ის პათეტიკური კითხვები, რომლებიც თითქმის ერთი წლის განმავლობაში აწუხებდა სპორტულ სამყაროს.

საბედნიეროდ, მაიერი ხეიბრობას გადაურჩა და ნელ-ნელა იმდენიც კი შეძლო, რომ დიდ სპორტში დაბრუნდა. სათხილამურო ტრასებზე რბოლის სურვილი "ჰერმინატორს" ჯერ კიდევ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის დროს სწვავდა, მაგრამ მაშინ ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო და ავსტრიის ნაკრებიც ლიდერის გარეშე გაემგზავრა სოლტ-ლეიკ-სიტიში, საიდანაც მოკრძალებული შედეგით დაბრუნდა. მაიერის შემცვლელად მიჩნეული შტეფან ებერჰარტერი ვერ აღმოჩნდა ყველა სახეობაში მუდამ პირველი.

"დიდი ჰერმინატორის" დიდი დაბრუნება კი 2003 წლის იანვარში კიცბულის ურთულეს ტრასაზე გახდა შესაძლებელი. მთელი ავსტრია უდიდესი ინტერესით ელოდა ჰერმან მაიერის პირველ ოფიციალურ გამოსვლას. "ჰერმანი საოცრებაა. მე მისი მჯერა. სულ ცოტა, ალბათ, მეშვიდე

REUTERS

ჰერმან მაიერი აღიარებს...

ადგილზე მაინც გავა." "მაიერი სულ მალე ისევ ძველი "ჰერმინატორი" იქნება. მის "ქამ ბეკს" აუცილებლად ვუყურებ. შეფმა უკვე დაგვრთო სამუშაო საათებში ტელევიზორის ყურების ნება", - ამ ტიპის მინიინტერვიუებით იყო გადაჭრელებული ავსტრიული პრესა მაიერის დაბრუნების წინა დღეს. მთელი ავსტრია "ჰერმინატორისგან" სასწაულს ელოდა და მიიღო კიდეც - მართალია, სწრაფდაშვებაში მაიერი მხოლოდ 31-ე იყო და საკვალიფიკაციო ეტაპიც კი ვერ გადალახა, მაგრამ, სამაგიეროდ, გიგანტურ სლალომში ოქროს მედალი მოიპოვა - საბოლოო გამოჯანმრთელებიდან მეცამეტე დღეს! ეს უკვე, მართლაც, სასწაული იყო...

მაიერი ისევ სათხილამურო ტრასების მონსტრად იქცა. მას შემდეგ, რაც შვეიცარიულ სენტ მორიცში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკელ ბოდი მილერთან ვერცხლის მედალი გაიყო, მაიერი უკმაყოფილოც კი დარჩა, - მე მხოლოდ ოქრო მინდოდაო. "ჩაცმისას, როცა ჩემს დაშავებულ ფეხს ვუყურებ და ვიხსენებ, როგორ მიპირებდნენ ექიმები ამპუტაციას, საშინელ გუნებაზე ვდგები. გადატანილი მძიმე დღეების დასავიწყებლად სწრაფად ვიცვამ და მაშინვე სავარჯიშოდ მივდივარ. ასეთი ფეხითაც კი მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ", - ამბობს "ჰერმინატორი".

გამარჯვება მაიერისთვის ყველაფერზე ძვირფასია. თუ, მაგალითად, გერმანელი მოცურავე, ფრანცისკა ვან ალმსიკი, სპორტულ მიღწევებზე წინ სიყვარულს აყენებს, მაიერისთვის ოქროს მედალი სიყვარულზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ავარიაში მოხვედრის შემდეგ მაიერი, ძირითადად, სპორტულ დარბაზში ატარებდა დროს. მხოლოდ ექიმებს და მწვრთნელს ხვდებოდა და საერთოდ აღარ ეცალა მეგობრის, გუდრუნ დულინგერისთვის. შარშან, ივნისში, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და მას შემდეგ მაიერს მეგობარი ქალი აღარ ჰყოლია. "როცა რაიმეს მოგება გინდა, აუცილებლად ბოლომდე უნდა იყო კონცენტრირებული შენს საქმიანობაზე. ამ შემთხვევაში ქალი მხოლოდ ხელს გიშლის. სიყვარულს მე ოქრო მირჩევნია, რადგან სიყვარული ქრება, ოქრო კი მუდამ შენთან რჩება. როცა სპორტიდან წავალ, ქალების დრო მაშინ დადგება", - ამბობს "ჰერმინატორი", რომლის ასეთი შემართება უკვე სერიოზულ პრობლემებს უქმნის მის თანაგუნდელებს. მაიერის დაბრუნების შემდეგ ავსტრიის ნაკრებში სასტიკი კონკურენციაა, გუნდში მოხვედრა პრობლემად იქცა. მაიერი სენტ მორიცში მხოლოდ ოქროსთვის იბრძვის და, ბუნებრივია, საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა და ნაკრებში ადგილის დაკავება არ გასჭირვებია. გუშინ, დიდთოვლობის გამო, ავსტრიის ნაკრებმა სრულყოფილად ვერ ივარჯიშა, მაგრამ მაიერი და ფრიც შტობლი ეროვნულ გუნდში მაინც აიყვანეს - მწვრთნელებმა მაიერის მიერ ნაჩვენები კარგი შედეგები გაითვალისწინეს. სამაგიეროდ, ნაკრებს მიღმა დარჩნენ ანდრეას შიფერერი და კლაუს კრიოლი. ასეთმა წარუმატებლობამ ეს სპორტსმენები ისე გაანაწყენა, რომ მათ გადაწყვიტეს, გერმანიის სახელით იასპარეზონ, - ავსტრიაში მაინც არ გვაფასებენო. გერმანიის ნაკრების მწვრთნელი, მარტინ ოსვალდი, ამ ახალმა ამბავმა ძალიან გაახარა და განაცხადა, ავსტრიელებს სიხარულით მივიღებო.

მოკლედ, მაიერი არა მარტო მეტოქეებისთვის, არამედ თანაგუნდელებისთვისაც მონსტრად იქცა. სენტ მორიცში თოვს და მოთხილამურეები სავარჯიშოდ ვერ გადიან. ამის მიუხედავად, მაიერი დარწმუნებულია, რომ შვეიცარიიდან ოქროს მედლით დაბრუნდება. როცა "ჰერმინატორს" რამე სურს, მას წინ ვერავინ აღუდგება. სავარაუდოდ, შაბათს სენტ მორიცში გაიმართება ავსტრიული დერბი პირველობისთვის, რადგან, ბოლოს და ბოლოს, არც მსოფლიო პირველობების მრავალგზის გამარჯვებული შტეფან ებერჰარტერია გულხელდაკრეფილი და ისიც ისეთივე შემართებით მიილტვის ოქროს მედლისკენ, როგორც დიდი "ჰერმინატორი."

ფორმულა 1

ბაჰრეინი „გრან-პრის„ მაითანივით გაურბის

გიგა გურასაშვილი

მაშინ, როდესაც "სამეფო რბოლების" შინ ხილვის მსურველ ქვეყნებს ერთმანეთში ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გაჩაღებული, ბაჰრეინის ხელისუფალთა განცხადება ერთობ უცნაურად ჟღერს. თუ მოვლენებიც შესაბამისად განვითარდა, გამორიცხული არ არის, სიმწრით მოპოვებული ფორმულა 1-ის "გარნპრის" 2004 წლის ეტაპის მასპინძლობის პატივი სხვა ხელგაშლილ ქვეყანას გადაულოცონ. თუმცა, არის მიზეზი, რომლითაც ბაჰრეინში საკუთარ ქმედებას ამართლებენ.

2004 წლისთვის დაგეგმილი "ბაჰრეინის გრან-პრი", ეტყობა, აღარ გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ამ არაბული ქვეყნის ხელისუფალნი ამ აზრზე არიან.

შარშან, როცა ფორმულა 1-ის ბოსმა, ბერნი ეკლსტოუნმა, 2004 წლისთვის ბაჰრეინში გრან-პრის ეტაპის გამართვის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, თუ მეორე მხარესთან გაფორმებულ შეთანხმებას ჩაშლის საფრთხე დაემუქრებოდა. არადა, საკმაოდ მძაფრ კონკურენციაში ბაჰრეინმა, შეიძლება ითქვას, სამეფო რბოლების მასპინძლობის პატივი ხელიდან გამოგლიჯა არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოს, ეგვიპტეს და ლიბანს.

ახლა კი რა ხდება? ქვეყნის პარლამენტი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ფორმულას კარი არ გაუღოს. ბაჰრეინში ეშინიათ, რომ "სამეფო რბოლებს", ბევრ სიკეთესთან ერთად, პროსტიტუცია და ბუკმეიკერთა მოზღვავებაც მოჰყვება. კერძოდ, ქვეყნის მთავარ სახელისუფლო ორგანოს არ სურს, ბაჰრეინის ტერიტორიაზე საფორმულო პროექტის განხორციელებაში საკუთარი ფინანსური წვლილი შეიტანოს. ამისთვის კი, როგორც ირკვევა, სულ 500 მილიონი დოლარია საჭირო, ხოლო აქედან 200-მილიონიანი წილი სწორედ მთავრობაზე მოდის. დეპუტატები საკუთარ არგუმენტებს იმით ამტკიცებენ, რომ ზემოხსენებული პროექტი "ისლამურ ღირებულებებს" ეწინააღმდეგება.

ბერნი ეკლსტოუნი ბაჰრეინმა დააფიქრა

ერთ-ერთი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ბაჰრეინი მაინც უმასპინძლებს ფორმულა 1-ის ეტაპს, ქვეყანას წალეკავს საბუკმეიკერო საქმიანობა და პროსტიტუცია. თუმცა, ბოლომდე ჯერ არაფერია გარკვეული. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პარლამენტის 40 დეპუტატმა აკრძალვას უკვე დაუჭირა მხარი, მათი გადაწყვეტილება საბოლოო არ არის. ახლა მთავრობის მიერ დანიშნულ შურის საბჭოს 40 წევრზეა სიტყვა. თუ ისინიც პარლამენტარებს მიბაძავენ, საქმე განსახილველად გადაეცემა პარლამენტის წევრთა და შურის საბჭოს ერთობლივ სხდომას - ეროვნულ ასამბლეას.

ასეა თუ ისე, თანამემამულეთა გადაწყვეტილებით კარგ გუნებაზე არ უნდა იყოს ავტოსპორტის დიდი მოყვარული, ბაჰრეინის კრონპრინცი შეიხ სალმან ბინ ჰამედ ალ ხალიფა, რომელმაც ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ბაჰრეინს, როგორც პირველ არაბულ ქვეყანას, სამეფო რბოლებისთვის ემასპინძლა.

კალენდარი

7 თებერვალი

კრისტინ ოტტო

1926 – დაიბადა მარკ ტაიმანოვი. საბჭოთა მოჭადრაკე, გროსმაისტერი. ქვეყნის ორგზის ჩემპიონი.

1937 - დაიბადა დიმიტრი შანიძე. ძალოსანი. საბჭოთა კავშირის ექვსგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონი. 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონი აკრაში და ბრინჯაოს პრიზიორი სამჭიდში. 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონი ორჭიდში. ოლიმპიური თამაშების ორგზის ვერცხლის მედალოსანი.

1959 – დაიბადა ირინა კალინინა. წყალში მხტომელი. ოლიმპიური ჩემპიონი. სამგზის მსოფლიო ჩემპიონი.

1966 – დაიბადა კრისტინ ოტო. გერმანელი მოცურავე. 1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე გდრ-ის სახელით მოიპოვა ექვსი ოქროს მედალი.

1998 – ნაგანოში (იაპონია) დაიწყო ზამთრის მე-18 ოლიმპიური თამაშები.

Семейный центр «Маяк»
приглашает взрослых с детьми на праздник «Мамы-папы»

Суббота, 5 апреля

- **Весёлый марафон**, 10:00 (5+)
- **Мастер-класс «Открытка своими руками»**, 11:30 (6+)
- **Кукольный спектакль «Репка наоборот»**, 13:00 (3+)
- **Игровая программа «Семейные старты»**, 15:00 (5+)
- **Концерт детской студии «Звонкие голоса»**, 17:00 (4+)
- **Дискотека для всей семьи**, 19:00 (12+)

Воскресенье, 6 апреля

- **Утренняя зарядка «Весёлый старт»**, 9:00 (5+)
- **Мастер-класс «Весенний букет»**, 10:30 (6+)
- **Спортивные эстафеты «Мама, папа, я — дружная семья»**, 12:00 (5+)
